პალიტრა მედია

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

21 დეკემბერი პარასკევი 2012 №302 (13 908) ფასი 80 თეთრი

# ხუთი რგოლი ახლებურად შეიკრა

## ლერი ხაბელოვი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტია





საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ახალი პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# წილისყრა თუ წინასწარმეტყველება?




# რონალდო ალბიონზე ბრუნდება...

## ვისთვის იქნება ნისლიანი, რეალისთვის თუ მანჩესტერისთვის?



# ბარსას მილანი გამოუცდის

წილისყრის შედეგები, კომენტარები

8-9

# 4500



12

## ფაჩულიამ ოკლაჰომასთან დაამარცხა



## ერთი თვის შემდეგ შენგელიაც დაბრუნდა

სიტუაცია

# ზვიად სიჭინავას კრემლის იდეა არ ხიბლავს

## ეს ჩემპიონთა და ევროპის ლიგების ცუდი მოდელია

ცნობილია, რომ კრემლმა "გაზპრომის" ხელმძღვანელ **ალექსეი მილერის** პირით საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის აღდგენის სურვილი გააჟღერა. მართალია, ამბობენ, რომ მასში მონაწილეობას დსთ-ის ნევრ 3-5 ქვეყანას სთავაზობენ, მაგრამ რა გასაკვირია, რომ მზერა მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეზე უჭირავთ.

მსგავსი იდეები ადრეც ბევჯერ წამოჭრილა, მაგრამ ადრინდელისგან განსხვავებით, ახლა იდეას რუსული მედია აქტიურ ტირაჟირებას უკეთებს და რაც მთავარია, რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, **სერგეი ივანოვი** საკითხის მიმართ საეჭვო ინტერესს ავლენს.

ჩვენდა საუბედუროდ, საქართველოს პოსტსაბჭოური მემკვიდრეობა ერგო და გვინდა თუ არა, დსთ-ის ჩემპიონატის თემის განხილვისას საქართველოსაც ხშირად ახსენებენ, რადგან თბილისის "დინამომ" საბჭოურ ფეხბურთში დიდი კვალი და ლამაზი მოგონებები დატოვა – ეს რუსეთში ჯერ კიდევ ახსოვთ.

სხვათა შორის, აქვე ვიტყვით, რომ ბევრ ქართულ კლუბში, რატომღაც, ამ საკითხზე კომენტარისგან თავს იკავებენ, რისი მიზეზიც ჩვენთვის აუხსნელია.

ამ საკითხზე პოზიციის დაფიქსირებას არც **ზვიად სიჭინავას** ურჩევდნენ, მაგრამ ამაში საიდუმლო არაფერია და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა "ლელოსთან" საინტერესოდ ილაპარაკა.



ზვიად სიჭინავა

*"უკვე წელიწად-ნახევარია, რაც უეფაში ამ საკითხის განხილვა მიმდინარეობს. მაგრამ მე ვერ ვხედავ, რა სტრუქტურით სურთ ტურნირის გამართვა, ევროთასებზე გუნდები რა კვოტით გავლენ, ჩემპიონატში რომელ ქვეყანას რამდენი გუნდი ეყოლება. მაგალითად, ცხადია, რუსები რაც შეიძლება მეტი წარმომადგენლის შეყვანას შეეცდებიან, მაგრამ თუ გაერთიანებასა და თანაბარუფლებიანობაზეა ლაპარაკი, რატომ უნდა ჰყავდეთ სხვა ქვეყანაზე მეტი, ვთქვათ, ექვსი კლუბი და ჩვენ კი მხოლოდ ერთი? ან ვის უნდა ვეჭიდავოთ, უმდიდრეს ცსკა-ს, მოსკოვის "სპარტაკს", "რუბინს" თუ "ანჟის", რომელთა ბიუჯეტებიც მინიმუმ 100 მილიონი დოლარია?*

*ამბობენ, რომ ტურნირი ერთმა ფედერაციამ უნდა ჩაატაროს. ვეთანხმები უკრაინელებს: გაუგებარია, რომელი ეროვნული ფედერაცია დათმობს სტატუსს, ან ვის და რატომ უნდა დავუთმოთ? რატომ უნდა ჩამიტაროს ქართული გუნდის თამაში სხვა ქვეყნის ფედერაციამ, როდესაც ქვეყნის დამოუკიდებლობასთან ერთად, ფედერაციის დამოუკიდებლობა საქართველოს ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარია?*

*მოკლედ, ბევრი კითხვა პასუხგაუცემელია. ეს რომ იყოს რეგიონული არაფორმალური ტურნირი, რომელიც ყოველწლიურად გაიმართება და ეროვნული ჩემპიონატისა და ფედერაციის დამოუკიდებლობას არ დაემუქრება, სადავო და დასაფიქრებელი არაფერი იქნებოდა. მაგალითად, თავის დროზე, ლატვიამ, ლიტვამ და ესტონეთმა "ბალტიის თასის" გათამაშება დაიწყეს. ეს სულ სხვა რამ იქნებოდა, რადგან ასეთ ტურნირს არ აქვს ფედერაციების გაერთიანების პრეტენზია და სეზონის გალამაზებას ემსახურება. ბოლოს და ბოლოს, იქ მონაწილე გუნდების ქალაქები ერთმანეთისგან 100 კილომეტრით არის დაშორებული და თამაშებზე სწრაფმავალი მატარებლებით დადიან. რუსების ორგანიზებული ტურნირის მონაწილეებს კი თვითმფრინავში მოუწევთ ცხოვრება.*

*სამწუხაროდ, კავკასიაში მსგავსი ტურნირის გამართვას აზერბაიჯანსომხეთის კონფლიქტი აბრკოლებს. რეგიონულ ტურნირებზე შემოთავაზებები ჩვენც მივიღეთ, მათ შორის, დსთ-ის თასზე. სხვათა შორის, ეს იდეა "გაზპრომამდე" რუსეთის საფეხბურთო კავშირის ყოფილმა პრეზიდენტმა სერგეი ფურსენკომ წამოაყენა, მაგრამ რომელ რეალურობაზეა ლაპარაკი, როდესაც ქართული კლუბები საქართველოს ქალაქებში ავტობუსებით ძლივს ჩადიან და რიგაში, ყაზანში, პეტერბურგსა და ალმატიში ყოველ მეორე კვირას თვითმფრინავით მგზავრობის სახსრები ექნებათ?*

*მეორეც არის: ახლა ქართულ კლუბებს ყოველ წელს აქვთ შანსი, ჩემპიონთა და ევროპის ლიგებში რომ მოხვდნენ. წარმოუდგენელია, პოსტსაბჭოურ ლიგაში განევრების შემთხვევაში, ეს შანსი შევინარჩუნოთ. ან როგორ წარმოგიდგენიათ სავიზო პრობლემების მოგვარება?*

*საერთოდ, ძველ ნაცნობებთან ხშირ შეხვედრებსა და საფეხბურთო კავშირების შენარჩუნებას მივესალმები, ერთკვირიანი ტურნირებიც არ იქნება პრობლემა. მაგალითად, ბალტიის თასზე ქართული კლუბები რომ მიიწვიონ და იქ სამი შეხვედრა გამართონ, ამას სხვა დატვირთვა ექნება. მაგრამ აქ არის ლაპარაკი დსთ-ის ჩემპიონატზე, რომელსაც ერთი ფედერაცია ჩაატარებს. პოსტსაბჭოური ქვეყნების გაერთიანებული ტურნირი კი ჩემპიონთა და ევროპის ლიგების ცუდი მოდელი იქნება.*

*მე ეროვნული ჩემპიონატის გაძლიერების მომხრე ვარ. ქართული ფეხბურთი და კლუბები ასე უფრო განვითარდება. ის, რომ წლების განმავლობაში ჩავარდნა გვქონდა, საკუთარ ჩემპიონატზე უარის თქმის მიზეზად ვერ გამოდგება – ჩვენ საქართველოს ჩემპიონატს უნდა მივხედოთ და მოვუაროთ"* – გვითხრა სიჭინავამ.

[illegible]

## საბურთალო VS მალაგა

"ბენდელას" სტადიონზე დასასრულს მიუახლოვდა "სალერის თასის" (1997 წელს დაბადებულთა შორის) გათამაშების ჯგუფური ეტაპი.

პირველად ერთმანეთს სტუმრები დაუპირისპირდნენ: **ანდრე კარასკოს** "მალაგამ" **მერაბ ჟორდანიას** არნემის "ვიტესის" 3:1 მოუგო და ტურნირის პირველი ფინალისტი გახდა.

ესპანელების მეტოქე ორგანიზატორთა გუნდის, "საბურთალოსა" და თბილისის "ლოკომოტივის" შეხვედრაში გაირკვა. ამ მატჩის სიუჟეტი ნამდვილი ტრილერივით განვითარდა. მსაჯის საფინალო სასტვენამდე 3 წუთით ადრე "ლოკომოტივი" 2:1 იგებდა, მაგრამ **დავით კევლიშვილისა და გიორგი ჭელიძის** გაწვრთნილებმა მეტოქის კარი ორჯერ აილეს, 3:2 გაიმარჯვეს და ფინალში ისე გავიდნენ, რომ ერთი შეხვედრა სათამაშო დარჩათ – სწორედ "მალაგასთან", რომელსაც თბილისში ჩამოსვლა ერთი დღით დაუგვიანდა.

ამ გუნდების გადადებული ჯგუფური შეხვედრა დღეს, 16 საათზე დაიწყება, მანამდე, 13 საათზე კი მე-3 ადგილისთვის ერთმანეთს "ლოკომოტივი" და "ვიტესი" დაუპირისპირდებიან.

23 დეკემბერს "მალაგა" "საბურთალოს" მეორედ, ამჯერად ფინალში ეთამაშება და ტურნირის გამარჯვებული გამოვლინდება.



ანდრე კარასკოს მალაგამ ფინალის საგზური პირველმა მოიპოვა

ლეგიონერი

# რეალურია კობახიძის არსენალიდან წასვლა?

## კიეველთა ინტერესი სერიოზული ხალხისგან შევიტყვე

საქართველოს ნაკრების შემტევი ნახევარმცველი სანდრო კობახიძე ამჟამად ისვენებს. მისთვის გასული წელი წარმატებული გამოდგა. უკრაინის სხვადასხვა კლუბის სათადარიგოთა სკამზე მომაბეზრებელი ჯდომის შემდეგ, ლეონიდ კუჩუკი კიევის "არსენალში" ენდო და 25 წლის ქართველი ლეგიონერი კლუბის ერთ-ერთი ლიდერი გახდა.

უკრაინაში პოპულარული საფეხბურთო გადაცემა „პროფუტბოლის" მიერ აპრილში გავრცელებული ცნობა, რომ კიევის „დინამო" „არსენალის" მოთამაშით დაინტერესდა, წლის ბოლოს რეალობას დაემსგავსა და ამაზე მთელი ამ ქვეყნის მედია ალაპარაკდა. უკრაინის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი და ამჟამად მწვრთნელი ივან გეცკო დარწმუნებით ამბობდა, რომ კობახიძის გადაყვანა კიეველებს წაადგებოდათ.

სასიამოვნოა, რომ საქართველოს ნაკრების წევრმა "დნიპროში" უნდობლობისა და კრივოი როგის "კრივბასში" გაწვალებული კარიერის შემდეგ, უკრაინაში აღიარება დაიმსახურა.

სანდრო კობახიძე "ლელოს" სტუმარია და საინტერესო ამბებს გვიყვება.

**- უკრაინული კლუბები მოთამაშეებს ხანგრძლივი შვებულებებით არ ანებივრებენ.**

- წელს ისე მოხდა, რომ შვებულება 3 დეკემბრიდან 10 იანვრამდე გაგვირძელდა.

**- გასაგებია, რომ დასვენება ფეხბურთელებს განსაკუთრებით გენატრებათ. საინტერესოა, ამ დროს თუ ვარჯიშობ და ფორმას როგორ ინარჩუნებ?**

- დასვენებაზე მთელი წლის დაღლილობა უნდა მოიშორო, მაგრამ ინდივიდუალურად ვვარჯიშობ. სანამ დაგვითხოვენ, კლუბში ინდივიდუალურ გეგმას გვიდგენენ, რომ მინიმალური კონდიცია შევინარჩუნოთ და მოსამზადებელი ეტაპის დაწყებას წონამომატებული და თამადის ფორმაში არ შევხვდეთ. თავიდან, რამდენიმე დღე ვისვენებდი, მაგრამ ახლა მსუბუქად ვიტვირთები და სუნთქვის დარეგულირებას ვცდილობ, რაც ერთ-ერთი აუცილებელი ვარჯიშია.

**- ნაკრების ფეხბურთელები ამ პაუზის დროს ერთად თამაშით არ ერთობით?**

- თამაშს ვერიდები, რადგან ტრავმის საფრთხე საკმაოდ დიდია. ასეთ დროს მოყვარულებს რომ ხვდები, თავის გამოჩენას ცდილობენ და შეიძლება დაშავდე.

**- ჩამოსვლის შემდეგ თბილისში ისვენებ?**

- დიახ, თბილისი, სახლი და ოჯახური გარემო მომენატრა. ასე კარგად ვერსად ვისვენებ.

**- ბევრი ამ დროს ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე ატარებს.**

- ახლობლები ზღვაზე მეტად მენატრება. მერე ვნახოთ, შეიძლება რამდენიმე დღით წავიდე.

**- მეორე წრისთვის მომზადებას მალე დაიწყებ, მაგრამ რომელ კლუბში? უკრაინულმა მედიამ უკვე კიევის "დინამოში" "ჩაგრიცხა". იქნებ, გაგვარკვიო ჭორ-მართალში.**

- სიმართლე გითხრათ, ჯერ არაფრის თქმა არ შემიძლია.

**- მიწვევა ან გაქვს, ან არა.**

- უბრალოდ, "არსენალის" საქმეა გასარკვევი. გუნდში ვითარება აირია, შესაძლოა, მწვრთნელი ლეონიდ კუჩუკი წავიდეს. ამ კაცის მადლიერიც ვარ, რადგან მენდო და თავის გამოჩენის შანსი მომცა. გარდა ამისა, ფინანსური მდგომარეობაც არასტაბილური გახდა და ყველაფერი მალე გაირკვევა.

მაგრამ დასამალი არ არის: მეც ასე ვიცი, რომ კიევის "დინამოზე" გავრცელებული ინფორმაცია მართალია. უბრალოდ, ჯერ ვერ მეუბნებიან, ეს მოლაპარაკება რა დონეზე მიმდინარეობს.

**- ანუ კიეველებს პირადად არ დალაპარაკებიხარ?**

- პირადად არა, მაგრამ ეს ამბავი სერიოზული ხალხისგან შევიტყვე და კიეველთა ინტერესმა ძალიან გამახარა.

**- ეს ვარიანტი რომ ჩაიშალოს, სხვა კლუბები გაკვირდებიან?**

- დიახ, საკმაოდ საინტერესო შემოთავაზებები მაქვს უკრაინისა და რუსეთის პრემიერლიგის კლუბებიდან.

**- შენ განსაკუთრებით კარგად გეცოდინება იმ გუნდის ფასი, სადაც მწვრთნელი გენდობა. დაინტერესებულ კლუბებში, იმავე კიევის "დინამოში", ინტერესი მათგან მოდის თუ ხელმძღვანელობისგან?**

- ჯერ ყველაფერი არ ვიცი და კონკრეტულ პასუხებს ამიტომაც ვერ გაძლევთ. მწვრთნელის ფაქტორს დიდი მნიშვნელობას ვანიჭებ და "არსენალიდან" თუ წავედი, სწორედ ამ საკითხის გარკვევის შემდეგ გავაფორმებ კონტრაქტს.

**- პირდაპირ ვთქვათ, "არსენალიდან" შენი წასვლის შანსია დიდია?**

- მეც პირდაპირ გეტყვით, რომ შანსი საკმაოდ დიდია.

**- პირადად შენზე რომ იყოს დამოკიდებული, როგორ გუნდში ისურვებდი თამაშს?**

- ისეთში, რომელიც შემტევ ფეხბურთს თამაშობს.

**- ეროვნულ ნაკრებზეც ვილაპარაკოთ. თვალში საცემია, რომ ნაკრებში თამაშს ბევრი კარგად იწყებს, მაგრამ მერე თითქოს დაკომპლექსებულები ხდებიან. მაგალითად, შენ შარშან ძალიან ეფექტურად დაიწყე, წლეულს კი ინიციატივის აღებას ერიდები. თითქოს, რაღაც გაბრკოლებს. გუნდში ასეთი რა გარემოა?**

- ამას მე არა გარემოს, არამედ ნაკრების არადამაჯერებელ გამოსვლას მივაწერ. როდესაც გუნდი სასურველ შედეგს ვერ აღწევს, ფეხბურთელებს მღელვარება გადაეცემათ. ახლა გუნდის მშენებლობა მიმდინარეობს და ალბათ, ამის გამო ჩანს, თითქოს დაძაბულები ვართ. არადა, გუნდში მართლა არ არის დაძაბული ატმოსფერო, პირიქით, მეგობრული ვითარებაა. სამწუხაროა, რომ ჯერ ჩვენ შედეგი არ გვაქვს. არადა, ნაკრებს პოტენციალი ნამდვილად გააჩნია.

**- გასაგებია, რომ საქართველო ესპანეთსა და საფრანგეთს უკან ვერ ჩამოიტოვებს, მაგრამ გუნდმა საკუთარ თამაშსაც რომ ვერ მიაგნო?**

- ახალი გუნდი რომ ყალიბდება, შეუთამაშებლობა ბუნებრივია. თუმცა, იყო რამდენიმე შეხვედრა, როდესაც ჩვენი შესაძლებლობები ფრაგმენტულად მაინც გამოვავლინეთ. მაგალითად, მიმაჩნია, რომ ბელარუსთან თბილისში მეორე ტაიმი და ფინეთთან გასვლაზე საკმაოდ კარგად გამოვიყურებოდით.



გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. XXI ტურის მიმოხილვა

# ყველაფერი გაირკვა, ჯერი ექვსეულებსა და თასზეა



დინამო-მერანი 3:1 — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

დიდთოვლობის გამო, გასული ტურის რამდენიმე მატჩმა ჩაშლის ზღვარზე ჩაიარა. რამდენიმე სტადიონზე განმენდითმა სამუშაოებმა შეხვედრის დაწყება შეაფერხა, თუმცა, საბედნიეროდ, ტური სრული გამოდგა და უმაღლესი ლიგის კალენდარში იძულებითი კორექტივების შეტანა საჭირო აღარ გახდა.

არადა, ეს ის შემთხვევა იყო, როცა, ეგრეთ წოდებული, სარეზერვო დღეები ბუნებაში არ არსებობდა – ჩემპიონატის პირველი ეტაპი აუცილებლად ახალ წლამდე უნდა დამთავრებულიყო. ერთი სიტყვით, სტიქიამ ფეხბურთს ხელი მაინც ვერ შეუშალა და იმედია, წინა სეზონების ავად მოსაგონარი ტრადიცია არც ჩემპიონატის მეორე ეტაპზე გაგრძელდება.



სიონი-მეტალურგი 0:0 — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

"ზამთრის ჩემპიონის" ვინაობა რამდენიმე დღის წინ გამოვლინდა და ეს წოდება თბილისის "დინამომ" არავის დაუთმო. ბოლო ტურამდე არც მეორე მნიშვნელოვანი საკითხის გარკვევა გადაიდო. "ზესტაფონს" საუკეთესო ექვსეულში მოსახვედრად პირველ ეტაპზე დარჩენილ ორ მატჩში მინიმუმ ერთი გამარჯვება ესაჭიროებოდა და საქართველოს მოქმედმა ჩემპიონმა ამ ამოცანის შესრულება "დინამოსთან" საშინაო მატჩისთვის არ შემოინახა – ფეროელებმა "ზუგდიდს" სტუმრად 3:0 სძლიეს და ვიცე-ჩემპიონი "მეტალურგი" მაღალი მიზნებისთვის მებრძოლთა ჯგუფს მიღმა დატოვეს.

## ტორპედო: ნაბიჯი სამეულისკენ

ტურის ცენტრალური მატჩი კი ივანწმინდაში გაიმართა, სადაც პირველი ეტაპის მესამეადგილოსანი შეიძლებოდა გარკვეულიყო. "ტორპედოს" რომ მოეგო სამეულს ნაადრევად დაიბევებდა, თუმცა გია გეგუჩაძის გუნდი "ჩიხურასთან" ფრეს დასჯერდა. ვერ ვიტყვით, რომ საჩხერელი გულშემატკივარი ამ ამბავმა ძალიან გაახარა – "ჩიხურა" მოედანზე სამი ქულისთვის გავიდა, მაგრამ მეტოქის მსგავსად, მიზანს ვერც სოსო ფრუიძის გუნდმა მიაღწია და "ტორპედოს" კვლავ ორი ქულით ჩამორჩება. ზემოიმერლებს პირველი ეტაპის სამეულში დასრულება გაუჭირდებათ, მაგრამ ეს მათთვის საგანგაშო სულაც არ უნდა იყოს – "ჩიხურა" მხოლოდ და მხოლოდ ქებას იმსახურებს, უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულმა გუნდმა ხომ ბევრი კონკურენტი გაამწარა და სრული საფუძველი აქვს იმისთვის, რომ ევროსაგზურისთვის იბრძოლოს.

რაც შეეხება "ტორპედოს", ქუთაისელებიც ევროასპარეზზე გასვლის რეალური კანდიდატები არიან და ჯერ ალბათ არც საჩემპიონო იმედები გადაუწურავთ.

## ჩემპიონი უკეთესი მომავლის იმედით

რასაკვირველია, ჯერ ძალიან ადრეა იმის თქმა, რომ "ზესტაფონმა" მძიმე პერიოდი ბოლომდე დასძლია, მაგრამ სანამ არასახარბიელო ვითარებიდან საფუძვლიანად გამოვა, ჩემპიონს ლოკალური პრობლემა ჰქონდა გადასაჭრელი. საუკეთესო ექვსეულს მიღმა დარჩენა ამბიციური ზესტაფონელებისთვის ნამდვილი კატასტროფა იქნებოდა, თუმცა ფეროელებმა სრული კონცენტრაციის ხარჯზე ბოლო ორ მატჩში ექვს ქულას მოუყარეს თავი და "მეტალურგისთვის" მიუწვდომელნი შეიქნენ. შეგახსენებთ, "ზესტაფონმა" ჯერ "სიონს" სძლია მინიმალურად, "ზუგდიდს" კი განმუხურში სამი უპასუხო ბურთი გაუტანა. სხვათა შორის, ეს ზუგდიდელებისთვის ამ სეზონში პირველი საშინაო მარცხია.

იმასაც გაგახსენებთ, რომ ბოლო ორი მატჩი "ზესტაფონმა" **კახა კაჭარავას** ხელმძღვანელობით ჩაატარა, რომელიც კლუბში დროებით, მწვრთნელ-კონსულტანტის სტატუსით მუშაობს და მისი მომავალი პირველი ეტაპის შემდეგ გაირკვევა.

პირველი ეტაპის ბოლო ტურში კი კაჭარავა თავისი ყოფილი გუნდის, თბილისის "დინამოს" წინააღმდეგ წარსდგება, თუმცა ამ თემას უფრო ვრცლად "ლელოს" ხვალინდელ ნომერში შევეხებით.

## თასი: მეორე გზა ევროპისკენ

ევროთასებზე გასვლის იმედი ზეექვსეულს მიღმა დარჩენილებსაც კი არ დაუკარგავთ, რომელთა შორისაც, უპირველესად, "მეტალურგი" უნდა გამოვყოთ. საამისოდ რუსთაველებს საქართველოს თასზე წარმატებული ასპარეზობა მართებთ. თასის გათამაშება ჩვენს ქვეყანაში არასდროს ყოფილა მეორეხარისხოვანი ტურნირი, ამ სეზონში კი, შესაძლოა, კიდევ უფრო დიდი ინტრიგა ახლდეს თან. ბუნებრივია, იქ გამარჯვებისთვის მხოლოდ "მეტალურგი" არ იბრძოლებს და უდავოდ საინტერესო ბატალიები გველის.

რაც მთავარია, სეზონის მეორე ნახევარში ჩემპიონატისა და თასის მატჩების ხილვა ლამის თანაბარი რაოდენობით მოგვიწევს – მერვედფინალიდან მოყოლებული ხომ მთავარი სათასო ეტაპები წინ გვაქვს.

## სტატუს-კვო შენარჩუნდა

ივანწმინდაში დაფიქსირებულმა ფრემ წყალი, უპირველესად, პირველ-მეორეადგილოსანთა წისქვილზე დაასხა. "დინამომ" და "დილამ" საკუთარ მოედანზე დაგეგმილ გამარჯვებას მიაღწიეს და მესამე პოზიციაზე მყოფ "ტორპედოს" კიდევ უფრო "გაექცნენ". უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, "დილა" მხოლოდ ნომინალური მასპინძელი იყო, აღმოსავლური დიდთოვლობის გამო შიდაქართლელებმა "კოლხეთს" სამტრედიაში უმასპინძლეს.

ნაკლებად სავარაუდო იყო, თბილისელებსა და გორელებს ფეხი დასცდენოდათ, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე მათგანმა "ცალი ფეხით" მოიგო. "მერანი" იოლად რომ არავის ნებდება, დიდი ხანია, ცნობილია, არანაკლებ ალსანიშნავი კი ის არის, რომ უიმედო აუტსაიდერი "კოლხეთი" "დილას" მაქსიმალურად გაუძალიანდა და მინიმალურად, ისიც ავტოგოლით დამარცხდა.

## ქვედა ექვსეულის ინტრიგა

ექვსეულებად დაყოფის შემდეგ ჩემპიონატი, წესით, კიდევ უფრო საინტერესო უნდა გახდეს, გასარკვევი მხოლოდ ძლიერებში კი არა, უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მებრძოლებშიც ბევრია. შევთანხმდეთ, რომ "მეტალურგს" პირველ ლიგაში დაქვეითების საფრთხე არ დაემუქრება, "კოლხეთს" კი ელიტაში დარჩენის შანსი, ფაქტობრივად ალარ გააჩნია.

"მერანი", "ვიტ ჯორჯია", "სიონი", ბათუმის "დინამო" - გამოდის, რომ კიდევ ერთი ზედმეტი ამათგან ერთ-ერთი იქნება. ამ ოთხეულიდან ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ბათუმელები არიან და მათი ბედი იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად ნაყოფიერად შეძლებენ ზამთრის პაუზის გამოყენებას.

პირველი ეტაპი 23 დეკემბერს დასრულდება და მას ამის შემდეგ უფრო დეტალურად შევაჯამებთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## XXI ტურის სიმბოლური ნაკრები






დილა-კოლხეთი 1:0 — ფოტო: www.fcdinamo.e

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

## ვლადიმერ ხაჩიძე

# სპარტაკის კოზირი გუნდის ხელწერაა

## გეგმაში ანთალია და შემადგენლობის გაძლიერებაა

**მიმდინარე წლის მაისში ცხინვალის „სპარტაკს“ უმაღლესი ლიგიდან პირველ ლიგაში მოუწია დაქვეითებამ, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, ვლადიმერ ხაჩიძის გუნდი პირველ ლიგაში შედეგიანად ასპარეზობს და ელიტაში დასაბრუნებლად დამაჯერებლად იბრძვის. "სპარტაკი" პირველი ლიგის ჯგუფში პირველ ადგილზეა, თანაც უახლოეს მდევარ ხობის „კოლხეთს“ (რომელსაც ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული), ერთბაშად 9 ქულით უსწრებს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ცხინვალელები ამ ჰანდიკაპს არ გაანიავებენ და მომავალ სეზონს უმაღლეს ლიგაში დაიწყებენ.**

**პირველ ლიგაში უკვე საფეხბურთო პაუზაა. როგორც ირკვევა, „სპარტაკი“ სეზონის მეორე ნახევრისთვის სამზადისს სხვებზე ადრე, 26 დეკემბერს შეუდგება. მანამდე კი ამ გუნდის მთავარ მწვრთნელს ვლადიმერ ხაჩიძეს სეზონის პირველი ნახევრის შეჯამებისთვის მივმართეთ.**


ვლადიმერ ხაჩიძე

**- შედეგით კმაყოფილი უნდა იყოთ. თუ ფიქრობთ, რომ უკეთესიც შეიძლებოდა?**

- სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ მაისში უმაღლესი ლიგის დატოვებამ მოგვიწია. თუმცა, როგორც იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელიაო, ეს ვითარება სწორედ ჩვენს გუნდზეა ზედგამოჭრილი. პირველ ლიგაში დაქვეითების შემდეგ, გუნდი მნიშვნელოვნად გადავახალისეთ, აქცენტი ახალგაზრდებზე გავაკეთეთ - ჩვენი გუნდის საშუალო ასაკი 20 წელზე დავიყვანეთ, რამაც გაამართლა კიდეც. კლუბის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით, ახალი სეზონისთვის ჩინებულად მოვემზადეთ, რაც სეზონის სტარტზევე გამოჩნდა და დღესაც აშკარად იგრძნობა. მართალი გითხრათ, უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად ორწლიანი პერიოდი დავგეგმეთ, მაგრამ, ისე კარგად აგვეწყო საქმე, რომ 16-დან 14 მატჩი მოვიგეთ, მხოლოდ ერთხელ დავმარცხდით და ერთიც ფრედ ვითამაშეთ. B ჯგუფში პირველ ადგილზე ვართ და უახლოეს მდევარს 9 ქულით ვუსწრებთ. ამ შედეგიდან გამომდინარე, ბუნებრივია, პირველი ადგილის შენარჩუნებას ვეცდებით და უმაღლეს ლიგაში დაბრუნებისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ. რაც შეეხება შეფასებას, მიმაჩნია, რომ ნორმალური შედეგი გვაქვს.

**-ყველაზე კარგად და ყველაზე ცუდად რომელი მატჩები დაგამახსოვრდათ?**

- ერთადერთი მატჩი ხობში წავაგეთ, მაგრამ ცუდად არ გვითამაშია. ძალზე ცუდ მოედანზე მოგვიწია თამაშმა და მეტოქისგან განსხვავებით, არაერთი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. მიმაჩნია, რომ ჩვენმა გუნდმა ყველაზე სუსტად „ზოოვეტთან“ ითამაშა, ალბათ ამიტომაც ვერ მოვიგეთ ის მატჩი და ფრეს დავჯერდით...

ყველაზე კარგად კი „ლოკომოტივთან“ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გამართული გასვლითი მატჩი დამამახსოვრდა. თამაშის დასაწყისში შემთხვევითი გოლი მივიღეთ, მაგრამ საბოლოოდ დამსახურებულად, 3:1 მოვიგეთ. „ლოკომოტივს“ დიდი პოტენციალი გააჩნია, მაგრამ ამ შეხვედრაში "სპარტაკმა" თავისი ხელწერა გამოავლინა და გამართული თამაშით ყველას დაანახვა, რომ პირველ ლიგაში მთავარი ფავორიტია.

**- მაინც რაში მდგომარეობს „სპარტაკის“ წარმატების ფორმულა?**

- ჩვენი კოზირი და წარმატების ფორმულა ისაა, რომ გუნდს საკუთარი ხელწერა აქვს. არაერთხელ მსმენია და მიხარია, რომ ჩვენს თამაშებზე ისეთი ნეიტრალური მაყურებელი დადის, რომელთაც უბრალოდ ლამაზი თამაში ხიბლავთ. ორმაგად სასიხარულოა ის, რომ ასეთი გულშემატკივრის რაოდენობა ჩვენს თამაშებზე იზრდება. რა თქმა უნდა სასიამოვნოა, როცა ჩვენი ერთობლივი გარჯის ნაყოფს, მხოლოდ დაგროვილ ქულებში კი არა, მოედანზე, გუნდის ლამაზად და გამართულად თამაშში ხედავ. მატჩიდან მატჩამდე ვუმატებთ და ეს ძალიან მახარებს.

**- როგორ ფიქრობთ, შეძლებდა ამ ფორმაციის "სპარტაკი" უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას?**

- ის ახალგაზრდა ბიჭები, რომლებიც გასულ სეზონში ჩვენთან იყვნენ და შევინარჩუნეთ, საფეხბურთო თვალსაზრისით გაიზარდნენ, უკეთ ათამაშდნენ. ამასთან, „სპარტაკმა“ პირველ ნომრად თამაში ისწავლა, რაც უმაღლეს ლიგაში არ გამოგვდიოდა... ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ამჟამინდელი გუნდით უმაღლეს ლიგაში ადგილს შევინარჩუნებდით.

**- რომელ ფეხბურთელებს ან რომელ სათამაშო რგოლს გამოარჩევდით?**

- კონკრეტულად რომელიმე მოთამაშის ან ფეხბურთელის დასახელება არ მჩვევია. ეს გუნდია და ჩვენი შედეგი მთლიანი გუნდის დამსახურებაა.

**- ჯგუფში ყველაზე ნაკლები, 8 გოლი გაუშვით...**

- 16 მატჩში 8 გოლის გაშვება კარგი შედეგია. მით უმეტეს, როცა ტაქტიკური შეცდომით არც ერთი ბურთი არ მიგვილია. ეს მეკარისა და დაცვის, ორივე რგოლის დამსახურებაა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი გუნდის დაცვის ხაზი სეზონის წინ დავაკომპლექტეთ. მცირე ხარვეზების გამოსწორება და მომატება ყველა რგოლში გვჭირდება და მოვუმატებთ კიდეც, რადგან უმაღლეს ლიგაში უფრო უკეთ თამაში გვმართებს.

**- ხობის "კოლხეთის" გარდა, უმაღლესი ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში მთავარ კონკურენტად რომელ გუნდებს მიიჩნევთ?**

- „ლოკომოტივზე“ უკვე გითხარით, ამ გუნდს დიდი პოტენციალი აქვს. ამას გარდა, "კოლხეთი" თავისთავად რეალური პრეტენდენტია, გამოვარჩევდი ასევე ქობულეთის „შუქურას“. მთლიანად კი ჩვენს B ჯგუფში 4-5 კლუბია, რომლებიც პირველი ლიგის დონეზე კარგ გუნდებად მიიჩნევა.

**- მაინც რა სხვაობაა უმაღლეს და პირველ ლიგებს შორის?**

- მთავარი სხვაობა სისწრაფეებშია. უმაღლესისგან განსხვავებით, პირველ ლიგაში ტემპი დაბალია. ამას გარდა, რეგიონებში მეტად იგრძნობა კარგი მოედნების დეფიციტი... და კიდევ ერთი, პირველი ლიგის შემსრულებლები უმაღლესი ლიგის გუნდების შემსრულებლებს კლასით ჩამორჩებიან. თუმცა, პირველ ლიგაში ასპარეზობას დიდი გამოცდისთვის „სპარტაკი“ ნაყოფიერად იყენებს.

**- თასის გათამაშებაზე მომდევნო ეტაპზე ხართ. ორ ფრონტზე იბრძოლებთ, თუ მთავარ აქცენტს უმაღლესში დაბრუნებაზე გააკეთებთ?**

- ჩვენი მიზანი, უმაღლესში დაბრუნება, მაგრამ თასის გათამაშებაშიც ბოლომდე ვიბრძოლებთ. რაც უფრო მეტ კარგ გუნდს ვეთამაშებით, უკეთესია, უმაღლესი ლიგისთვის ჩვენი გუნდი მეტად გამოიწრთობა.

**- ზამთრის პაუზა დადგა და მალე ტრანსფერებიც გაჩაღდება. გაძლიერდებით თუ სეზონის მეორე ნახევარში იმავე შემადგენლობით იასპარეზებთ?**

- მთავარ ბირთვს შევინარჩუნებთ და ორი-სამი ფეხბურთელით გავაძლიერებთ გუნდს. იმ ფეხბურელებს დავიმატებთ, რომლებიც ხასიათითა და თამაშის მანერით ჩვენს გუნდს შეესაბამებიან.

**- „სპარტაკი“ სად მოემზადება?**

- 26 დეკემბერს თბილისში განვაახლებთ მზადებას და მოსამზადებელი პერიოდის პირველ ეტაპსაც ადგილზე გავივლით. თებერვლის დასაწყისში ანთალიაში გვინდა მოსამზადებელი შეკრების გავლა. გვინდა, რაც შეიძლება კარგ გუნდებთან სპარინგმატჩებში გამოვცადოთ ჩვენი ფეხბურთელები.

**ლევან ჯანეზაშვილი**

უცხოელები ჩვენს ჩემპიონატში

# ჩვენ და დინამო

## რატომ არ ჰყავს მანქანა მარინ სკენდერს

**ხორვატი მარინ სკენდერი გორის "დილას" მეკარეა, ეს ის შემთხვევაა, როცა ლეგიონერი მასზე გაცემულ ავანსებს ამართლებს.**

**სკენდერი "დილაში" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია, არაერთხელ უთამაშია ჩინებულად, რაც მთავარია, მან სტაბილურად წარმოაჩინა თავი საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ერთ-ორ შეცდომას თუ არ ჩავთვლით.**

**ახმახი, მოქნილი, გაბედული, ალღოიანი – ძნელია, ნაკლი უპოვო ამ მეკარეს. სკენდერი მოედანზე უემოციოდ როდი ირჯება, თუმცა ამავე დროს გაწონასწორებულია და ინციდენტებში არ მონაწილეობს.**

**33 წლის სკენდერი კარგი მოსაუბრეც აღმოჩნდა, რუსულს თუ ინგლისურს უმაღლეს დონეზე არ ფლობს, მაგრამ კომუნიკაციას ჩინებულად ახერხებს.**

**მაშ ასე, "ლელოს" კითხვებს ხორვატი მარინ სკენდერი პასუხობს...**


მარინ სკენდერი (მარჯვნივ)

**- ხორვატი ფეხბურთელები ძალიან ბევრ ქვეყანაში არიან მიმოფანტულები, თუმცა საქართველო მათთვის არცთუ მიმზიდველია კარიერის გასაგრძელებლად. როცა თქვენ ამ გადაწყვეტილებას იღებდით, ყველაზე უფრო რომელი ფაქტორი გაითვალისწინეთ?**

- ჩემი მენეჯერი დამიკავშირდა და მითხრა, საქართველოში ახალი გუნდის ჩამოყალიბებას აპირებენ, ყველანაირად კარგი გუნდი იქნება, სულ რჩეულ ფეხბურთელებს იწვევენ და იქნებ დაფიქრდე ამ ვარიანტზეო. გადაწყვეტილება უცბად არ მიმიღია, გავითვალისწინე ის, რომ მანამდე სულ ხორვატულ კლუბებში ვიყავი, არასდროს მითამაშია საზღვარგარეთ და მოკლევადიან კონტრაქტზე თანხმობა განვაცხადე. 4-5 თვე საჭიროა იმისთვის, რომ კარგად გაიცნო ახალი კლუბი და გარემო. გადავედი "დილაში" და ყველაფერი ნორმალურად წარიმართა, მოვიგეთ საქართველოს თასი, მართლაც კარგი გუნდის შექმნა მოხერხდა. ითქვა, რომ საევროტურნიროდ და მომდევნო ჩემპიონატისთვის "დილა" კიდევ უფრო გაძლიერდებოდა და კონტრაქტიც გავახანგრძლივეთ ექვსი თვით.

**- ფეხბურთში პირველი პროფესიული ნაბიჯები "ოსიეკში" გადადგით, იქ, სადაც დავორ შუკერმა დაიწყო კარიერა...**

- მასეა, შუკერმაც "ოსიეკიდან" დაიწყო და სასიხარულოა, რომ ამ კლუბს და ამ ფეხბურთელს ყველგან რომ იცნობენ. "ოსიეკში" 6-7 წელი ვიყავი, შემდეგ "ზაგრებში" გადავედი, ერთი წლის შემდეგ კი ზაგრების "დინამოში".

**- ხორვატიის ეროვნულ ნაკრებში რამდენჯერმე მიგიწვიეს, თუმცა ნაკრებში თამაშმა არ მოგიწიათ...**

- ეროვნულ გუნდში ექვსჯერვე ვიყავი გამოძახებული, ერთხელ ვითამაშე კიდეც, თუმცა ის არაოფიციალური შეხვედრა იყო.

**- ხორვატიისა და საქართველოს ჩემპიონატებს შორის განსხვავება დიდია?**

- ასე ვიტყოდი: ხორვატიის ჩემპიონატი ცოტათი უკეთესია. საქართველოში 4-5 გუნდს აქვს კარგი პირობები, ხორვატიაში კი ასეთი კლუბი გაცილებით მეტია. ხორვატული კლუბები დასავლეთევროპულ გუნდებს ვერ უტოლდებიან, მაგრამ მთლიანობაში რომ ავიღოთ, ქართულ კლუბებზე უკეთეს პირობებში არიან. საქართველოში ზოგი ისეთი კლუბია, უმაღლეს ლიგას ასეთი რომ არ ეკადრება, მაგრამ კარგად მესმის აქაური მდგომარეობა, საქართველოში შექმნილი პრობლემები, ოღონდაც, თუ კარგი ჩემპიონატი გვინდა, ფეხბურთში უფრო მეტი ფული უნდა ჩაიდოს.

**- თბილისში ცხოვრებას როგორ შეეგუეთ? აქ ოჯახთან ერთად ცხოვრობთ?**

- მეუღლე და სამი ქალიშვილი მყავს. საქართველოში რომ ჩამოვედით, ერთი თვე, ცოტა არ იყოს, რთული იყო აქ ცხოვრება, მაგრამ მერე ყველაფერი კალაპოტში ჩადგა, ნორმალურ ადგილას ვცხოვრობთ და ბინაც კარგი გვაქვს, ჩემთვის და ჩემი მეუღლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ერთად ვართ. მოკლედ, თბილისში ცხოვრებით არანაირი პრობლემა არ მაქვს.

**- "დილამ" წლეულს ევროპა ლიგის შესარჩევში კარგად ითამაშა, თუმცა გულშემატკივარი მისგან უფრო მეტს ელოდა. დღევანდელი გადმოსახედიდან, როგორ ფიქრობთ, პორტუგალიური "მარიტიმუს" დამარცხება შეუძლებელი იყო?**

- რაც "დილამ" მოახერხა წლევანდელ ევროსარბიელზე, ეს უკვე მნიშვნელოვანი მიღწევა იყო. ჩვენ დავამარცხეთ "ორჰუსი" და "ანორთოსისი", მერწმუნეთ, ორივე საკმაოდ კარგი გუნდია. რაც შეეხება "მარიტიმუსთან" დაპირისპირებას, გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ 3-4 თვის გუნდი ვიყავით იმ დროისთვის, ევროპა ლიგის ჯგუფში მოხვედრას კი მინიმუმ ერთი-ორი წელი მაინც სჭირდება, ერთი მწვრთნელის ხელში ფებურთელების ბირთვი მინიმუმ ამ ხნის განმავლობაში ერთად უნდა იყოს, თუ მნიშვნელოვან წარმატებაზე კეთდება გათვლა. მოკლე დროში კი ამის გაკეთება ძალიან ძნელია.

**- საქართველოში ყველაზე უფრო რომელი გუნდი მოგწონს? ვინ თამაშობს ყველაზე ლამაზ ფეხბურთს?**

- ყველაზე უფრო "ტორპედო" მომწონს, ეს გუნდი კარგ ფეხბურთს თამაშობს. გადააგდე ბურთი და გაიქეცი, იბრძოლე გადმოვარდნილ ბურთზე – "ტორპედო" ამაზე უარს ამბობს და ფეხბურთს თამაშობს ბევრი პასით, თანაც ახალგაზრდული გუნდია. მომწონს "დინამო", ბევრი გოლი გააქვს, 21 ტურის შემდეგ 62 ბურთი აქვს შეგდებული, თითო მატჩში სამი გოლი საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

**- საქართველოში მოთამაშე თავდამსხმელებში ვის გამოარჩევდი?**

- ცოტა ხნის წინ გამორჩეული ვანაძე გახლდათ, ახლა კი საუკეთესოები ჩისკო და დვალი არიან.

**- 90-იანი წლების მეორე ნახევარში ხორვატიას ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავდა, იმ თაობის შემდეგ არაერთი კარგი ფეხბურთელი გამოჩნდა ხორვატიაში, თუმცა ნაკრებს ისეთივე წარმატებები არ ჰქონია – რა არის ამის მიზეზი?**

- ხორვატიაში ახლაც ბევრი ნიჭიერი სპორტსმენია. ჩოგბურთი, მძლეოსნობა, კალათბურთი – ტალანტები აქაც გვყავს. ხორვატიაში მხოლოდ ერთი სამთო-სათხილამურო ტრასაა, მაგრამ ამ სახეობაში მსოფლიოს ჩემპიონი გვყავს როგორც ქალებში, ისე კაცებში. ყველაზე პოპულარული სპორტი კი, რა თქმა უნდა, ისევ ფეხბურთია, ოღონდაც ხორვატია საქართველოსავით პატარა ქვეყანაა და ეს გასათვალისწინებელია. ბოლო ოცი წლის განმავლობაში ხორვატიის ნაკრები რეიტინგში ათ საუკეთესო გუნდშია და ვფიქრობ, ეს დიდი მიღწევაა. 1998 წელს მსოფლიოს ჩემპიონატში მესამე ადგილზე რომ გავედით, ისეთივე ნაკრები ახლა აღარ გვყავს, თუმცა ხორვატია კვლავაც ერთ-ერთი გამორჩეული გუნდია. ევროპის ბოლო ჩემპიონატზე ჯგუფში ესპანეთთან და იტალიასთან მოხვდა, ეს ორი გუნდი კი ფინალში გავიდა, მანამდე ხორვატია მეოთხედფინალამდე ორჯერ მივიდა ევროპის ჩემპიონატზე. თაობები იცვლება და ყოველთვის ვერ გვეყოლება საოცარი პლეადა, დღეს ყველაზე გამორჩეული ხორვატი ფეხბურთელები მოდრიჩი და მანჯუკიჩი არიან.

**- ხორვატიის ნაკრებში თამაში – ამის პერსპექტივას როგორ უყურებთ?**

- თუ უკეთეს ლიგაში გადასვლას მოვახერხებ, შანსი ალბათ მექნება. ხორვატიას ახლა 5-6 ისეთი კარგი მეკარე ჰყავს, ძლიერ ევროპულ ლიგებში რომ თამაშობენ და საქართველოდან ხორვატიის ნაკრებში მოხვედრა ძალიან რთულია.

**- რა მენტალურ მსგავსებასა და განსხვავებას ამჩნევთ ქართველებსა და ხორვატებში?**

- მომწონს, რომ ქართველები მეგობრული ხალხია, ხორვატებიც ასეთები ვართ. "დილაში" კარგი, მეგობრული სიტუაციაა და ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. რაც შეეხება განსხვავებებს, ეს უფრო ტრადიციებიდან მოდის. ერთიც უნდა ვთქვა: საქართველოში მანქანების არაორგანიზებული მოძრაობაა, აქ უმანქანოდ დავდივარ. ბავშვს რომ დავატარებ თავისი ეტლით და გადასასვლელთან მივალ, მძღოლები გზას არ მითმობენ და მეც ხუთი წუთი ვუნდები გზის მეორე მხარეს გადასვლას. ხორვატიაში კი ასე არ არის, ასეთ სიტუაციაში ყველა მძღოლი უთმობს გზას ფეხით მოსიარულეს.

**- დაბოლოს, როგორია თქვენი პროგნოზი საქართველოს ჩემპიონობაზე?**

- ვფიქრობ, ჩემპიონობისთვის ორი გუნდი იბრძოლებს – ჩვენ და "დინამო". დინამოელები ექვსი ქულით გვისწრებენ, მაგრამ თუ "დილა" ამ შემადგენლობას შეინარჩუნებს, ჩემპიონობის კარგი შანსი გვექნება.

**- მიმდინარე სეზონის მეორე წრეში "დინამოსთან" 0:3 წააგეთ...**

- ზედიზედ თორმეტი წაუგებელი მატჩის შემდეგ "ბარსელონასაც" კი გაუჭირდებოდა წარმატებით თამაში, ერთი ცუდი მატჩი ყველას უთამაშია. სხვათაშორის, ისიც მითხრეს, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში "დინამომ" იმ შეხვედრაში საუკეთესო თამაში აჩვენაო...

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიგის თასი. 1/4-ფინალი. გამოხმაურება

# ჩელსის შეხვედრა კენი ბეიტსთან


ჩელსიში გატარებული 21 წლის შემდეგ კენ ბეიტსმა ფინანსურად შეჭირვებული კლუბი 2003 წელს რომან აბრამოვიჩს მიჰყიდა

**ლიდსი-ჩელსი 1:5**

**გოლები:** 1:0 ბეკიო (37), 1:1 მატა (47), 1:2 ივანოვიჩი (64), 1:3 მოზესი (66), 1:4 აზარი (81), 1:5 ტორესი (83)

**ლიდსი:** ეშდაუნი, პელტიე, პირსი, ლისი, ბაირამი, ტომასი (68. უაიტი), ბრაუნი (72. ნორისი), ტონგი, გრინი, დიუფი (73. მაკორმაკი), ბეკიო

**ჩელსი:** ჩეხი, ასპილიკუეტა, ივანოვიჩი, ლუისი, ბერტრანი (74. ე. კოული), ლემპარდი, მოზესი, ოსკარი, მატა (86. პ. ფერეირა), მარინი (60. აზარი), ტორესი

"ჩელსისთვის" "ლიდსთან" დაპირისპირება არ იყო რიგითი თამაში ლიგის თასის რომელიღაც ეტაპზე. ლონდონური გრანდი **კენ ბეიტსის** ახალ პირმშოს უნდა დაპირისპირებოდა. ბეიტსი ის კაცია, ვისაც "ჩელსის" ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. 2003 წელს, მას მერე, რაც ბიზნესმენს პრემიერლიგის კლუბის შესანახი ფული აღარ ჰქონდა, მან ცხოვრებაში ყველაზე რთული გადაწყვეტილება მიიღო და ის გაყიდა. მას მერე „სტემფორდ ბრიჯზე" თითქმის ყველაფერი შეიცვალა. მოხუცს გუნდში ორადორი ნაცნობიღა დარჩა **ფრენკ ლემპარდი** და **ჯონ ტერი**. *"ლიდსისთვის" ეს ძალიან დიდი თამაში იქნება. ჩემს ძველ გუნდში თითზე ჩამოსათვლელ ფეხბურთელებსღა ვიცნობ. მათთან შეხვედრა ძალიან სასიამოვნო იყო,"* – აცხადებდა ბეიტსი მატჩის დაწყებამდე.

კენ ბეიტსი ოპტიმისტურად იყო განწყობილი, მაგრამ რეალობა სხვანაირია: "ლიდსისთვის" "ჩელსისთან" თანაბრად ჭიდაობა შეუსრულებელი მისია აღმოჩნდა. "ელანდ როუდზე" სტუმრებმა მეორე ტაიმში მეტოქისგან ქვა ქვაზე არ დატოვეს.

**მატჩის შემდგომ**

**რაფაელ ბენიტესი (ჩელსი):** *"მომდევნო ეტაპზე გასვლით კმაყოფილი ვარ. კმაყოფილი ვარ იმითაც, თუ როგორ გავაკეთეთ ეს. იაპონიაში მგზავრობისა და სასაათო სარტყელების ცვლილებების გადამკიდეს, ცოტა დრო გვქონდა ძალების აღსადგენად. ინგლისში დაბრუნების შემდეგ ფეხბურთელებმა ფიზიკური მზადყოფნის ტესტი ჩააბარეს. შემადგენლობაში ცვლილებები სწორედ ამან გამოიწვია. დაღლილობის მიუხედავად გუნდმა კარგი მეორე ტაიმი ჩაატარა. დროის ამ მონაკვეთში ზუსტად ისე ვითამაშეთ, როგორც წარმომიდგენია იდეალურ სიტუაციაში. დღეს უპირველესად გუნდურად ვიყავით კარგები, ამიტომ რომელიმე ფეხბურთელის ცალკე გამოყოფა უსამართლობა იქნებოდა. გოლის მომენტში შეცდომა დავიდ ლუისმა დაუშვა, მაგრამ მხოლოდ მასზე მთელი პასუხისმგებლობის გადატანას მაინც არ ვაპირებთ, რადგან დაზღვევამ არ იმუშავა. უახლოეს პერიოდში ვიზრუნებთ, რომ დაცვა კიდევ უფრო მეტად შეიკრას".*

**ნილ უორნოკი (ლიდსი):** *"მთლიანობაში მაინც მოვახერხეთ მეტოქისთვის სერიოზული პრობლემების შექმნა. ანგარიშის მიუხედავად მიმაჩნია, რომ ცუდად არ გვითამაშია. პირველი გოლი ჩვენი შეცდომის გამო გავიდა, რის შემდეგაც "ჩელსიმ" თავისი პოტენციალი ბოლომდე გამოიყენა და შანსი ხელიდან აღარ გაუშვია".*

**1/2-ფინალის კენჭისყრა**

ლიგის თასის 1/2-ფინალში შეხვდებიან "ბრედფორდი"-"ასტონ ვილა", "ჩელსი"-"სუონსი". წყვილები ერთმანეთს 8 და 21 იანვარს დაუპირისპირდებიან. მომდევნო მეტოქის ვინაობის შეტყობის შემდეგ რაფა ბენიტესმა მოკლე კომენტარი გააკეთა: *"ამჟამად ჩემი უმთავრესი ამოცანა "ასტონ ვილასთან" მე-18 ტურში გამარჯვებაა. "სუონსი" ლიგის თასის 1/2-ფინალში გავიდა, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ შეუძლებელია ხელწამოსაკრავი მეტოქე იყოს. "გედებს" კარგი შემადგენლობა ჰყავთ. ისინი შემტევ ფეხბურთს თამაშობენ და რაკი ფინალს ძალიან ცოტა აშორებთ, დამატებითი მოტივაციის ძებნა არ დასჭირდებათ".*

ქუინზ პარკი

# ზამორას იმედი აქვს


ბობი ზამორა ნავარაუდებზე ადრე თამაშს იმედოვნებს

"ქუინზ პარკისთვის" სეზონი უიღბლოდ დაიწყო. 15 სექტემბერს, მე-4 ტურში "ჩელსის" წინააღმდეგ მუხლის უმძიმესი ტრავმა მიიღო 31 წლის **ენდრიუ ჯონსონმა**. მალე გაირკვა, რომ მისთვის სეზონი დასრულებული იყო. გავიდა ორი თვე და **ბობი ზამორაც** დაშავდა. უკანასკნელს გაუმართლა, მას 3-თვიანი უქმობა უწინასწარმეტყველეს. წესით, 31 წლის შემტევი თებერვლის ბოლოს უნდა ჩამდგარიყო მწყობრში. როგორც აღმოჩნდა, ბობის გამოჯანმრთელების პროცესი იმაზე სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ექიმებს წარმოედგინათ. *"თამაშს ალბათ უახლოეს 4-5 კვირაში მოვახერხებ. ოპერაცია სამი კვირის წინ გამიკეთეს. საკუთარ თავზე მუშაობას კი უკვე შევუდექი. იმედი მაქვს, რეაბილიტაციის პროცესი უპრობლემოდ წარიმართება,"* – აცხადებს ზამორა.

იმის მიუხედავად, თუ როდის დაბრუნდება ზამორა, "რეინჯერები" წინა ხაზის მოთამაშის შესაძენად იანვარში სატრანსფერო ბაზარზე გასვლას გეგმავენ. მათ სამიზნეში ექსჩელსელი **სალომონ კალუ** მოხვდა. 27 წლის ივუარელმა "სტემფორდ ბრიჯი" წინა სეზონის დასრულებისთანავე დატოვა და "ლილთან" კონტრაქტს 2016 წლამდე მოაწერა ხელი. ფრანგულ კლუბს გარკვეული ფინანსური პრობლემები შეექმნა. თანაც ფეხბურთელი ლიგა 1-ს დიდად ვერ შეეწყო. კონტინენტზე გადაბარგების შემდეგ მის ანგარიშზე 20 თამაშში 3 გოლი და ამდენივე პასია. სავარაუდო გარიგების ფინანსურ დეტალებზე სპორტული ვებგვერდები არაფერს წერენ.

## ფულჰემი და ქუინზ პარკი არ უფრთხიან

ლონდონის მეტროპოლიტენის მუშაკებმა 26 დეკემბრისთვის გაფიცვა გადაწყვიტეს, რაც ისეთ მეგაპოლისში, როგორიც ბრიტანეთის დედაქალაქია, ხალხს გადაადგილების სერიოზულ პრობლემას შეუქმნის. პრემიერლიგას ამან ცალკე თავის ტკივილი გაუჩინა. 26-ში ლონდონში სამი თამაშია დაგეგმილი. "ფულჰემი" "საუთჰემპტონს" მასპინძლობს, "ქუინზ პარკი" – "ვესტ ბრომვიჩს" და "არსენალი" - "ვესტ ჰემს". პირველმა ორმა წყვილმა უკვე მიაღწია შეთანხმებას, რომ მიუხედავად პრობლემებისა, თამაშებს მაინც ჩაატარებენ. კლუბები გულშემატკივრებს დაჰპირდნენ, რომ თამაშების დღეს ინტერნეტით რეგულარულად მიაწვდიან ინფორმაციას სატრანსპორტო საკითხებთან დაკავშირებით. რაც შეეხება "არსენალი-"-"ვესტ ჰემს", დერბი 23 ან 26 იანვრისთვის გადაიდო.

ამბები



## ქველმოქმედი იუნაიტედი

"მანჩესტერ იუნაიტედმა" "ოლდ ტრეფორდის" საბანკეტო დარბაზში ტრადიციული წინასაშობაო საქველმოქმედო აქცია გამართა. ღონისძიებას კლუბის ლამის მთელი პერსონალი დაესწრო. წინასწარ მკაცრად იყო განსაზღვრული ჩაცმის სტილი. ქალბატონები სალამოს კაბებში უნდა ყოფილიყვნენ, მამაკაცები - შავ კოსტიუმებსა და ჰალსტუხებში. არ მოსულა მხოლოდ სერ **ალექს ფერგიუსონი**. შოტლანდიელის თქმით ახლა მას "სუონსისთან" გასვლითი შეხვედრის გარდა არაფერი ანაღვლებს. ბანკეტზე დასწრება ფასიანი იყო და ამგვარად 130 ათასი ფუნტი შეგროვდა.

## სტერლინგი 2017 წლამდე

დიდი ხანია იწერებოდა, რომ "ლივერპულის" თინეიჯერი ვარსკვლავი **რაჰემ სტერლინგი** კლუბთან ახალი ხელშეკრულების გასაფორმებლად ემზადებოდა. ფეხბურთელი 18 წლის 8 დეკემბერს გახდა. "ლივერპულმა" დაბადების წინა დღეებში მას თანამშრომლობის გახანგრძლივება შესთავაზა. მოლაპარაკებები დიდხანს არ გაგრძელებულა. რაჰემმა 19 დეკემბერს ხელმოწერით დაადასტურა, რომ 2017 წლის 30 ივნისამდე "ლივერპულში" ითამაშებს. სტერლინგმა მიმდინარე სეზონში ყველა ტურნირში ერთად "წითლების" ღირსება 25-ჯერ დაიცვა, სადაც 1 გოლი გაიტანა და 5 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. 14 ნოემბერს მას შვედეთის ნაკრებთან 2:4-ზე წაგებულ შეხვედრაში დებიუტი ჰქონდა ინგლისის ნაკრებშიც.

## ვესტ ჰემს კეროლი აღარ სჭირდება

GOAL.COM-ის ინფორმაციით, იანვარში "ვესტ ჰემი" "ლივერპულიდან" ერთწლიანი იჯარით წაყვანილი 23 წლის **ენდი კეროლისთვის** ხელშეკრულების გაწყვეტას გეგმავს. კლუბებს შორის შეთანხმებაში მსგავსი პუნქტი ნამდვილად არსებობს. მიზეზი ტანმაღალი ფეხბურთელის ტრავმები და არაეფექტური თამაშია. მიმდინარე სეზონში კეროლმა "ჩაქუჩების" ღირსება 13 თამაშში დაიცვა და ერთადერთი გოლი გაიტანა. ამას ისიც დაემატა, რომ ცოტა ხნის წინ პოლიციამ მას ჟურნალისტის ფიზიკურ შეურაცხყოფაში დასდო ბრალი. შეგახსენებთ, რომ 23 წლის მოთამაშემ 28 ნოემბერს, "მანჩესტერ იუნაიტედთან" მეორე ტაიმში მუხლის ტრავმა მიიღო და ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით ფეხბურთს იანვრის ბოლომდე ვერ ითამაშებს.

## ბირმინგემი თუ პალერმო

"მანჩესტერ სიტის" შვედმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა, 20 წლის **ჯონ გუიდეტიმ** შარშანდელი სეზონი "ფეიენოორდში" შთამბეჭდავად ჩაატარა. ერედივიზიეში მის ანგარიშზე 20 გოლი იყო. სეზონის მიწურულს ჯონმა მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო, რამაც ის "ტრე კრუნურის" ევროპის საჩემპიონატო განაცხადს მიღმა დატოვა. გუიდეტის მას მერე აღარ უთამაშია, თუმცა ის იანვარში მოედანზე დაბრუნებას გეგმავს. შესაბამისად, მისით დაინტერესებული კლუბები უკვე აქტიურობენ. სპორტული ვებგვერდების ცნობით, შვედის იჯარით წაყვანა "პალერმოსა" და "ასტონ ვილას" სურთ. გარიგების ფინანსური დეტალები უცნობია. მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ ნიჭიერი თავდამსხმელის გაყიდვას "ქალაქელები" არ გეგმავენ.



## ნასრის ტრავმა

შობა-ახალი წლის დღეებში პრემიერლიგაში ე.წ. boxing day-ის პერიოდი დგება, რაც იმას ნიშნავს, რომ გუნდებს ლამის ყოველ მესამე დღეს უწევთ თამაში. მჭიდრო გრაფიკის გამო ყოველ ფეხბურთელს ამ დროს ოქროს ფასი ედება. "მანჩესტერ სიტის" არ გაუმართლა. 25 წლის **სამირ ნასრიმ** "ნიუკასლთან" XVII ტურის შეხვედრაში საზარდულის ტრავმა მიიღო და მოედანზე უახლოესი ორი კვირის განმავლობაში ვერ გავა.

## დაბრკოლებები სტარიჯის ტრანსფერში

"ტელეგრაფის" ცნობით, "ლივერპულის" ხელმძღვანელების მიერ მიღებული ახალი წესების გამო "ჩელსიდან" 23 წლის **დენიელ სტარიჯის** ტრანსფერი შეიძლება ჩაიშალოს. მერსისაიდელთა ბოსები წინააღმდეგი არიან ფეხბურთელის ინტერესების დამცველ კომპანია "ოქტაგონს" ის თანხა გადაუხადონ, რასაც ისინი ითხოვენ. "ენფილდზე" ჯერ კიდევ იმედი აქვთ, რომ გარიგება შედგება, თუმცა უკვე შეიმუშავეს "გეგმა ბ" და "პარი სენ-ჟერმენს" **კევინ გამეიროზე** ჩამოუგდეს სიტყვა. 25 წლის ფრანგს მიმდინარე სეზონში თამაშის საშუალება მხოლოდ მაშინ ეძლევა, როცა **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** დისკვალიფიცირებულია ან დაღლილი. საფრანგეთის ნაკრების ფორვარდი დედაქალაქურ კლუბში მისი ამჟამინდელი სტატუსით ფრიად უკმაყოფილოა.

## მაკეხრანი სეზონს ჩემპიონშიპში დაასრულებს

"ჩელსის" 21 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა **ორიოლ რომეუმ** ტრავმის გამო სეზონი ნაადრევად დაამთავრა. პრესამ რამდენიმე ვარიანტი განიხილა, თუ როგორ მოიქცეოდა ლონდონური კლუბი. პირველ რიგში ლაპარაკი წავიდა ახალი საყრდენის დამატებაზე, მაგრამ "ჩელსი" იანვარში მხოლოდ შემტევ ფეხბურთელებს უმიზნებს. არის სხვა გამოსავალიც – იჯარით გაშვებული მოთამაშეების დაბრუნება. ერთ-ერთი, ვისაც "ჩელსის" სათადარიგოთა სკამის გაძლიერება შეუძლია, "მიდლსბროში" მივლინებული 20 წლის **ჯოშ მაკეხრანია**. "პენსიონერებმა" ეს ვარიანტიც გამორიცხეს. როგორც ჩანს, **რაფა ბენიტესი** შიდა რესურსებით აპირებს ფონს გასვლას.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

● იტალიის თასი. 1/8 ფინალი

# ნაპოლის ბოლონიური სინდრომი შეეყარა

## ფიორენტინამ თასზეც ივარგა




ბოლონიამ" "ნაპოლი" თასზეც დაამარცხა

**ლაციო-სიენა 1:1 პენ. 4:1**

**გოლები:** 0:1 ცანა (56-საკ. კარში), 1:1 სიანი (90).

**ლაციო (4-4-2):** კარიცო - კავანდა, სიანი, დიაკიტე (83. როძი), ცანა - ბროკი (63. მაური), ლულიჩი, ონაზი (63. ლედესმა), ერნანესი - ფლოკარი, კოზაკი.

**სიენა (4-4-2):** ფარელი - ბელმონტე, კონტინი, პაჩი, დელ გროსო - ნეტო, დაგოსტინო (87. როდრიგესი), ვერგასოლა, ვალიანი (72. ბოლცონი) - რეჯინალდო, ბოგდანი (55. ლარონდო).

**უდინეზე-ფიორენტინა 0:1**

**გოლი:** 0:1 ბორხა ვალერო (36).

**უდინეზე (3-5-2):** პადელი - ბასტა (83. მაიკოსუელი), დანილო, ერუ - ანჯელა, გაბრიელ სილვა, პინცი (55. მურიელი), ლაძარი (68. პერეირა), ალანი - დი ნატალე, ფაბრინი.

**ფიორენტინა (4-3-3):** ნეტო - ტომოვიჩი, გონსალო, რონკალია, პასკუალი - აკვილანი (71. მილიაჩო), ფერნანდესი, ბორხა ვალერო - კუადრადო (76. რომულო), ლიაიჩი (60. იოვეტიჩი), სეფეროვიჩი.

**ნაპოლი-ბოლონია 1:2**

**გოლები:** 1:0 კავანი (12), 1:1 პასკუატო (38), 1:2 კონე (90).

**ნაპოლი (3-5-2):** დე სანქტისი - ფერნანდესი (75. ცუნიგა), კამპანიარო, ბრიტოსი - მესტო, ელ ქადური (60. ჰამშიკი), დოსენა (82. ინსინიე), დონადელი, ინლერი - პანდევი, კავანი.

**ბოლონია (4-4-2):** სტოიანოვიჩი - სორენსენი, გარიჩი, კარვალიო, აბერო - რადოვანოვიჩი, გუარენტე, კონე, რივეროლა (64. პორტანოვა) - პაპონი (72. ვერატი), პასკუატო.

იტალიის თასის მერვედფინალური ეტაპის ბოლო სამი შეხვედრა ოთხშაბათს გაიმართა და ბოლო მეოთხედფინალისტებიც გამოვლინდნენ. მატჩებმა საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგან ერთმანეთს სერია A-ს ბინადრები შეეჭიდნენ. რომში "ლაციომ" "სიენას" ბარიერი დასძლია, უდინეში "უდინეზე" "ფიორენტინასთან" დამარცხდა, ნეაპოლში კი "ნაპოლი" "ბოლონიასთან" შერცხვა...

მატჩების პერიპეტიებზე, სახიფათო მომენტებსა და გოლებზე არ შევჩერდებით, მხოლოდ ტენდენციებზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას. "ნაპოლიმ" ბოლო კვირაში მეორეჯერ უმასპინძლა "ბოლონიას" და მეორე მარცხი იწვნია, რამაც სამხრეთელ გულშემატკივართა საფუძვლიანი აღშფოთება გამოიწვია. მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ, ტიფოზებმა ლამის ობსტრუქცია მოუწყვეს ფეხბურთელებს და ეს არც არის გასაკვირი. საერთოდ, ნეაპოლელთათვის ძალიან მძიმე კვირა გამოდგა, ბოლონიურ სირცხვილს სერია A-ში ორი ქულის ჩამოკლება და კაპიტნის დისკვალიფიკაციაც დაემატა. აღსანიშნავია ისიც, რომ გამარჯვების გოლი "ბოლონიელთა" რიგებში **პანაიოტის კონემ** გაიტანა, ფეხბურთელმა, რომელმაც "ნაპოლი" ჩემპიონატის გასულ ტურშიც გაამწარა. მოკლედ, კონეს და მთლიანად "ბოლონიას" ნეაპოლელებმა ვერაფერი მოუხერხეს.

ნამატჩევს, **ვალტერ მაცარიმ** გულშემატკივრებს გვერდში დგომისკენ მოუწოდა: *"რთული დროება გვიდგას და ისე გვჭირდება გვერდში დგომა, როგორც არასდროს. იმედია, გულშემატკივრები ჩემს სიტყვებს სწორად გაიგებენ და შესაბამისად მოიქცევიან. მეტი მხარდაჭერა გვჭირდება საიმისოდ, რომ რელსებს დავუბრუნდეთ და ჩავარდნა დავძლიოთ. იტალიის თასიდან გამოვარდნა მტკივნეულია, მაგრამ რას ვიზამთ, რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ"*.

აქვე აღვნიშნოთ, რომ "ნაპოლი" იტალიის თასის მოქმედი მფლობელია, რაც იმას ნიშნავს, რომ ტურნირს ახალი გამარჯვებული ეყოლება. ახალი გამარჯვებული კი შეიძლება "ლაციო", ან "ფიორენტინა" იყოს. რომაელებმა საკუთარ კედლებში "სიენა" თერთმეტმეტრიანების წყალობით დაამარცხეს და საერთოდაც, წაგებას სასწაულებრივ გადაურჩნენ. თავად განსაჯეთ, რომაელმა **სიანიმ** გამათანაბრებელი გოლი მსაჯის მიერ დამატებულ მეხუთე წუთზე გაიტანა და თამაში დამატებით დროში გადაიყვანა. რაც შეეხება "ფიორენტინას", "უდინეზე" დაიფრინა გასვლაზე და კიდევ ერთხელ გაახარა ფლორენციელი გულშემატკივარი. ამ პაექრობაში **ვინჩენცო მონტელამ** ახალი ტაქტიკური მონახაზი: 4-4-2 გამოსცადა, რამაც გაუმართლა კიდეც. მოკლედ, მონტელა და მისი "ვიოლა" ორ ფრონტზე წარმატებით ასპარეზობენ. ბოლოს, სწორედ მონტელას კომენტარს გავეცნოთ:

*"შეგირდების მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, რადგან ყველა ჩემი დავალება პირნათლად შეასრულეს. "უდინეზეს" მისსავე მოედანზე დამარცხება ურთულესი საქმეა და თამაშით ბოლომდე კმაყოფილი ვარ. იტალიის თასის მოპოვება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზანია და საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ"*.

**1/4 ფინალი. 9 იანვარი**

ინტერი-ბოლონია
იუვენტუსი-მილანი
რომა-ფიორენტინა
ლაციო-კატანია

**ლაშა ნიკლაური**

● მოსაზრება

# ძანეტი: 2013 წელი უკეთესი იქნება



ხავიერ ძანეტი

"ინტერის" კაპიტანი **ხავიერ ძანეტი** "კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტს ესაუბრა, "ვერონასთან" სათასო მატჩი გაიხსენა და რაც ყველაზე საინტერესოა, 2012 წელი შეაფასა. მოვუსმინოთ ვეტერან არგენტინელს:

*"თასზე გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ყველა ფრონტზე წარმატების მიღწევა გვსურს. "ვერონამ" მედგარი წინააღმდეგობა გაგვიწია, მაგრამ გამარჯვება უფრო ძლიერს დარჩა. რაც მთავარია, როდრიგო პალასიო ვნახეთ ახალ ამპლუაში, რომელმაც მოვალეობას თავი ბრწყინვალედ გაართვა. აქაც კარგად გამოჩნდა სტრამაჩონის ალღო, კარში ჩადგომის მსურველი ბევრი იყო, მაგრამ არჩევანი სწორედ პალასიოზე შეაჩერა. ანდრეა ცვლილებებსაც ხშირად იცნობს, თითქოს წინასწარ იცის ყველაფერი. როგორ შევაფასებ 2012 წელს? - რთული წელი გამოდგა, რადგან გუნდში ბევრი რამ შეცვალა. ახალმა მწვრთნელმა ახალი გუნდის შენება დაიწყო, ასეთ დროს კი პრობლემებს ვერსად გაექცევი. ვფიქრობ, 2013 წელი ბევრად წარმატებული იქნება, რადგან გუნდი სწორ გზას ადგას და პროგრესიც სახეზეა. მჯერა ანდრეა სტრამაჩონის, რომელიც თითოეულ ჩვენგანს ოპტიმიზმით გვავსებს"*.

**ლაშა ნიკლაური**

● იუვენტუსი

# კონტე საგონებელშია

## კიელინი მინიმუმ 2 თვეს იუქმებს

ერთ-ერთ წინა ნომერში გაუწყეთ, რომ ვარჯიშზე **ჯორჯო კიელინიმ** ტრავმა მიიღო, რის გამოც "ატალანტასთან" მატჩის გამოტოვება მოუხდა. მაშინ, ექიმებს დიაგნოზის დასმა გაუჭირდათ, რადგან დეტალური გამოკვლევა იყო გასაკეთებელი... ეს პროცესი დღემდე მიმდინარეობს, თუმცა უკვე გაცხადდა, რომ ჯორჯოს მინიმუმ ორი თვე მოუწევს უქმობა, დიდი ალბათობით კი მკურნალობის პროცესი სამ თვესაც გასტანს. მოკლედ, "იუვენტუსის" გულშემატკივრებისთვის არცთუ კარგი ამბავი გვაქვს, მაგრამ რეალობა სწორედ ასეთია.

კიელინის ტრავმა **ლუსიოს** გაშვებას დაემატა, რომელიც ასევე ცენტრალური მცველი გახლავთ და **ანტონიო კონტეც** საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მაგალითად, სერია A-ს გასულ ტურში, დაცვის ცენტრში **ლუკა მარონე** გაამწესა, რომელიც ნომინალური ნახევარმცველია, იქამდე კი ხან **შტეფან ლიხტშტაინერი** ირჯებოდა უჩვეულო პოზიციაზე, ხანაც **მარტინ კასერესი**. მოკლედ, კონტეს საფიქრალი მოემატა და ამაზე მისი კომენტარიც მეტყველებს:

*"კიელინის ტრავმამ ძალიან დაგვამწუხრა, რადგან გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. იმედია, მალე გამოჯანმრთელდება და კიდევ უფრო ძლიერი დაგვიბრუნდება. საკადრო პრობლემები კი მართლაც შეგვექმნა, რადგან დაცვაში დიდი არჩევანი არ გვაქვს. ლუსიო ნამდვილი ჩემპიონია და ვწუხვარ, რომ 3-მცველიან ტაქტიკაში ვერაფრით მონახა ადგილი. ფაქტია, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ერთი მაღალი კლასის უკანახაზელი უნდა გადავიბიროთ, რათა ეს ვაკუუმი შევავსოთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მალე კვადვო ასამოაც დაგვტოვებს, რომელსაც აფრიკის ეროვნებათა თასი აქვს სათამაშო. მოკლედ, სამუშაო ბევრია, რათა არსებული პრობლემები მარტივად გადავლახოთ"*.

**ლაშა ნიკლაური**

● ამბები

### კვარეშმამ ბეშიქთაში დატოვა

**რიკარდო კვარეშმამ** "ბეშიქთაშთან" კონტრაქტი გაწყვიტა და კლუბი თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა. 29 წლის ფეხბურთელს, რომელიც სტამბოლში მილანის "ინტერიდან" 2010 წელს გადავიდა, მიმდინარე სეზონში საერთოდ არ უთამაშია, რისი მიზეზიც ხელმძღვანელობასთან წარმოქმნილი კონფლიქტი იყო.

შეგახსენებთ, რომ კვარეშმას "ბეშიქთაშის" და "ინტერის" გარდა, ლისაბონის "სპორტინგის", "ბარსელონას", "პორტუს" და "ჩელსის" ღირსება დაუცავს, პორტუგალიის ნაკრებში კი 35 მატჩში 3 გოლი აქვს გატანილი. კლუბთან შეთანხმების საფუძველზე, თუ სეზონის ბოლომდე ფეხბურთელი რომელიმე თურქულ კლუბში გადავა, "ბეშიქთაშს" 5 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს.

### ანჩელოტის კომენტარი

გუშინდელ ნომერში **ნენეს** და **ხავიერ პასტორეს** კომენტარები გაგაცანით. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელმა კლუბის იანვარში დატოვების სურვილი გამოთქვა, ხოლო არგენტინელმა განაცხადა, რომ ერთ დღეს მილანში ითამაშებდა.

გუშინ, საკუთარი ფეხბურთელების გამონათქვამებზე, კომენტარი პსჟ-ს მთავარმა მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმ** გააკეთა. თავიდან იტალიელმა ნენეს შესახებ ისაუბრა: *"მას ჩემთან ან კლუბის რომელიმე ხელმძღვანელთან გუნდის დატოვების სურვილი არ გამოუხატავს. იმის დრო ნამდვილად არ მრჩება, რომ ინტერნეტში ვიძრომიალო და ნენეს კომენტარები ვიკითხო - მას ჩემთან ან უფროსობასთან დალაპარაკება თავისუფლად შეუძლია; ფაქტია, რომ ჯერ ეს არ გაუკეთებია. ის უკვე არდადეგებზეა, რადგან "ბრესტთან (პარასკევს) მაინც ვერ ითამაშებდა, ხოლო როდესაც ბრაზილიიდან დაბრუნდება, მაშინ აუცილებლად დავილაპარაკებთ"*.

კარლომ პასტორეზეც ისაუბრა: *"პასტორე პარიზში ბედნიერი არ არის? ის იტალიაში კარგად თამაშობდა, მაგრამ ვფიქრობ, თავს აქაც კარგად გრძნობს. ხავიერს პრობლემა არ აქვს, რადგან მას ყველა ენდობა და აფასებს"*.

### ბიანკი რიკელმეს დაბრუნებას იმედოვნებს

"ბოკა ხუნიორსში" დაბრუნებულმა **კარლოს ბიანკიმ**, გუნდში **ხუან რონამ რიკელმეს** დაბრუნების სურვილი გამოთქვა. რიკელმემ ბოკა ხუთი თვის წინ, ლიბერტადორესის თასის ფინალის შემდეგ დატოვა და მას მერე ფეხბურთი არ უთამაშია.

*"გადაწყვეტილება მან უნდა მიიღოს. მე რომანს დაველაპარაკები და იმედი მაქვს დავითანხმებ, რადგან მას გუნდისთვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია"* – განაცხადა პრესკონფერენციაზე ბიანკიმ.

63 წლის არგენტინელმა სპეციალისტმა "ბოკასთან" 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ ბიანკი ამ გუნდს სათავეში ორჯერ, 1998-2001 და 2003-04 წლებში ედგა. ამ პერიოდში "ბოკამ" 4-ჯერ მოიგო არგენტინის ჩემპიონატი (1998 აპერტურა, 1999 კლაუსურა, 2000 აპერტურა და 2003 აპერტურა), 3-ჯერ ლიბერტადორესის თასის გამარჯვებული გახდა (2000, 2001, 2003) და 2-ჯერ კი საკონტინენტთაშორისო თასზე იმარჯვა (2000, 2003).

**ტატო ბაციკაძე**

● ჰოლანდიის თასი. 1/8 ფინალი.

# მოულოდნელობის გარეშე

**დორდრეხტი-ლკმაარი 2:4**

**გოლები:** 0:1 მარსელისი (17), 0:2 ალტიდორი (25), 0:3 ვ. ელმი (29), 1:3 კალისი (62), 2:3 ველდვაიკი (82-პენ), 2:4 ბოიმანსი (90).

**დენ ბოში-კამბური 1:0**

**გოლი:** 1:0 ვან ვეერტი (36).

**რაინსბურგსე ბოის-პსვ 0:4**

**გოლები:** 0:1 მანოლევი (4), 0:2 მატავჟი (22), 0:3 მატავჟი (26), 0:4 სტროოტმანი (64).

**ბრედა-ჰერაკლესი 1:3**

**გოლები:** 1:0 შალკი (16), 1:1 კასტილიონი (32), 1:2 არმენტეროსი (83), 1:3 ევერტონი (88).

**გოუ ეჰედ იგლზი-ზვოლე 2:3**

**გოლები:** 0:1 მოხტარი (55), 1:1 ჰუტკოოპი (62), 1:2 ბენსონი (96), 2:2 პეტერსი (97), 2:3 ბენსონი (118).

**ვიტესი-ადო 20 10:1**

**გოლები:** 1:0 ტ. იანსენი (3), 2:0 ვან გინკელი (14), 3:0 ბონი (54), 4:0 ბონი (60), 5:0 იბარა (64), 6:0 პრიოპერი (65), 6:1 კეუსი (75), 7:1 ჰოფსი (80), 8:1 იბარა (81), 9:1 ჰავენაარი (84), 10:1 ჰოფსი (87).

**ჰერენვენი-ფეიენოორ. 2:2 პენ. 6:7**

**გოლები:** 0:1 პელე (28), 1:1 გოუველეუვი (55), 1:2 იმერსი (66), 2:2 ჟურიჩიჩი (90).

ჰოლანდიის თასის მერვედფინალის მატჩები საკმაოდ უხვგოლიანი გამოდგა. ამაში განსაკუთრებული წვლილი "ქართულმა" "ვიტესმა" შეიტანა, რომელმაც მესამე დივიზიონის "ადო 20"-ს ათი გოლი გაუტანა. ჩვენებურთაგან, ისევე და ისევ, მხოლოდ **გურამ კაშიამ** ითამაშა, რომელსაც გოლი არ გაუტანია, სამაგიეროდ ტრადიციულად შედეგიანი იყო **ვილფრედ ბონი**, ვინც დუბლი შეასრულა. ასევე ორ-ორი გოლი **რენატო იბარამ** და **ნიკი ჰოფსმა** გაიტანეს.

იოლი გამარჯვება მოიპოვა "პსვ ეინდჰოვენმაც", ვინც ასევე მესამე დივიზიონის გუნდს დაუპირისპირდა, ოღონდ "ვიტესისგან" განსხვავებით, "მხოლოდ" 4 გოლი იკმარა. 4 გოლი გაიტანა "ალკმაარმაც", მაგრამ **გერტ ვერბეეკის** შეგირდებმა 0:3-ზე ორი ბურთი გაუშვეს და "დორდრეხტის" ქომაგებს საწაულის იმედი ჩაუსახეს, თუმცა შეხვედრა საბოლოოდ ლოგიკურად დასრულდა და მომდევნო ეტაპზე ფავორიტი გავიდა.

ყველაზე დაძაბული "ჰერენვენის" და "ფეიენოორდის" თამაში გამოდგა. სტუმრებმა დაწინაურება ორჯერ შეძლეს, მაგრამ **მარკო ვან ბასტენის** შეგირდებმა ანგარიში ორივეჯერ გაათანაბრეს – მეორედ მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე. დაინიშნა დამატებითი დრო, სადაც გუნდებს გოლი არ გაუტანიათ, პენალტების სერიაში კი ფორტუნამ როტერდამელებს გაუღიმა და 1/4 ფინალში "ფეიენოორდი" გავიდა.

**ტატო ბაციკაძე**




გურამ კაშიას (მარჯვნივ) ვიტესმა იოლად გაიმარჯვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ბარსელონა




# ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა

## ბარსელონა გვარდიოლას დაბრუნებას უარყოფს

გუშინ „ბარსელონას“ 44 წლის თავკაც **ტიტო ვილანოვას** ყელ-ყურის სიმსივნის ხელმეორე ოპერაცია ჩაუტარეს. ექიმთა მტკიცებით, ყველაფერმა წარმატებით ჩაიარა. ტიტო კიდევ 3-4 დღეს დარჩება ჰოსპიტალში, შემდეგ კი შინ გაწერენ და თვე-ნახევრის განმავლობაში ქიმიოთერაპიის და დასხივების კურსებზე მოუწევს სიარული. ჯერჯერობით, ძალიან რთულია თარიღზე საუბარი, როდის შეძლებს ან შეძლებს კი ვილანოვა მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შესრულებას.

ოპერაციამდე, ტიტო გუნდს შეხვდა და ხუთწუთიანი სიტყვითაც მიმართა. მედიასთან საუბარში კი „ბარსელონას“ თავკაცმა აღნიშნა, რომ პირველი შემთხვევისგან განსხვავებით, არც ისე რთულადაა საქმე. სიმსივნე სულ სხვა ადგილზეა და ოპერაციაც არ გაჭირდება. შეგახსენებთ, რომ სიმსივნე „ბარსას“ თავკაცს შარშან, შემოდგომით დაუდგინეს (მაშინ ის **ხოსეპ გვარდიოლას** ასისტენტი იყო) და ოპერაციაც გაუკეთეს, მაგრამ სისმივნე ავთვისებიანი აღმოჩნდა და ვილანოვას ხელმეორე ოპერაცია დასჭირდა.

ამასობაში **ანდონი სუბისარეტა** უარყოფს ხმებს, თითქოს, „ბარსელონამ“ ხოსეპ გვარდიოლას მიმართა. „გუნდის თავკაცი არის ტიტო ვილანოვა და მომავალშიც ასე იქნება, გვარდიოლასთვის არ მიგვიმართავს და არც ვაპირებთ“, - განაცხადა სუბისარეტამ.

**კარლეს პუიოლი** („ბარსელონას“ კაპიტანი): *„ძალიან მძიმე დღე იყო, მაგრამ ტიტომ აქეთ გაგვამხნევა და ძალები შეგვმატა. სასიხარულოა, რომ ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა“.*

### ვილანოვას ოქროს შემოდგომა

ტიტო ვილანოვამ „ბარსელონადან“ წასული გვარდიოლა 16 ივლისს შეცვალა. გვარდიოლას საოცარი ხანის შემდეგ, ბევრი ეჭვობდა, რომ მისი ყოფილი ასისტენტი ასე წარმატებული ვერ იქნებოდა. თავიდან „ბარსამ“ ესპანეთის სუპერთასი ორრაუნდიან ბრძოლაში დათმო **ჟოზე მოურინიოს** „რეალთან“ და ამით ეჭვები უფრო გაძლიერდა. სკეპტიკოსთა საპასუხოდ, ვილანოვამ ლა ლიგის ყველა დროის რეკორდი მოხსნა - 16 ტურში 15 გამარჯვება და ერთადერთი ფრე („რეალთან“). „ბარსა“ მეორეადგილოსან „ატლეტიკოს“ 9 ქულით, ხოლო მადრიდის „რეალს“ 13 ქულით, უსწრებს. ტიტოს გუნდი იოლად გაუმკლავდა მეტოქეებს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე (წააგო მხოლოდ სტუმრად „სელტიკთან“) და პირველი ადგილით გავიდა პლეი ოფში (სადაც „მილანი“ შეხვდება). „ბარსა“ იოლად გავიდა ესპანეთის თასის მერვედფინალშიც, სადაც პირველი მატჩი სტუმრად აქვს მოგებული და თითქმის გადაწყვეტილი აქვს მეოთხედფინალში გასვლის ამოცანაც. შაბათს, გუნდი 2012 წლის ბოლო მატჩს გამართავს, პრიმერადივიზიონის მე-17 ტურში „ვალიადოლიდს“ ესტუმრება. ტიტო ჰოსპიტალში ტელევიზორით თუ უყურებს ამ თამაშს, „ბარსას“ მოედანზე მისი ასისტენტი **ჟორდი როურა** გაიყვანს.

### ვინ არის ჟორდი როურა

45 წლის როურა ტიტო ვილანოვას ასისტენტია და გუნდს მანამდე გაუძღვება, სანამ ტიტო გამოჯანმრთელდება. ის „ბარსელონას“ ყოფილი ფეხბურთელია. კლუბის ხელმძღვანელობა ენდობა როურას, ისევე როგორც ტიტო, ეს ორი ხომ „ლა მასიაში“ ერთად იზრდებოდნენ. სანამ ასისტენტად დააწინაურებდნენ როურას სკაუტობა და მომავალი მეტოქეების დაზვერვა ევალებოდა. ჟირონელ როურას 2 სეზონის განმავლობაში სულ 10 მატჩი აქვს ნათამაშები „ბარსელონაში“, 1988-89 წლების სეზონში მისი დებიუტი **იოჰან კრუიფის** მწვრთნელობის დროს შედგა. მაგრამ როურას კარიერას ხაზი მუხლის სერიოზულმა ტრავმამ გადაუსვა - ეს ევროპის სუპერთასზე „მილანთან“ დაიმტვრა, რაოდენ სიმბოლურია, რომ გუშინ სწორედ „მილანი“ ერგო „ბარსას“ მეტოქედ. ამის შემდეგ, როურამ მაღალ დონეზე თამაში ვერ შეძლო, 1991 წელს ის „ბარსამ“ გაუშვა, დაბალი დონის გუნდებში 3 სეზონის გატარების მერე, როურამ 26 წლის ასაკში მწვრთნელობა გადაწყვიტა. 1996 წელს **კარლოს რექსაჩმა** ის იაპონურ „იოკოჰამა ფლიუგელსში“ წაიყვანა ასისტენტად. მისი პირველი გუნდია (მთავარი მწვრთნელის რანგში) კატალონიური „ოსპიტალეტი“. 2009 წლიდან გვარდიოლას ეხმარებოდა მეტოქე გუნდების ანალიზში, მისი წასვლის მერე კი ტიტო ვილანოვას ასისტენტი გახდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### ესპანეთი. ლა ლიგა. XVII ტური

**ვალეკანო–ლევანტე 3:0**

**გოლები:** 1:0 ნაჩო (59), 2:0 პიტი (79), 3:0 ფ. ვასკესი (94)

**რაიო ვალეკანო (4-2-3-1):** რუბენი - ტიტო, გალვესი, ამატი (78. ლაბაკა), ნაჩო - ტრაშორასი, ფუეგო - ლ. ბანგურა (72. დელიბაშიჩი), ა. დომინგესი, პიტი (87. ფ. ვასკესი) - ლეო კარილიო.

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - პ. ლოპესი, ბალესტეროსი, დ. ნავარო, ხუანფრანი - იბორა (82. როხერი), დიოპი (71. ელ-ზარი) - მიჩელი (62. ანხელი), ბარკერო, რ. გარსია - მარტინსი.

**გაფრთხილება:** ფუეგო, დომინგესი, ლაბაკა - მარტინსი, მიჩელი, იბორა, ბარკერო

**კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 20-17; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 18-9 (7-3); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 11 000

**ესპანიოლი–დეპორტივო 2:0**

**გოლები:** 1:0 სიმაო (30), 2:0 სტუანი (88)

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კასილია - ხ. ლოპესი, კოლოტო, მორენო, კაპდევილა - ვ. სანჩესი (46. ბაენა), ფორლინი - ვაკასო (77. სტუანი), ვერდიუ (90. ალბინი), სიმაო - ს. გარსია.

**დეპორტივო (4-2-3-1):** ლუქსი - მ. პაბლო, მარჩენა, აიტამი, ევალდო - ბერგანტინიოსი (71. ანდრე სანტოსი), აგილარი - გამა, პიცი, სალომაო (78. ვალერონი) - რიკი (60. ოლივეირა).

**გაფრთხილება:** სანჩესი, ბაენა - აიტამი, პიცი

**კუთხური:** 3-11; **ჯარიმა:** 11-12; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 9-16 (5-4); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 19 000

**სოსიედადი–სევილია 2:1**

**გოლები:** 1:0 ველა (18), 1:1 მედელი (49), 2:1 დე ლა ბელა (69)

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი, მ. გონსალესი, ი. მარტინესი, დე ლა ბელა - პარდო (67. ზურუტუზა), ილარამენდი - ჩაბი პრიეტო, გრიზმანი, ველა (84. გ. კასტრო) - იფრანი (86. აგირეჩე).

**სევილია (4-2-3-1):** დ. ლოპესი - კოკე, ბოტია (88. ლუნა), სპაჰიჩი, ფ. ნავარო - მედელი, კონდობია - ხესუს ნავასი, რეიესი (67. რაბელიო), დელ მორალი (81. ბ. დიავარა) - ნეგრედო.

**გაფრთხილება:** ი. მარტინესი, ილარამენდი - სპაჰიჩი, კოკე, ბოტია, ნავარო

**გაძევება:** კოკე (74)

**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 10-20; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 12-14 (4-4); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 20 000

### დღეს

**ვალენსია–ხეტაფე 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** ვალერა (ხეტაფე)

**ტრავმა:** მატიო, გაგო, კანალესი, ბანეგა (?) - პედრო ლეონი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 19 თამაში: +10=3-6, (35-26)

**ატლეტიკო–სელტა 01:00**

**ტრავმა:** ფილიპე ლუიში - ლოპესი (?), ლაგო, ლიორკა

**ბოლო 6 მატჩი**

+4=0-2 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 24 თამაში: +10=6-8, (36-33)

*შენიშვნა: + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა*

*შენიშვნა: ურთიერთშეხვედრები ჩემპიონატისა და თასის მატჩები 1994 წლიდან*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 16 | 15 | 1 | 0 | 54-18 | 46 |
| 2. ატლეტიკო | 16 | 12 | 1 | 3 | 36-17 | 37 |
| 3. რეალი | 16 | 10 | 3 | 3 | 39-14 | 33 |
| 4. მალაგა | 16 | 8 | 4 | 4 | 25-10 | 28 |
| 5. ბეტისი | 16 | 9 | 1 | 6 | 25-26 | 28 |
| 6. ლევანტე | 17 | 8 | 3 | 6 | 21-24 | 27 |
| 7. სოსიედადი | 17 | 7 | 4 | 6 | 24-20 | 25 |
| 8. ვალეკანო | 17 | 8 | 1 | 8 | 22-32 | 25 |
| 9. ხეტაფე | 16 | 7 | 3 | 6 | 19-21 | 24 |
| 10. ვალიადოლიდი | 16 | 6 | 4 | 6 | 22-18 | 22 |
| 11. ვალენსია | 16 | 6 | 3 | 7 | 19-24 | 21 |
| 12. ბილბაო | 16 | 6 | 3 | 7 | 21-32 | 21 |
| 13. სევილია | 17 | 5 | 4 | 8 | 22-26 | 19 |
| 14. სარაგოსა | 16 | 6 | 1 | 9 | 18-24 | 19 |
| 15. სელტა | 16 | 4 | 3 | 9 | 16-21 | 15 |
| 16. ესპანიოლი | 17 | 3 | 6 | 8 | 19-26 | 15 |
| 17. ოსასუნა | 16 | 3 | 5 | 8 | 13-17 | 14 |
| 18. გრანადა | 16 | 3 | 4 | 9 | 11-24 | 13 |
| 19. მალიორკა | 16 | 3 | 4 | 9 | 14-28 | 13 |
| 20. დეპორტივო | 17 | 2 | 6 | 9 | 21-39 | 12 |

**ბომბარდირები:** 25 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 17 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 14 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ტრანსფერები

# რენატო აუგუსტო კორინთიასში



ლევერკუზენის "ბაიერში" გატარებული ოთხი წლის შემდეგ, ბრაზილიელი **რენატო აუგუსტო** სამშობლოში ბრუნდება. 2013 წლიდან 24 წლის ფეხბურთელი "კორინთიანსის" ღირსებას დაიცავს.

რენატო "ფარმაცევტებში" 2008 წელს "ფლამენგოდან", 10 მილიონ ევროდ გადავიდა და უმალ გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი გახდა, თუმცა შარშან მიღებულმა მძიმე ტრავმამ მის კარიერაზე ნეგატიურად იმოქმედა. დაზიანების მოშუშების შემდეგ, ბრაზილიელი ფორმაში ვერაფრით შევიდა და წლევანდელ სეზონში მოედანზე მხოლოდ 6-ჯერ გავიდა, ჯამში კი მხოლოდ 92 წუთი ითამაშა.

ბუნდესლიგაში, ახალგაზრდა ფეხბურთელმა "ბაიერის" ღირსება 101 შეხვედრაში დაიცვა და 9 გოლი გაიტანა.

*"რენატომ უამრავი დაუვიწყარი წუთი გვაჩუქა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში საკმაოდ უჭირდა, მან ჩვენი კლუბის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა. ჩვენ მას ძალიან ვაფასებთ და წარმატებას ვუსურვებთ"* – განაცხადა "ბაიერის" სპორტულმა დირექტორმა **რუდი ფიოლერმა.**

რენატომ "კორინთიანსთან" 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და ახალ კლუბს იანვარში შეუერთდება.



# გრემიომ დიდა აიყვანა

ბრაზილიის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა "გრემიომ", 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონ **დიდას** ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. 39 წლის მეკარე პორტუ ალეგრიში **ზიდანის** და **რონალდოს** მეგობრების საქველმოქმედო მატჩისთვის ჩავიდა. დიდას აყვანა "გრემიოს" თავკაცმა **ვანდერლი ლუშემბურგომ** მოითხოვა, რადგან გამოცდილი სპეციალისტის აზრით, კლუბი, რომელსაც ლიბერტადორესის თასზე წარმატების მიღწევა სურს, მხოლოდ ერთი გამოცდილი კიპერის (**მარსელო გროე**) ამარა არ უნდა იყოს.

ბრაზილიელი ჟურნალისტების ცნობით, თავიდან კლუბის ხელმძღვანელები დიდას მოთხოვნებით შოკირებულნი დარჩნენ, მაგრამ ბოლოს მეკარემ უკან დაიხია და ერთწლიან კონტრაქტს ხელი მოაწერა.

*"ძალიან ბედნიერი ვარ. შვიდი თვეა, რაც ფეხბურთს დავუბრუნდი და ნამდვილად არ მეგონა, თუ ასეთი შესაძლებლობა კიდევ მომეცემოდა. მართალია 39 წლის ვარ, მაგრამ თამაშის უდიდესი სურვილი მაქვს და კარიერის დასრულებაზე ჯერ არ ვფიქრობ. ახალი სეზონის დაწყებას და ლიბერტადორესის თასზე თამაშს მოუთმენლად ველი. ვფიქრობ, ჩემი გამოცდილების ხარჯზე, გუნდისთვის დიდი სარგებლის მოტანა შემიძლია"* – განაცხადა დიდამ პრესკონფერენციაზე.

შეგახსენებთ, რომ დიდამ საფეხბურთო კარიერის უდიდესი ნაწილი (10 წელი) "მილანში" გაატარა, რომელიც 2010 წელს დატოვა და კარიერაც დაასრულა, მაგრამ წელს "პორტუგეზას" წინადადებას დათანხმდა და საფეხბურთო მოედანს დაუბრუნდა. 39 წლის მეკარემ, ბრაზილიის ან დასრულებულ ჩემპიონატში 32 თამაში ჩაატარა.

**ტატო ბაციკაძე**

● საქველმოქმედო მატჩი

# რონალდოს და ზიდანის მეგობრები

პორტუ ალეგრში **რონალდოს** და **ზიდანის** მეგობრების მატჩი გაიმართა. ლეგენდარული ფეხბურთელები მსგავს საქველმოქმედო შეხვედრას ყოველ წელს, სხვადასხვა ქალაქში მართავენ. ამჯერად, "მატჩი სიღარიბის წინააღმდეგ" ბრაზილიაში, "გრემიოს" ახალ სტადიონზე გაიმართა.

ორივე გუნდის რიგებში უამრავი ვარსკვლავი ვიხილეთ. რონალდოს გუნდს სათავეში **კარლოს ალბერო პარეირა** ედგა, მოედანზე კი **დანრლეი, დიდა, კაფუ, სერჟინიო, რევერი, ჟუნიორ ბაიანო, რობერტო კარლოსი, ვილიამი, ლუკას მოურა, ნეიმარი, ლეანდრო დამიაო, ჟუნინიო პაულისტა, ზინიო, ჯალმინია, ზიკო, როჟერი, დენილსონი, რომარიო, ბებეტო, ედმუნდო, კაკა ფერარი** და **პაულინიო** გავიდნენ.

ზიდანის გუნდში, რომელსაც **ლუიშ ფელიპე სკოლარი** წვრთნიდა, თამაშობდნენ: **ვიტორ ბაია, დიეგო კავალიერი, ბელეტი, ემერსონი, ფერნანდო იერო, მიჩელ სალგადო, ფერნანდო კოუტუ, ხუან პაბლო სორინი, პაოლო მონტერო, კარლოს გამარა, ჰიდეტოში ნაკატა, დეკუ, სანტიაგო სოლარი, ფრედი ლიუნგბერგი, ხუან რომან რიკელმე, კრისტიან კარემბუ, ალექსი, პედრო პაულეტა, სებასტიან აბრეუ, მარიო ჟარდელი** და ფუტზალის ლეგენდა **ფალკაო.**

მატჩი საბოლოოდ რონალდოს მეგობრების გამარჯვებით, 3:2 დასრულდა. ნეიმარის საგოლე პასის მერე, ანგარიში ბებეტომ გახსნა და რონალდოს გუნდი დააწინაურა. ამის შემდეგ, ზიდანის მეგობრები გააქტიურდნენ – ანგარიში ფალკაომ გაათანაბრა, მოგვიანებით კი "ზიზუმ" ულამაზესი გოლი გაიტანა და წინ უკვე მისი გუნდი გავიდა. საბოლოოდ, როგორც მოგახსენეთ, მატჩი უფრო ახალგაზრდებით დაკომპლექტებულმა რონალდოს გუნდმა მოიგო. ჯერ რონალდოს ახლო მეგობარმა, თანამშრომელმა და მოწვეულ მოთამაშეთა შორის ყველაზე უცნობმა, კაკა ფერარიმ გაიტანა, ხოლო მოგვიანებით შეხვედრას წერტილი ლეანდრო დამიაომ დაუსვა.

**ტატო ბაციკაძე**



ჩემპიონთა ლიგა და ევროპალიგა. წილისყრის შედეგები და გამოხმაურება

# დამთხვევა თუ მანიპულაცია?

## წინა დღეს, წილისყრის რეპეტიციაზეც ზუსტად ეს წყვილები ამოვიდა!

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის წილისყრის შედეგები ზედმიწევნით ზუსტად დაემთხვა წინა დღეს, ოთხშაბათს გამართული რეპეტიციის შედეგებს! წილისყრის რეპეტიციის შედეგის ფოტო სოციალურ ქსელებზე ოთხშაბათს ნაშუადღევს გავრცელდა, გუშინ კი მთელი საფეხბურთო სამყარო ამაზე საუბრობდა.

| ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი | |
|---|---|
| თარიღი | მატჩი |
| 12 თებერვალი | სელტიკი-იუვენტუსი |
| 6 მარტი | იუვენტუსი-სელტიკი |
| 12 თებერვალი | ვალენსია-პსჟ |
| 6 მარტი | პსჟ-ვალენსია |
| 13 თებერვალი | შახტარი-ბორუსია (დ) |
| 5 მარტი | ბორუსია (დ)-შახტარი |
| 13 თებერვალი | რეალი-მანჩესტერ იუნ. |
| 5 მარტი | მანჩესტერ იუნ.-რეალი |
| 19 თებერვალი | არსენალი-ბაიერნი |
| 13 მარტი | ბაიერნი-არსენალი |
| 19 თებერვალი | პორტუ-მალაგა |
| 13 მარტი | მალაგა-პორტუ |
| 20 თებერვალი | გალათასარაი-შალკე |
| 12 მარტი | შალკე-გალათასარაი |
| 20 თებერვალი | მილანი-ბარსელონა |
| 12 მარტი | ბარსელონა-მილანი |

სხვადასხვა სოციალურ ქსელში გავრცელებულ ფოტოზე ვხედავთ, რომ წყვილები იგივეა. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ წყვილების თანამიმდევრობაა სხვადასხვანაირი. ასე, მაგალითად, გუშინ, ოფიციალურ წილისყრაზე პირველად „გალათასარაისა" და „შალკეს" წყვილი ამოვიდა, რეპეტიციაზე კი ეს წყვილი ბოლო იყო. ეს ფაქტორი მანიპულაციის ალბათობას, რა თქმა უნდა, ამცირებს, მაგრამ ეჭვს ვერ აქარწყლებს.

ოფიციალურ წილისყრაზე გუნდების ბედს ინგლისის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **სტივ მაკმანამანი** განსაზღვრავდა, რომელსაც „ლივერპულში" 300-ზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული, 2000 და 2002 წლებში კი მადრიდის „რეალში" ორჯერ გახდა ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული. მაკმანამანმა პირველი კალათიდან „ვალენსია" ამოიღო, მეორიდან - პარი სენ ჟერმენი; პირველი კალათიდან „რეალი" ამოიღო, მეორიდან - „მანჩესტერ იუნაიტედი" და ა.შ. წილისყრა ნიონში ჩვენი დროით 14:45-ზე დაიწყო და ზუსტად 14 წუთი გაგრძელდა.

*„ასეთი დამთხვევის ალბათობის შანსი ათასიდან 0.2-ზე მეტი და 0.34-ზე ნაკლებია,* - აცხადებს ჰამბურგის მათემატიკური სტატისტიკის ინსტიტუტის პროფესორი **ჰოლგერ დრეესი**, - *თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ სხვადასხვა ლიგებში ყოველწლიურად ასობით ასეთი წილისყრა იმართება, ეს დამთხვევა ასე პარადოქსულად აღარ მოგვეჩვენება, რადგან ოდესმე ამგვარი დამთხვევა მართლაც უნდა მოხდეს."*

მიუხედავად ამისა, გუშინდელი წილისყრის შემდეგ ბევრს გაუჩნდა ეჭვი, რომ რაღაც არ არის წესრიგში და ვარაუდს მანიპულაციის შესახებ არსებობის უფლება ნამდვილად აქვს. წილისყრის შემდეგ დამთხვევაზე კომენტარი უეფამაც გააკეთა: *„ტექნიკური გარემოებების გამო ჩვენი ეგიდით ჩატარებულ ყველა წილისყრას წინ რეპეტიცია უძღვის ხოლმე. ის ფაქტი, რომ წილისყრის შედეგი რეპეტიციისას დაემთხვა, მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევითობაა. სამწუხაროა, რომ რეპეტიციის შედეგის ფოტო ინტერნეტში გავრცელდა,"* - ასეთია უეფას შეფასება.

### რონალდო ოლდ ტრაფორდზე, ჟოზე ფერგის წინააღმდეგ

რაც შეეხება სპორტულ მხარეს: როგორც ყოველთვის ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ამჯერადაც ვიხილავთ ერთ სუპერჯახს - ეს, რა თქმა უნდა, „მანჩესტერ იუნაიტედისა" და მადრიდის „რეალის" დუელებზე ითქმის. „ბარსელონა" მერვედფინალში „მილანს" დაუპირისპირდება, რაც მაშინვე 1994 წლის ლეგენდარულ ფინალს გვახსენებს, თუმცა „მილანი" დღესდღეობით ნამდვილი „მილანის" აჩრდილია და თუ **სილვიო ბერლუსკონი** და **ადრიანო გალიანი** იანვარში „როსონერის" არ გააძლიერებენ, ან თუ „ბარსას" სერიოზული კრიზისი არ დაეწყო, წესით, იტალიურ კლუბს კატალონიურ გრანდთან წარმატების მიღწევის შანსი არ უნდა ჰქონდეს.

„რეალისა" და „იუნაიტედის" დაპირისპირებაზე ბევრი საუბარი არ ღირს: **ჟოზე მოურინიოსა და სერ ალექს ფერგიუსონის** დუელს თავი რომ დავანებოთ, **კრიშტიანო რონალდო** მანჩესტერიდან წასვლის შემდეგ პირველად ითამაშებს „ოლდ ტრაფორდზე", რაც ამ ბრწყინვალე ჯახის დამატებითი ინტრიგაა - პორტუგალიელი სუპერვარსკვლავი ხომ მთელმა საფეხბურთო მსოფლიომ „იუნაიტედიდან" გაიცნო, „რეალში" კი 2009 წელს, 94 მილიონ ევროდ გაიყიდა. სუპერდუელის პირველი რაუნდი მადრიდში გაიმართება, საპასუხო - მანჩესტერში.

„ბარსას" და „მილანის" წყვილზე პირველ რიგში 1994 წლის ფინალი კი გვახსენდება, რომელიც იტალიელებმა 4:0 მოიგეს, მაგრამ ეს გუნდები მას მერე არაერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს. ბოლო დაპირისპირებები ერთი წლის წინ შედგა: „ბარსელონა" და „მილანი" ერთ ჯგუფში იყვნენ - „ნოუ კამპზე" 2:2 დაფიქსირდა, „სან სიროზე" კი კატალონიელებმა 3:2 მოიგეს.



რონალდოს მანჩესტერის წინააღმდეგ თამაში მოუწევს

ძალიან საინტერესო იქნება „არსენალისა" და „ბაიერნის" დაპირისპირებები. ლონდონელები ფინალში გასვლაზე ოცნებობენ - დასკვნითი მატჩი ხომ ინგლისის დედაქალაქში გაიმართება. გარდა ამისა, **არსენ ვენგერისა** და **იუპ ჰაინკესის** გუნდების ჯახის ინტრიგა ისიცაა, რომ „მეთოფეებს" თავიანთ რიგებში ორი გერმანელი ჰყავთ: **პერ მერტეზაკერი** და ექსბაიერნელი **ლუკას პოდოლსკი**.

პსჟ-სა და „ვალენსიას" დუელი იმითაცაა საინტერესო, რომ ფრანგული გრანდის სპორტული დირექტორი **ლეონარდო** „ვალენსიას" ყოფილი ფეხბურთელია. ტურინის „იუვენტუსი" „სელტიკთან" აშკარად ფავორიტია, თუმცა გლაზგოელებს ბრძოლისუნარიანი და საკმაოდ სიმპათიური გუნდი ჰყავთ და შეიძლება „ბებერ ქალბატონს" პრობლემები შეუქმნან. ამ მატჩისგან განსხვავებით, „გალათასარაისა" და „შალკეს" წყვილში ფავორიტის დასახელება ძნელია. იგივე უნდა ვთქვათ „პორტუსა" და „მალაგას" ნაკლებად ვარსკვლავურ ჯახზე. ფავორიტს ვერც „დორტმუნდისა" და „შახტარის" წყვილში დავასახელებთ - ერთი კი ფაქტია, ამ გუნდების დაპირისპირებები ძალიან საინტერესო და კარგი საყურებელი იქნება.

### რეაქციები

**ნეილ ლენონი („სელტიკის" მწვრთნელი):** *„ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში სუსტი მეტოქე არ არსებობს, მაგრამ ჩვენ ერთ-ერთი უძლიერესი შეგვხვდა. „იუვენტუსთან" უმძიმესი ბრძოლა გველის. გვიხარია და იმედია, ვისიამოვნებთ. ორი მატჩის ჯამში ყველაფერი შესაძლებელია."*

**პაველ ნედვედი („იუვენტუსის" მენეჯერი):** *„სელტიკისთვის" ზერელედ შეხედვა არ შეიძლება, რადგან მებრძოლი სულისკვეთების გუნდია, მაგრამ შეიძლებოდა, რომ უფრო რთული მეტოქეც შეგვხვედროდა. გლაზგოელებმა ჯგუფში თვით „ბარსელონა" დაამარცხეს და მერვედფინალში აბსოლუტურად დამსახურებულად გავიდნენ. „სელტიკ პარკზე" მე თვითონ მითამაშია და ვიცი, როგორი ატმოსფეროც ელის იქ „იუვეს". ორივე მატჩში მაქსიმალური კონცენტრაციით უნდა ვითამაშოთ. კარგია, რომ პირველ მატჩს გლაზგოში ჩავატარებთ."*

**მირჩა ლუჩესკუ („შახტარის" მწვრთნელი):** *„ბორუსია" ჩვენთვის სამყაროს დასასრულს ნამდვილად არ ნიშნავს. მით უმეტეს, რომ „შტუტგარტთან", „შალკესთან" და „ვერდერთან" წარმატებული თამაშის გამოცდილება გვაქვს. დორტმუნდელებმა „სიკვდილის ჯგუფში" პირველი ადგილი დაიკავეს, რაც საკმარისია იმისათვის, რომ ვიცოდეთ, რამხელა პოტენციალი აქვს გერმანიის ჩემპიონს. „დორტმუნდი" ბუნდესლიგაში ყველაზე კომბინაციურ ფეხბურთს თამაშობს, მაგრამ ჩემი გუნდიც ძალიან ძლიერია. მეოთხედფინალში გასვლა შეგვიძლია."*

**იურგენ კლოპი („დორტმუნდის" მწვრთნელი):** *„შახტართან" დუელები ჩვენთვის უდიდესი გამოწვევაა. დონეცკელები ბრწყინვალე ფეხბურთს თამაშობენ. დღეიდან „შახტარს" მუდმივად დავაკვირდები და დეტალურად შევისწავლი. მეოთხედფინალში გასვლა, რა თქმა უნდა, შეგვიძლია, მაგრამ ამ მიზნის მიღწევა ადვილი არ იქნება."*

**რიო ფერდინანდი („მანჩესტერ იუნაიტედი"):** *„მაგარია, „რეალს" რომ შევხვდით! ორი გენიალური მატჩი გველის. კრიშტიანო, ძმაო, მალე შევხვდებით!"*

**სერ ალექს ფერგიუსონი („მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი):** *„ჩვენს ქომაგებს კრიშტიანოს ხილვის საშუალება მიეცემათ, მე კი ისევ შევხვდები ჟოზეს. მისთვის კარგ ღვინოს შევუკვეთ."*

**ემილიო ბუტრაგენიო („რეალის" გენერალური დირექტორი):** *„მერჩივნა, „იუნაიტედს" უფრო გვიან შევხვედროდით, მაგრამ მგონი, არც მანჩესტერელები არიან წილისყრის შედეგით ბედნიერები. ფაქტია, რომ ფანებს ორი შესანიშნავი დუელი ელით. იმედი მაქვს, „იუნაიტედთან" დუელებს კარგ ფორმაში შევხვდებით."*

**კარლ-ჰაინც რუმენიგე („ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი):** *„წილისყრის შედეგით კმაყოფილი ვარ, მაგრამ „არსენალი" ჯეროვნად უნდა შევაფასოთ. მთავარია, ლონდონში სასურველ შედეგს მივაღწიოთ. მეოთხედფინალში გასვლა შეგვიძლია და მეტიც: ამ წყვილის ფავორიტები სწორედ ჩვენ ვართ."*

| ევროპალიგა |
|---|
| 1/16 ფინალი |
| ანჟი-ჰანოვერი |
| ზენიტი-ლივერპული |
| ნაპოლი-პლზენი |
| სპარტა-ჩელსი |
| აიაქსი-სტიაუა |
| ლევერკუზენი-ბენფიკა |
| დინამო (კ)-ბორდო |
| ლევანტე-ოლიმპიაკოსი |
| ბატე-ფენერბაჰჩე |
| ტოტენჰემი-ლიონი |
| ბორუსია (მ)-ლაციო |
| ბაზელი-დნიპრო |
| ატლეტიკო-რუბინი |
| შტუტგარტი-გენკი |
| ნიუკასლი-მეტალისტი |
| ინტერი-კლუჟი |

პირველი მატჩები 14 თებერვალს გაიმართება, საპასუხო - 21 თებერვალს

| 1/8 ფინალი |
|---|
| ნაპოლი/პლზენი-ბატე/ფენერბაჰჩე |
| ლევერკუზენი/ბენფიკა-დინამო (კ)/ბორდო |
| ანჟი/ჰანოვერი-ნიუკასლი/მეტალისტი |
| შტუტგარტი/გენკი-ბორუსია (მ)/ლაციო |
| ტოტენჰემი/ლიონი-ინტერი/კლუჟი |
| ლევანტე/ოლიმპიაკოსი-ატლეტიკო/რუბინი |
| ბაზელი/დნიპრო-ზენიტი/ლივერპული |
| აიაქსი/სტიაუა-სპარტა/ჩელსი |

პირველი მატჩები 7 მარტს გაიმართება, საპასუხო - 14 მარტს

ვოლფსბურგი

# ბერნდ შუსტერი ვოლფსბურგში ინიშნება!



გერმანულ მედიაში გუშინ გავრცელებული ცნობების თანახმად, **ბერნდ შუსტერის** „ვოლფსბურგის" მთავარ მწვრთნელად დანიშვნა გადაწყვეტილი ამბავია და 52 წლის სპეციალისტს „მგლებში" ოფიციალურად დღეს წარადგენენ. „ბილდისა" და „კიკერის" ინფორმაციით, შუსტერი „ვოლფსბურგთან" კონტრაქტს 2015 წლამდე გააფორმებს.

„ვოლფსბურგის" მენეჯერმა **კლაუს ალოფსმა** გუშინ მხოლოდ შუსტერით დაინტერესება დაადასტურა და თქვა, რომ 1980 წლის ევროპის ჩემპიონი „მგლების" თავკაცის პოსტზე ფავორიტი კანდიდატია. თუმცა უკვე გადაწყდა, რომ „ვოლფების" დროებითი მწვრთნელი **ლორენც-გუნტერ კიოსტნერი**, რომელიც გუნდს **ფელიქს მაგათის** გათავისუფლების შემდეგ ხელმძღვანელობდა, ისევ 23-წლამდელთა გუნდში იმუშავებს. 60 წლის კიოსტნერმა გუშინ ისევ ახალგაზრდა ვოლფსბურგელები ავარჯიშა.

ბერნდ შუსტერისთვის ეს ბუნდესლიგაში მწვრთნელის რანგში პირველი გამოჩენა იქნება. სამწვრთნელო ასპარეზზე შუსტერის ყველაზე დიდი მიღწევა 2008 წლით თარიღდება - მაშინ ბერნდმა მადრიდის „რეალს" ესპანეთის ჩემპიონატი მოაგებინა. შუსტერი ბოლოს თურქულ „ბეშიქთაშში" მუშაობდა, საიდანაც 2011 წლის მარტში წამოვიდა.

გვერდები მოამზადა **გოტფრიდ ლენცმა**

გერმანიის თასი. 1/8 ფინალი. ოთხშაბათის მატჩები

# მეოთხედფინალში ბაიერნი-დორტმუნდი გველის!

## იაშვილისა და გელაშვილის ბოხუმიც იქაა...

გერმანიის თასის მერვედფინალის ოთხშაბათის მატჩებმა უსენსაციოდ ჩაიარა - თუ, რა თქმა უნდა, სენსაციად არ ჩავთვლით იმას, რომ ქართველების ცუდ ფორმაში მყოფმა „ბოხუმმა" უკეთეს ფორმაში მყოფი თანამეორებუნდესლიგელი „მიუნხენ 1860" 3:0 გაანადგურა. დორტმუნდის „ბორუსიამ" „ჰანოვერს" შავი დღე აყარა (5:1), „ვოლფსბურგმა" კი „ლევერკუზენს" თამაში მეორე ტაიმში შეუტრიალა. მომდევნო ეტაპზე გავიდა „შტუტგარტიც". გუშინ, მეოთხედფინალის წილისყრა გაიმართა და ოთხიდან ერთი წყვილი უდიდეს ინტერესს დაიმსახურებს: „დორტმუნდი" თებერვლის ბოლოს „ბაიერნს" ესტუმრება.



მეოთხედფინალში ბაიერნისა და დორტმუნდის ძალიან საინტერესო ჯახი გველის

**ბორუსია (დ)-ჰანოვერი 5:1**

**გოლები:** 1:0 გიოტცე (3), 2:0 ბლაშჩიკოვსკი (18), 3:0 გიოტცე (40), 3:1 მ. დიუფი (79), 4:1 გიოტცე (84), 5:1 ლევანდოვსკი (90)

**ბორუსია /დ/ (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, გროსკროიტცი - გიუნდოგანი, კელი - ბლაშჩიკოვსკი (85. პერიშიჩი), გიოტცე (87. ბიტენკური), როისი (77. შიბერი) - ლევანდოვსკი.

**ჰანოვერი (4-1-4-1):** ცილერი - ჩერუნდოლო (67. ჰ. საკაი), ეგიმანი, ჰაგი, პანდერი (30. შლაუდრაფი) - კ. შულცი - ია კონანი (67. სობიხი), და სილვა პინტუ, შმიდებახი, ჰუშტი - მ. დიუფი.

**გაფრთხილება:** ჩერუნდოლო, შმიდებახი

**მაყურებელი:** 77 615

**შტუტგარტი-კიოლნი 2:1**

**გოლები:** 1:0 გენტნერი (31), 2:0 იბიშევიჩი (35-პენ), 2:1 კლემენსი (80)

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი - გ. საკაი, მასა, ნიდერმაიერი, მოლინარო - გენტნერი, კუზმანოვიჩი - ჰარნიკი, ოკაზაკი (76. დიდავი), ტრაორე (83. ბოკა) - იბიშევიჩი.

**კიოლნი (4-2-3-1):** კესლერი - ბრეჩკო, მარო, მაკენა, ექტორი - შტრობლი (65. პრჟიბილკო), მატუშიკი (88. ბიგალკე) - როიერი, ჟაჟალო, კლემენსი - უჯა.

**მაყურებელი:** 27 500

**ვოლფსბურგი-ლევერკუზენი 2:1**

**გოლები:** 0:1 ფაგნერი (31-საკ. კარში), 1:1 ტრეში (78), 2:1 დოსტი (90)

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო - ფაგნერი (66. ვიეირინია), ნალდო, კიაერი, მ. შეფერი - პოლაკი (75. ტრეში), ჟოსუე - ჰასებე, დიეგო, ოლიჩი - დოსტი.

**ლევერკუზენი (4-1-2-2-1):** ლენო - კარვახალი, ვოლშაიდი, ტოპრაკი, ბოენიში - რაინარტცი (66. როლფესი) - ლ. ბენდერი, ჰოსოგაი - კასტრო (69. ჰეგელერი), შიურლე - კისლინგი.

**მაყურებელი:** 10 781

**ბოხუმი-მიუნხენი 1860 3:0**

**გოლები:** 1:0 დედიჩი (30), 2:0 მალტრიტცი (75), 3:0 მალტრიტცი (78)

**ბოხუმი (4-2-2-2):** ესერი - როთენბახი, მალტრიტცი, ზინკევიჩი, შაფტარი - დაბროვსკი, გორეტცკა - რუატკოვსკი, აიდინი (74. ორტეგა) - დედიჩი (71. შაიდჰაუერი), იაშვილი (81. აკუისტაპაცე).

**მიუნხენი 1860 (4-2-2-2):** კირალი - ფოლცი (55. ვოიტკოვიაკი), ბიულოვი, ვალორი, ფაიკი - ვანენვეტში (29. შინდლერი), ბიროფკა - შტოპელკამპი, დ. ჰალფარი - ვუდი (69. ტომასოვი), ლაუთი.

**გაფრთხილება:** იაშვილი - ვანენვეტში, შტოპელკამპი, დ. ჰალფარი

**გაძევება:** ვალორი (27. მიუნხენ 1860)

**მაყურებელი:** 20 206

„ლევერკუზენმა" ბუნდესლიგის პირველი წრე მეორე ადგილზე დაასრულა და „ბაიერნის" ნომერ პირველი მდევარია, გერმანიის თასის მეოთხედფინალში კი ვერ გავიდა. „ფარმაცევტები" ვოლფსბურგში პირველი ტაიმის შემდეგ 1:0-ს იგებდნენ - **ფაგნერმა** მეტოქე ავტოგოლით დააწინაურა - მაგრამ მეორე ნახევარში, უფრო სწორად, მატჩის მიწურულს „მგლებმა" თამაშის თავიანთ სასარგებლოდ შეტრიალება მოახერხეს. ჯერ ყველასგან დავიწყებულმა **კრისტიან ტრეშმა** გაათანაბრა, 90-ე წუთზე კი გამარჯვების გოლი „ვოლფების" ჰოლანდიელმა ბომბარდირმა **ბას დოსტმა** გაიტანა. საფინალო სასტვენის შემდეგ „ფოლკსვაგენ-არენას" პუბლიკა „ვოლფსბურგის" დროებითი მწვრთნელის, **ლორენც-გიუნტერ კიოსტნერის** გვარს სკანდირებდა...

### მიუნხენს კაცი იაშვილის გამო გაუძევეს

მეორე ბუნდესლიგაში გადარჩენისთვის მებრძოლი „ბოხუმი" (მე-15 ადგილზეა), სადაც ქართველები, **ალექსანდრე იაშვილი** და **ნიკოლოზ გელაშვილი** თამაშობენ, 9-წლიანი პაუზის შემდეგ პირველად გავიდა გერმანიის თასის მეოთხედფინალში. ბოხუმელთა მეტოქე თანალიგელი „მიუნხენი 1860" გახლდათ. 27-ე წუთზე მიუნხენელები ათი კაცით დარჩნენ - იაშვილზე ბოლო იმედის ფოლისთვის **ვალორი** მოედნიდან გააძევეს, რამაც „ბოხუმს" საქმე გაუადვილა. გაძევებიდან 180 წამში ანგარიში **დედიჩმა** გახსნა, მეორე ტაიმში კი ცენტრალურმა მცველმა **მალტრიტცმა** დუბლი შეასრულა.

### დორტმუნდის ტრიუმფი

თასის მოქმედ მფლობელ „დორტმუნდს" ამბიციური „ჰანოვერის" დამარცხება არ გაუჭირდა. **იურგენ კლოპმა** მოედანზე ძირითადი შემადგენლობა გაიყვანა და დორტმუნდელებმა **მირკო სლომკას** გუნდი 5:1 გაანადგურეს. ხუთიდან სამი გოლი **მარიო გიოტცეს** ანგარიშზეა. მეორე ტაიმში ჰანოვერელები უკეთ ათამაშდნენ, მაგრამ 0:3-ს აგებდნენ და ფაქტობრივად უიმედო სიტუაციაში იყვნენ. **დიუფმა ჰუმელსის** შეცდომის წყალობით პრესტიჟის გოლი კი შეაგდო, მაგრამ „ბორუსიამ" კიდევ ორი გაიტანა. საბოლოო ანგარიში **რობერტ ლევანდოვსკიმ** დააფიქსირა.

„შტუტგარტმა" მეორებუნდესლიგელ „კიოლნთან" ფავორიტის სტატუსი გაამართლა: შვაბებმა „თხები" 2:1 დაამარცხეს და მეოთხედფინალში გავიდნენ.

### რიბერი ფინალამდე დისკვალიფიცირებულია

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ სამშაბათს „ბაიერნს" „აუგსბურგთან" 2:0-ზე მოგებულ მატჩში **ფრანკ რიბერი** გაუძევეს და მიუნხენელებს მიაჩნდათ, რომ ფრანგი წითელ ბარათს არ იმსახურებდა. რეკორდმაისტერის სპორტულმა დირექტორმა **მათიას ზამერმა** და ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** რიბერის გაძევება გააპროტესტეს, მაგრამ უშედეგოდ: გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტულმა სასამართლომ რიბერი გერმანიის თასზე ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა, რაც იმას ნიშნავს, რომ ფრანგი „ბაიერნს" თასზე ფინალამდე ველარ დაეხმარება - თუკი, რა თქმა უნდა, მიუნხენელები ფინალში გავლენ...

### ბაიერნი-დორტმუნდი მეოთხედფინალში

გუშინ გერმანიის თასის მეოთხედფინალის წილისყრა გაიმართა, რომელმაც ძალიან საინტერესო წყვილი შემოგვთავაზა: დორტმუნდის „ბორუსია" „ბაიერნს" უნდა ესტუმროს! იაშვილისა და გელაშვილის „ბოხუმი" კი შტუტგარტში ჩავა.

მეოთხედფინალის წყვილები: ბაიერნი-ბორუსია (დ), შტუტგარტი-ბოხუმი, ოფენბახი-ვოლფსბურგი, მაინცი-ფრაიბურგი. მატჩები 26 და 27 თებერვალს გაიმართება.


ელვა.ჯი
პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო
www.elva.ge

ჩვენ ბრუქნით წიგნებს!
ეს წიგნები მაღაზიებში 35 ლარამდე ღირს
იჩქარეთ, მხოლოდ 31 დეკემბრამდე!

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო" და „პალიტრა მედიის" კიდევ ერთი გამოცემა და აიჩუქეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L"-ის წიგნი ბესტსელერები:

„მოგზაურობათა დიდი ილუსტრირებული ატლასი"
„დავით აღმაშენებელი" - კონსტანტინე გამსახურდია (2 წიგნად)
„ვეფხისტყაოსანი" (3 D)



| მედია "პალიტრის" გამოცემები | 1 ეგზ. ფასი | ერთეულის რაოდენობა 1 წლის მანძილზე | 1 წლის ფასი |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1 | 52 | 52 |
| არსენალი | 2 | 26 | 52 |
| ბომონდი | 5 | 12 | 60 |
| გზა | 1 | 52 | 52 |
| და... ქალი | 2 | 12 | 24 |
| ისტორიანი | 2 | 12 | 24 |
| კარიბჭე | 1 | 26 | 26 |
| კარუსელი | 0.80 | 52 | 41.60 |
| ლელო | 0.80 | 312 | 249.60 |
| ლიტ. პალიტრა | 2 | 12 | 24 |
| ოჯახის მკურნალი | 1 | 26 | 26 |
| რეიტინგი | 1.50 | 52 | 78 |
| საბავშვო კარუსელი | 1 | 52 | 52 |
| სიტყვა და საქმე | 1 | 260 | 260 |
| სიტყვა და საქმე (კატალოგი) | 2 | 52 | 104 |
| ყველა სიახლე | 1 | 52 | 52 |
| Georgian Journal | 2 | 52 | 104 |

238 26 73; 238 26 74; 238 26 76 www.elva.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვარსკვლავი

# მესისთან და რონალდოსთან გაჯიბრებული

## ფალკაოს კარიერა, ერთი შეხედვით, მოკლებულია პარადოქსებს. ის ჰარმონიულია, როგორც მისი თამაში. მესი ღმერთია, რონალდო ტიტანი, ფალკაო ჩვეულებრივი გმირი

**არგენტინული "რივერ პლეიტის" მიერ კოლუმბიელი თინეიჯერის შეძენაში არაფერი ყოფილა განსაკუთრებული და სულისშემძვრელი, როგორც ეს "ბარსელონასა" და ლეო მესის შემთხვევაში იყო. თუმცა რადამელის ისტორიაც დრამატულია. ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანი ფიგურა მოთამაშის მამა იყო, მაგრამ ამით მსგავსება სრულდება. უფროსი მესი თავისი ვაჟისთვის განკურნებისა და დაუჯერებელი ნიჭის გამოყენების შანსს ეძებდა. უფროსი გარსია კი, რომელიც თავად იყო კარგი ფეხბურთელი, ფაქტობრივად არაფერს აკეთებდა. ის მხოლოდ უმნიშვნელო ორიენტირი იყო რადამელის ბედ-იღბალში...**

*"მე ვუყურებდი მამას თამაშს დაცვაში. ის ოცნებობდა წინ წასვლაზე, გოლების გატანასა და საგოლე პასების შესრულებაზე. ოდნავ უხერხულობასაც კი ვგრძნობდი მის გამო. და მე ვოცნებობდი, რომ გავიზრდებოდი და აუცილებლად თავდამსხმელი გამოვიდოდი"*, - აღიარებდა 15 წლის ფალკაო ახალგაზრდული ტურნირის დროს, სადაც ის 17-წლიანებს შორის თამაშობდა. *"მამა ყოველთვის მიყვებოდა ფეხბურთში მცველების შესახებ, მასწავლიდა მათ მოქმედებებს და იგონებდა ორიგინალურ სვლებს"*, - ამხელდა თავის ბომბარდირულ საიდუმლოებებს რადამელი მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, რომელიც 2005 წელს ჰოლანდიაში გაიმართა. მაშინ კოლუმბიელებმა ტრიუმფალურად გაიარეს ჯგუფი, ფალკაო კი შეცვლაზე შედიოდა მოედანზე, გოლებს იტანდა და ტურნირის ერთ-ერთი აღმოჩენა გახდა. შესაძლოა, 19 წლის ფორვარდს მეტი აპლოდისმენტი რგებოდა, მაგრამ პლეი ოფის პირველ რაუნდში კოლუმბია არგენტინამ შეაჩერა. რადამელი კიდევ ერთხელ შევიდა შეცვლაზე მეორე ტაიმში, როცა ანგარიში 1:1 იყო, მაგრამ მატჩის გმირი ვერ გახდა - ვერც ის და ვერც ლეო მესი. ბრწყინვალე არგენტინელის გარღვევა ჯერ ისევ წინ იყო. მას ტურნირის გმირობისკენ გზა გაუხსნა მესამე დამატებულ წუთზე არაფრით გამორჩეული მცველის **ბაროსოს** მიერ გატანილმა გოლმა. ამის შემდეგ, მესიმ გაიტანა მეოთხედფინალში ესპანეთთან, ნახევარფინალში ბრაზილიასთან და დუბლი გააკეთა ფინალში ნიგერიასთან. ამის შემდეგ, ის ბარსელონაში ჩამოყალიბებულ და გამზადებულ ვარსკვლავად დაბრუნდა. ფალკაო კი გაემგზავრა მისთვის სასურველ და შორეულ ბუენოს აირესში.

### სწავლა თუ ფეხბურთი?

როგორც ამბობენ, ნებისმიერი კოლუმბიელი ოცნებობს კარგი განათლების მიღებაზე, რათა შემდეგ დატოვოს ქვეყანა, გაითქვას სახელი და ამით ასახელოს კოლუმბია. რადამელის დედა ოცნებობდა იმაზე, რომ ბიჭს ბაკალავრის ხარისხი მიეღო, მამა კი ბიჭის საფეხბურთო ნიჭს ანვითარებდა და იმედი ჰქონდა, რომ ვაჟი მისგან განსხვავებით, დიდ წარმატებებს მიაღწევდა.



მაგრამ ყმაწვილი მთავარ გადაწყვეტილებებს ცხოვრებაში თავისი მწვრთნელისა და მწყემსის - არგენტინელი **სილვანო ესპინოლას** წყალობით იღებდა. უფრო სწორად, ესპინოლამ ასწავლა, რომ მას თავად უნდა მიეღო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ეს მაშინ მოხდა, როცა რადამელი კლუბ „ლანსეროს ბოიაკას" იუნიორთა გუნდში თამაშობდა.

უკვე 13 წლის ასაკში, რადამელ ფალკაო გარსიამ პროფესიულ მატჩში მიიღო მონაწილეობა, როცა „ლანსეროსი" „დეპორტივო პერეირას" წინააღმდეგ თამაშობდა. ესპინოლა თავის შეგირდებში მიზნის მიღწევისთვის საჭირო საბრძოლო სულსა და ჟინს ამკვიდრებდა, ბიჭებს ქრისტიანობასა და ფეხბურთს აზიარებდა, მაგრამ მნიშვნელოვნ მომენტებში მათ უტოვებდა არჩევანის უფლებას. თავისი ადრეული დებიუტის შემდეგ, რადამელი ესპინოლას კონტაქტების დახმარებით პირველად გაემგზავრა ბუენოს აირესში - „ველეს სარსფილდში" სტაჟირებაზე. ნახევარი წლის შემდეგ დაბრუნდა - და ეს მთლიანად მისი გადაწყვეტილება იყო. მშობლები ცალ-ცალკე ოცნებას აგრძელებდნენ, მაგრამ დაჟინებით არაფერს ითხოვდნენ. 2005 წელს, სწორედ იმ ახალგაზრდული ჩემპიონატის შემდეგ (მაშინ რადამელს უკვე მიანიჭეს მეტსახელი ლეგენდარული ბრაზილიელის **პაულო რობერტო ფალკაოს** პატივსაცემად), ბიჭი ისევ არგენტინაში გაემგზავრა. გამოთხოვებისას, მამამ ისევ შეახსენა თავისი საფეხბურთო რჩევები, დედამ - ის, რომ განათლება არასოდეს არ არის ზედმეტი.

რადამელს თავიდანვე არ გაუზიარებია ეს რჩევები, მაგრამ არც დავიწყებია ისინი. მან ორი უმნიშვნელო წელი გაატარა „რივერ პლეიტის" სკოლაში - ლეგენდარული „მონუმენტალის" გვერდით ბაზაზე სხვა ჩამოსულ ფეხბურთელებთან ერთად ცხოვრობდა და სპარტანულ ცხოვრებას უღებდა ალლოს. ბოლოს, მან ჯერ კოლეჯში, შემდეგ კი ბუენოს აირესის ერთ-ერთ უნივერსიტეტში ჩააბარა.

### კარიერა რივერ პლეიტში

„რივერ პლეიტის" რიგებში თავის პირველივე სრულფასოვან მატჩში ფალკაომ დუბლი შეასრულა, რითაც პირველად გამოამჟღავნა თავისი ბომბარდირული თვისებები.

მაგრამ 2005 წელს, ჯერ კიდევ შორს იყო მისი სნაიპერული სასწაულები. არგენტინელ თანატოლებთან წაგებამ მრავალი წლით დააშორა ფალკაოსა და მესის საფეხბურთო გზები. დაიწყო პერიოდი, რომელმაც საბოლოოდ ჩამოაყალიბა თავდამსხმელის ხასიათი.

„რივერ პლეიტის" მწვრთნელმა **რეინალდო მერლომ,** საყოველთაო გაოცების მიუხედავად, აქცენტი ფალკაოზე გააკეთა. ბიჭს მართლაც შეეძლო თავი გამოეჩინა კარგი თამაშით, მაგრამ ასეთი გმირობები ყოველდღე არ ხდებოდა. რადამელმა ჯერ ვერ მოარგო გასაღები მკაცრი არგენტინული ლიგის ყველა მცველს, პარტნიორებს კი ჯერ არ ჰქონდათ გაცნობიერებული ახალბედას ყველა ღირსება. ამიტომაც, საშუალო სიმაღლის ფორვარდს თითქმის არ ეძლეოდა თავის გამოჩენის შანსი. კიდევ უფრო გართულდა საქმე მერლოს წასვლისა და **დანიელ პასარელას** მოსვლის შემდეგ. მასთან ბრძოლაში ახალგაზრდა კოლუმბიელს არანაირი რჩევები არ შველოდა.

რადამელი, შემადგენლობაში ადგილის დაკარგვის მიუხედავად, საკუთარი თავის რწმენას არ კარგავდა. მაგრამ მძიმე ტრავმამ (2006 წლის დასაწყისში მუხლის ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა) კიდევ უფრო დააშორა მიზანს. და ამან ის უფრო ძლიერად აქცია. *"ტრავმის შემდეგ პირველი წამი აუტანელი იყო, მოძრაობა არ შემეძლო, მეგონა, რომ თავად ცხოვრება გაჩერდა,* - ჰყვებოდა შემდეგ ფალკაო. - *მაგრამ, სწორედ ეს ტრავმა გახდა ჩემი აღმაფრენის ათვლის წერტილი".*

რადამელის ლამაზი სიტყვები სულაც არ გახლავთ ინტერვიუერის ფანტაზიის ნაყოფი. უნივერსიტეტში კოლუმბიელი ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობდა და ამით, ლამაზად და საქმიანად ლაპარაკი ისწავლა. ის თავის აზრებს ორიგინალურად და მკაფიოდ აყალიბებს, არადა, 2006 წელს სწავლის მიტოვებამ მოუწია. ტრავმის შემდეგ ფალკაო უნივერსიტეტში აღარ დაბრუნებულა. სამაგიეროდ, დაბრუნდა ფეხბურთში და მისი შემჩერებელი აღარავინ იყო. 2007-08 წლების სეზონი კოლუმბიელისთვის ძალიან წარმატებულად განვითარდა.

პასარელას განთავისუფლებამ გზა გაუხსნა მინდორზე დაბრუნებულ კოლუმბიელს. ფალკაო იმკვიდრებს ადგილს ძირითად შემადგენლობაში, აკეთებს პირველ "ილეთს შლაპით" კოპა სუდამერიკანაზე ბრაზილიის "ბოტაფოგოს" წინააღმდეგ, თავის პირველ გოლს იტანს არგენტინულ სუპერკლასიკოში - ანგარიშს ხსნის "ბოკა ხუნიორსთან" მოგებულ მატჩში. ის დაფრინავს მოედანზე და იოლად იცილებს მცველებს, რომელთა თამაშს უკვე აუღო ალღო.

მას უკვე აღარ ჰყოფნის ოთხი გოლი და რვა მატჩი ძირითადში. "ტორნეო კლაუსურა" "რივერ პლეიტმა" მოიგო **დიეგო სიმეონეს** ხელმძღვანელობით, მაგრამ ფალკაო ჯერ არ არის სუპერბომბარდირი, ის გუნდის შიგნით აგებს სნაიპერულ დუელს ტექნიკურ **დიეგო ბუონანოტესთან.** მისი ღირსება მოგვიანებით ვლინდება. რადამელმა თავიდან უარყო რამდენიმე შემოთავაზება ევროპიდან, მაგრამ ბოლოს მაინც გაემგზავრა ოკეანის გაღმა და დაიწყო ევროპის დაპყრობა. 2008 წლის კლაუსურა კი დღემდე რჩება "რივერის" ბოლო ტიტულად.

### რეკორდები პორტუში

2009 წლის "პორტუ" ერთ-ერთი გამორჩეული გუნდი იყო. ფალკაოსთვის ნამდვილი სიამოვნება გახდა ძლიერი შემსრულებლების მხარდამხარ თამაში. მათ შორის იყო მისი ყოფილი პარტნიორი კოლუმბიის ახალგაზრულ ნაკრებში **ფრედი გუარინი** და პერსპექტიული **ჰალკი.** მან რეგულარულად დაიწყო გოლების გატანა, თანაც არა მარტო შიდა არენაზე. მისმა ქუსლით გატანილმა გოლმა ჩემპიონთა ლიგაზე მადრიდის "ატლეტიკოს" კარში, პორტუგალიელ ჟურნალისტებს **მაჯერის** გოლი გაახსენა 1986-87 წლების ჩემპიონთა თასის ფინალში. საინტერესოა, რომ სადებიუტო სეზონის 28 მატჩში ფალკაოს 25-მა გოლმა "პორტუს" ტიტული ვერ მოუტანა. პირველად და უკანასკნელად ბოლო ხუთ წელიწადში "პორტუმ" წააგო პირველობა "ბენფიკასთან". ჩემპიონთა ლიგაზე კი გუნდი მერვედფინალიდან გამოეთიშა ბრძოლას, როცა "არსენალთან" შინ მოიგო 2:1 ფალკაოს გამარჯვების გოლით, მაგრამ ლონდონში განადგურდა – 0:5. შემდეგ სეზონში მას სულ ცოტა დააკლდა მაშინ დაუჯერებელ შედეგამდე - ერთი გოლი მატჩში. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ ასწიეს მესიმ და **რონალდომ** თამასა და გამოწვევა ესროლეს ფალკაოს. მანამდე კი რადამელმა და კომპანიამ "პორტუს" ჩემპიონობა დაუბრუნეს. ევროპის ლიგაზე კოლუმბიელმა გააუმჯობესა **იურგენ კლინსმანის** რეკორდი, როცა უეფას თასის ერთ კონკრეტულ გათამაშებაში 17 გოლი გაიტანა. წერტილი რადამელმა დუბლინში ფინალურ მატჩში დასვა.

### შემდეგი გაჩერება: ატლეტიკო

მადრიდის "ატლეტიკოში" 40 მილიონ ევროდ გადასვლა - თამამი ნაბიჯი იყო. სატრანსფერო თანხა მხოლოდ ხაზს უსვამს ბომბარდირის პასუხისმგებლობის დონეს, მაგრამ რიცხვების გარეშეც ცხადია: რადამელი მზად არის ამ გამოწვევისთვის, მზადაა ითამაშოს გუნდში, რომელმაც ფაქტობრივად არარეალური ამოცანა დაისახა მიზნად - ჩაერიოს "ბარსელონასა" და "რეალის" დავაში, თავად კოლუმბიელი კი პირად ჩათვლაში გაეჯიბროს მესისა და რონალდოს. *"ჩემთვის სასიამოვნოა, რომ ხანდახან ვახერხებ ლეოზე და კრისტიანოზე მეტის გატანას, თუმცა ეს ტურნირის ცალკეულ ეტაპებზე ხდება,* - მოკრძალებულად ამბობდა მიმდინარე სეზონის სტარტზე ერთ-ერთი მატჩის შემდეგ რადამელი. - *მაგრამ ჩემი ამოცანა არ არის მესისთან ან რონალდოსთან დავა. "ატლეტიკო" უნდა ავიყვანო ახალ დონეზე და თავად მივაღწიო უფრო მეტს, ვიდრე შარშანდელ სეზონში".* უკვე დღეს ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ ფალკაო ისევ მიაღწევს თავისას. შარშანდელი 24 გოლი - მხოლოდ მორიგი საშუალედო შედეგია. ჯერ პირველი წრე არ დასრულებულა და ფალკაოს უკვე 17 გოლი აქვს. სხვათა შორის, სამი ბურთით უსწრებს რონალდოს და მხოლოდ მესის ჩამორჩება.

რადამელი ისევ თამაშობს დიეგო სიმეონეს მეთაურობით, რომელიც ისევე თავდაჯერებული და თავშეკავებულია, როგორც თავად ფალკაო. ისევ სწავლობს მისთვის უცნობი მცველების თავისებურებებს და იხსენებს უფროსი გარსიას რჩევებს. ის ცხოვრებისგან სწავლობს და ამით დედის რჩევების ერთგულია. მან შეინარჩუნა ქრისტიანული იდეების ერთგულება და რამდენიმე ახალგაზრდული რელიგიური ჯგუფის ლიდერი გახდა. დაქორწინებულია არგენტინელზე, რომელიც ბუენოს აირესში ევანგელისტური მსახურებისას გაიცნო.

ყველაზე ლაკონიურად და კარგად ფალკაო დიეგო სიმეონემ დაახასიათა: *"ფალკაო - საუკეთესო მეცხრე ნომერია მსოფლიოში".*

**გია თვალაბეიშვილი**

ოლიმპიური კომიტეტი. სესია



ლერი ხაბელოვი


რომან რურუა

# ხაბელოვი ქართულ სპორტს დაუბრუნდა

ქართულ ოლიმპიურ მოძრაობას მომავალი ოთხი წლის განმავლობაში **ლერი ხაბელოვი** უხელმძღვანელებს. ეს გუშინ „შერატონ მეტეხი პალასში" გამართულ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საარჩევნო-საანგარიშო სესიაზე გაირკვა, რომელსაც 111 დელეგატიდან 107 დაესწრო. ხაბელოვმა 59 ხმა მიიღო, სეოკ-ის მოქმედმა პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** - 43, **ბექან ხურციძემ** - 4, ერთი ბიულეტენი კი გაბათილდა. შეგახსენებთ, რომ სამივე კანდიდატს წინასწარ ჰყავდა დასახელებული საკუთარი გუნდი, რომლითაც მოვიდოდა ოლიმპიური კომიტეტის სათავეში. ამდენად, სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ჩვენი კოლეგა **ელგუჯა ბერიშვილი** გახდა, ვიცე-პრეზიდენტებად ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** და **მამუკა ხაბარელი** იმუშავებენ, გენერალური მდივნის პოსტზე კი ხაბელოვმა **ემზარ ზენაიშვილი** დააბრუნა.

სესიას ევროპის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა ალმასკომის წევრი და საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი **კიკის ლაზარიდისიც** ესწრებოდა. არჩევნები ამ სხდომის მთავარი თემა იყო, თუმცა დასაწყისში სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც მოილია. კერძოდ, სეოკ-მა საიუბილეო თარილებისა თუ ძველი დამსახურებების გამო ოლიმპიური ორდენებით დააჯილდოვა ოლიმპიური ჩემპიონები: ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე **რომან რურუა**, ფრენბურთელი **ვაჟა კაჭარავა** და ტანმოვარჯიშე **გალინა მინაიჩევა-შარაბიძე**. „წლის მეცენატის" პრიზი ფარმაცევტული კომპანია „ავერსი-ფარმას" გენერალურმა დირექტორმა **ირაკლი ფურცელაძემ** მიიღო. ლონდონში დაკავებული ადგილების შესაბამისი სამკერდე ნიშნები გადაეცათ თამაშების მედალოსნებს: ძიუდოისტ **ლაშა შავდათუაშვილს** (66) - ოქროსი, ბერძნულ-რომაულად მოჭიდავე **რევაზ ლაშხს**, (60) „თავისუფალთა" ნაკრების წევრებს **ვლადიმერ ხინჩეგაშვილსა** (55) და **დავით მოძმანაშვილს** (120) - ვერცხლისა, ხოლო ბერძენ-რომაელ **მანუჩარ ცხადაიას** (66), „თავისუფლებს" - **დავით მარსაგიშვილსა** (84) და **გიორგი გოგშელიძეს** (96) - ბრინჯაოსი.

ამ პროცედურის გავლის შემდეგ ნაცვლიშვილი საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა, რომელსაც თავისი პრეზიდენტობის უპირველეს მიღწევად „თბილისი-2015" საარჩევნო მარათონში გამარჯვება მიიჩნია. მოგვიანებით, უკვე პრეზიდენტის კანდიდატის რანგში გამოსვლისას ყველაზე დიდ წარუმატებლობად ლონდონის ოლიმპიადის სალიცენზიო მარათონში გუნდურ სახეობებში წარუმატებლობა დაასახელა.

ნაცვლიშვილის გამოსვლას რამდენიმე კითხვა მოჰყვა, რომელთა დიდი ნაწილიც ოლიმპიურ ჩემპიონ **შოთა ხაბარელს** ეკუთვნოდა. წინა ყრილობაზე 60 ლიცენზიას და ლონდონში 5 ოქროს რომ დაგვპირდით, რატომ ვერ შეასრულეთ; რა მიზნით ჩამოიყვანეთ 36 წლის პოლონელი მძლეოსანი; რატომ ვერ აწონეთ ლონდონის ოლიმპიადაზე მოკრივე; რა მოხდა მძლეოსანთა ლიცენზიებთან დაკავშირებით - ეს იყო შეკითხვათა ძირითადი ნაწილი, რომელსაც ნაცვლიშვილმა დეტალურად უპასუხა, თუმცა მძლეოსანთა საგზურების საკითხს არ შეხებია.

საანგარიშო მოხსენების შემდეგ ტრიბუნა უკვე პრეზიდენტობის კანდიდატებს დაეთმოთ. მართალია, მათ გამოსვლებში იყო სამომავლო გეგმებზე ლაპარაკი, მაგრამ უფრო მაინც ერთმანეთის კრიტიკა სჭარბობდა. ამ მხრივ ყველაზე ცუდ დღეში ნაცვლიშვილი აღმოჩნდა, როგორც სეოკ-ის მოქმედი პრეზიდენტი - მის მიმართ და, ზოგადად, ბოლო წლებში ამ ორგანიზაციის მუშაობისადმი ბევრი კითხვა გაჩნდა. მათი გამოსვლებიდან ყურადღებას ხაბელოვის ძირითად თეზისებზე გავამახვილებთ, როგორც ახალი პრეზიდენტისა, რომელმაც ძირითად პრიორიტეტებად სპორტის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ფართოდ დანერგვა დაასახელა. ცხადია, არც უმაღლესი მიღწევების სპორტი დავიწყებია, რაც ნებისმიერი ოლიმპიური კომიტეტისთვის უპირველესი ამოცანაა. მანვე ერთ-ერთ ვექტორად რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადაზე რომელიმე გუნდურ სათამაშო სახეობაში მოხვედრაც დაასახელა, თუმცა იქვე დასძინა, ეს ძალზე ძნელად მისაღწევი იქნებაო.

საინტერესო იყო ხურციძის გამოსვლა, რომელმაც ორივე მეტოქეს კანდიდატურების მოხსნისა და მისი პერსონისადმი მხარდაჭერისკენ მოუწოდა. იქვე მან მეორე ტურიც იწინასწარმეტყველა და აქ ფრიად საინტერესო რამეც თქვა - იქ მხარს დავით გოგიჩაიშვილსა და დავით ხახალეიშვილს დაუჭერო. შეგახსენებთ, რომ ორივე ოლიმპიური ჩემპიონი დასახელებული იყო როგორც ხურციძის, ასევე - ნაცვლიშვილის გუნდში სხვადასხვა პოსტზე. ხურციძემ „ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბის" გადაწყვეტილებაც გააკრიტიკა, რომელმაც არჩევნებამდე ორი დღით ადრე დელეგატი შეცვალა - **ზაურ ცხადაძის** ნაცვლად ხმის უფლება **თამაზ თევზაძეს** გადასცა. რაკი თევზაძე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის მოადგილეა, ხურციძემ ასეთი ცვლილება არადემოკრატიულ ნაბიჯად შეაფასა, რასაც თევზაძის მძაფრი კრიტიკა მოჰყვა.

ხმის უფლების მქონე დელეგატთა ვინაობა სესიის კიდევ ერთ მწვავე საკითხად იქცა. საქმე ისაა, რომ 3 ოქტომბრის, ანუ სეოკ-ის არჩევნების გადადების შემდეგ დელეგატთა რაოდენობა გაიზარდა, მათ შორის - „თბილისი-2015"-ის ხარჯზე, რომელსაც 2 ხმა მიეცა. სალუქვაძემ მათთვის და კიდევ ოთხი დელეგატის - **ვლადიმერ ვარძელაშვილის, გიორგი ალექსიძის, პეტრე ცისკარიშვილისა და კახა გეწაძისთვის** ხმის უფლების ჩამორთმევა მოითხოვა. ამათგან ვარძელაშვილი სპორტის ექსმინისტრია, დანარჩენი სამი კი - სპორტული ფედერაციების ექსპრეზიდენტები. სხდომამ ამ საკითხზე კარგა ხანს იკამათა და საბოლოოდ „თბილისი-2015"-ს მანდატები ჩამოართვა, იმ ოთხეულს კი დაუტოვა, რადგან ისინი ალმასკომში 3 ოქტომბრამდეც შედიოდნენ.

სესიაზე სიტყვით **ნონა გაფრინდაშვილიც** გამოვიდა და **ლუკა კურტანიძეც**, რომელიც მოზომილი, მაგრამ მკვეთრი სიტყვით გამოირჩა. მან ძველ ხელისუფლებას ადრინდელი შეცდომები გაუხსენა: ჭადრაკის სასახლისთვის ნონა გაფრინდაშვილის სახელის გადარქმევა, როცა ლეგენდარულ ქალბატონს თურმე აფხაზეთში დღესაც ძველებურ პატივს მიაგებენ; **რობერტ შავლაყაძესთან** საბინაო თემაზე დავა; 26 მაისის მოვლენებისას მის მიმართ გამოჩენილი


შოთა ხაბარელი

ფიზიკური ძალადობა; ზეწოლა სპორტულ სამყაროზე და სხვა, ხოლო ვარძელაშვილი პირადად დაადანაშაულა მისი შვილის - **ნოდარ კურტანიძის** კარიერის დაბლოკვაში. მას ასე მხოლოდ იმიტომ მოექცნენ, რომ ჩემი შვილი იყოო, განაცხადა კურტანიძემ.

სხდომაზე არაერთხელ შეეხნენ სპორტის დეპოლიტიზაციას და ბევრჯერ გაავლეს პარალელი სეოკ-ისა თუ ფედერაციების წინა არჩევნებთან, სადაც არც ალტერნატიული კანდიდატები იყვნენ და ხელისუფლება პირდაპირაც ერეოდა სპორტსმენთა არჩევნებშიო. ხაბელოვმა არჩევნებამდეც და მისი დასრულების შემდეგაც არაერთხელ დადო პირობა, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდება, ამის წინა პირობად კი ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დროის ამ მცირე მონაკვეთში გამართული ფედერაციების საარჩევნო ყრილობები დაასახელა.

„დიდ მადლობას ვუხდი ყველას, ვინც მხარი დამიჭირა. გადაჭრით მინდა ვთქვა, რომ ეს არჩევნები სუფთა წესებით ჩატარდა. ამდენად გამჭვირვალე არჩევნები არც სეოკ-ში გამართულა და არც - ფედერაციებში. ვიმოქმედებ ოლიმპიური ქარტიის მიხედვით. გვინდა, შევიდეთ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში და გავაძლიეროთ ოლიმპიური მოძრაობა. ცხადია, მაღალი მიღწევების სპორტი ჩვენი უმთავრესი საზრუნავი იქნება" - განაცხადა არჩევნების დასრულების შემდეგ ხაბელოვმა.


ლაშა შავდათუაშვილი

ირაკლი თავაძე

ჭადრაკი

## ლომსაძე დაწინაურდა

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პირველლიგელთა ტურნირზე, სადაც უმაღლესი ეშელონის ხუთი საგზური თამაშდება, გუშინ მე-6 ტურის ორთაბრძოლები გაიმართა. საგულისხმოა, რომ 23-დან მხოლოდ 3 პარტია დასრულდა ყაიმით, დანარჩენი შეხვედრები შედეგიანი აღმოჩნდა.

შეჯიბრებას ხუთი ტურის შემდეგ 4,5-4,5 ქულით ზურაბ ჯავახაძე და დავით ლომსაძე ედგნენ სათავეში. გუშინ მათი პაექრობა შავებით მოთამაშე ლომსაძის გამარჯვებით დასრულდა, დავით ბენიძემ ნინო ხომერიკი დაამარცხა, დავით ჯოჯუა და შოთა აზალაძე ყაიმზე შეთანხმდნენ. მეწინავეთა ჯგუფის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: გიგა ყუფარაძე-ივერი ჭილლაძე 1:0, გიორგი გამზარდია-გაიოზ ნიგალიძე 0:1, მალხაზ სულაშვილი-ფრიდონ ყალაგაშვილი 1:0, დიმიტრი კვარაცხელია-ბაჩანა მორჩიაშვილი 0:1, გიორგი ნიკოლაშვილი-ნატო იმნაძე 1:0, ივანე სიფრაშვილი-გიორგი სიბაშვილი 0:1, ზვიად ფაცია-ანა შამათავა 0,5:0,5.

ექვსი ტურის შემდეგ ლომსაძე 5,5 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა. ნახევარი ქულით ნაკლები აქვს ბენიძეს, ხოლო აზალაძე, ნიგალიძე, ყუფარაძე და ჯავახაძე 4,5-4,5 ქულით მესამე-მეექვსე ადგილებს ინაწილებენ.

მე-7 ტურში ლიდერები ასე დაწყვილდნენ: ლომსაძე-ყუფარაძე, აზალაძე-ბენიძე, ნიგალიძე-ჯავახაძე, სიბაშვილი-ჯოჯუა, ხომერიკი-სულაშვილი, მორჩიაშვილი-ნიკოლაშვილი.

ვაჟა დანელია

## ლილე იტალიაშია

ქართველი მოჭადრაკე **ლილე ცალულელაშვილი** კარგა ხანია, საჭადრაკო დაფასთან არ გვინახავს, ამიტომ სასიამოვნო სიურპრიზი იყო იტალიურ პადოვაში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე მისი გამოჩენა. აპენინებზე უკვე ხუთი პარტია გათამაშდა. ლილემ პირველ ტურში მასპინძელი დუიტიო კოლუტისი დაამარცხა, შემდეგ ზედიზედ ორი პარტია დათმო იტალიელ ფედერიკო მანკასთან და სერბ გოიკო ლაკეტიჩთან, მეოთხე ტურში დორაკო ტომაზოს დაუზავდა, გუშინ კი ალესანდრო ფრანკოს (ორივე - იტალია) აჯობა შავებით და 2,5 ქულა მოაგროვა.

ტურნირზე ხუთი ტურის შემდეგ 4,5 ქულით რუსი ვლადიმირ ბურმაკინი ლიდერობს, მას ნახევარ-ნახევარი ქულით რობერტო მოგრანზინი და მარკო კოდენოტი (ორივე - იტალია) ჩამორჩებიან. 10 მოჭადრაკეს 3,5-3,5 ქულა აქვს.

დღეს მე-6 ტურში ლიდერთაგან ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ვლადიმირ ბურმაკინი-მარკო გოდენოტი, იური სოლოდოვნიჩენკო-რობერტო მოგრანზინი, გოიკო ლაკეტიჩი-ვლადიმირ პეტკოვი. ლილე ცალულელაშვილი თეთრი ფიგურებით შტეფანო ვიაჯის (იტალია) შეხვდება.

ვაჟა დანელია

წყალბურთი

## მეხუთე მარცხი

ევროპის წყალბურთელ ვაჟთა ჩემპიონთა ლიგის A ჯგუფის მეექვსე ტურში მეხუთედ დამარცხდა საქართველოს სამგზის ჩემპიონი „ლიგამუსი-თბილისი". ჩვენმა წყალბურთელებმა სტუმრად საბერძნეთის „ვულიაგმენთან" წააგეს 2:16 (0:4, 0:5, 2:2, 0:5). ამ ჯგუფის დანარჩენი ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: „შუურმანი" (ჰოლანდია)-„ეგერი" (უნგრეთი) 6:17, „ვასპო-98" (გერმანია)-„სპარტაკი" (ვოლგოგრადი) 2:12.

სატურნირო მდგომარეობა 6 ტურის შემდეგ: „ვულიაგმენი"-18, „სპარტაკი"-15, „ეგერი"-9, „შუურმანი"-6, „ვასპო-98"-3, „ლიგამუსი-თბილისი"-0 ქულა.

მეშვიდე ტურის შეხვედრები 2013 წლის 9 იანვარს გაიმართება: „ლიგამუსი"-„ვასპო-98", „ეგერი"-„ვულიაგმენი", „სპარტაკი"-„შუურმანი".

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ქართველები NBA-ში

# ზაზა 4500

## თორნიკე, ერთთვიანი შესვენების შემდეგ

**ზაზა ფაჩულიამ** დაამრგვალა: „ოკლაჰომასთან" მატჩის II პერიოდის მეოთხე წუთზე ორქულიანით ტაბლოზე საკუთარი გუნდის სასარგებლოდ 34:27 დააფიქსირა. ეს აღმოჩნდა ქართველი ცენტრის ისტორიული ტყორცნა - NBA-ში გადასვლის შემდეგ 4500-ქულიან ნიშნულს გადასცდა. სადღეისოდ მის ანგარიშზე 4505 ქულაა (660 მატჩში).

„ატლანტა ჰოქსმა" დასავლეთის კონფერენციის გამორჩეულ გუნდ „ოკლაჰომა თანდერსს" უმასპინძლა. სწორედ მასთან, მიმდინარე სეზონის მეორე მატჩი ატლანტელებმა ოკლაჰომაში ჩაატარეს და ადგილობრივი „თანდერსი" 104:95 დაამარცხეს. მას მერე, მართალია, ჯორჯიელებმა უფრო მოუმატეს, მაგრამ თამაში გამოასწორა ოკლაჰომამაც, რომელმაც ამჯერად „ატლანტასთან" სტუმრად 8 ქულის სხვაობით იმარჯვა - 100:92.

თუ მატჩის დასრულებამდე 8 წუთით ადრე „ქორები" გამარჯვების შანსს ინარჩუნებდნენ, დარჩენილ დროში ვერაფერი დაუპირისპირეს **კევინ დურანტს**, რომელმაც 8 წუთში 18(!) ქულა ჩააგდო. საბოლოოდ კი 41 ქულა მოუგროვდა.

ზაზა ფაჩულიამ 18 წუთი ითამაშა და ეს დრო უქმად არ დაუკარგავს - 10 მოხსნა და 6 ქულა მიითვალა.

### ატლანტა–ოკლაჰომა 92:100

**ზაზა ფაჩულია:** 18 წუთი, 6 ქულა (8-დან 3 ორქულიანი), 10 მოხსნა.

**I პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 3:11 | 15-16 | კორვერი შეცვალა |

**II პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 11:26 | 25-20 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 11:26 | 25-20 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 8:18 | 34-25 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 7:52 | 34-27 | ორქულიანი: 2ძ |
| 7:35 | 34-27 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 7:22 | 34-27 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 6:24 | 38-27 | სმითმა შეცვალა |
| 0:59 | 52-38 | ჰორფორდი შეცვალა |

**III პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 3:41 | 68-54 | სტივენსონი შეცვალა |
| 2:30 | 71-56 | ორქულიანი; არაზუსტი |
| 2:29 | 71-56 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 2:28 | 71-56 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 2:27 | 71-56 | მოხსნა: შეტ-3, დაც-2 |
| 2:25 | 71-56 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 2:24 | 71-56 | მოხსნა: შეტ-4, დაც-2 |
| 2:24 | 71-58 | ორქულიანი: 4ძ |
| 1:25 | 73-61 | მოხსნა: შეტ-4, დაც-3 |
| 0:33 | 73-66 | ორქულიანი: 6ძ |
| 0:33 | 73-64 | მოხსნა: შეტ-5, დაც-3 |

**IV პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 9:33 | 73-69 | მოხსნა: შეტ-5, დაც-4 |
| 7:28 | 77-72 | მოხსნა: შეტ-5, დაც-5 |
| 6:58 | 80-72 | ჰორფორდმა შეცვალა |

■ ■ ■

**თოკო** ერთთვიანი შესვენების შემდეგ პირველად გამოჩნდა მოედანზე. მან ბოლოს 21 ნოემბერს ითამაშა და მას მერე ჯერ თითის მცირე ტრავმის, შემდეგ მწვრთნელის გადაწყვეტილების გამო NBA-ში აღარ გამოჩენილა. მართალია, 21 წლის ქართველი ბრუკლინელ ვარსკვლავებთან ვარჯიშითაც საკმარის გამოცდილებას აგროვებს, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა მაინც საჭიროა.

როგორც გითხარით, ნოემბრის შემდეგ მან პირველად გუშინ ითამაშა და ერთადერთი შეტევა 2 ქულით დაასრულა. გარდა ამისა, მის ანგარიშზე 1 მოხსნაა. მეტის გაკეთებისთვის კი დრო არ ეყო - 2 წუთი ითამაშა.

„ბრუკლინ ნეთსი" კი აღმოსავლეთი კონფერენციის ლიდერ „ნიუ იორკ ნიქსს" ესტუმრა და 86:100 დამარცხდა. საწყისი სამი პერიოდი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, მეოთხეში კი მასპინძლებმა გაილაღეს.

### ნიუ იორკი–ბრუკლინი 100:86

**თორნიკე შენგელია:** 2 წუთი, 2 ქულა (1-დან 1 ორქულიანი), 1 მოხსნა, 1 ფოლი

**IV პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 2:03 | უოლასი შეცვალა | 80-98 |
| 1:43 | ფოლი: 1 | 82-98 |
| 1:34 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 | 82-98 |
| 1:32 | ორქულიანი: 2ძ | 84-98 |

■ ■ ■

ამჟამად „ატლანტა ჰოქსს" 15 მოგება (8 წაგება) აქვს და აღმოსავლეთის კონფერენციაში მესამე ადგილს ინარჩუნებს. მეშვიდეა „ბრუკლინ ნეთსი" - 13 გამარჯვება, 12 მარცხი.

ჯორჯიელები მომდევნო მატჩს 21 დეკემბერს „ფილადელფიასთან" სტუმრად ჩაატარებენ, ხოლო ბრუკლინელებს მომდევნო შეხვედრა ამავე ფილადელფიასთან 23 დეკემბერს უწევთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**




# TimeLine

# ჩამოთოვა...



ოთხშაბათს სპორტის სასახლიდან გამოსულს დიდი გუნდა მომხვდა. თურმე, არმიელები გუნდაობდნენ და ჩემს ქურთუკამდე ვლადიმერ ბოისას ნატყორცნმა მიაღწია. კალათბურთელებთან მიზანში სროლაში გაჯიბრებას არავის ვურჩევ, იყო დრო, ბოისას ტყორცნების მსხვერპლნი ევროლიგის წამყვანი გუნდებიც გამხდარან.
იმავე დღეს დიდთოვლობამ გორში გასამართი მატჩი სამტრედიაში გადაიტანა. საკალათბურთო „დინამოს" ქომაგობდა საფეხბურთო „დინამოს" ფან-კლუბი („გლადიატორები"), რომელმაც „შსს-აკადემიასთან" გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. მეტი თუ არა, არანაკლები იყო „გლადიატორების" წვლილი საფეხბურთო გუნდის „მერანთან" მოგებაში - თურმე, „დინამოს" სტადიონი თოვლისგან სწორედ ფანებს გაუწმენდიათ. მოკლედ, საქართველოში გვარიანად დაზამთრდა, თუმცა ჩვენ რას ვჩივით, რუსულ გაზეთებში ბოლო დროს ხშირად წაიკითხავთ ასეთი შინაარსის სათაურებს: „ზენიტის" ქომაგები გუნდის მოსკოვურ მატჩს ვერ დაესწრნენ - მათი ავტობუსი დიდთოვლობამ შუა გზაში შეაფერხა; „დინამოების" შეხვედრა თოვის გამო შეწყდა და ა.შ...
როგორც ჩანს, მოსკოვის „დინამოს" სტადიონი იმდენად დაითოვა, რომ ნარინჯისფერი ბურთი აღარ ჩანდა. გამოგიტყდებით, პატარაობაში, ასეთი ბურთი პირველად რომ ვნახე, ვერ მივხვდი, რისთვის იყო: მაშინ ფეხბურთზე დავდიოდი, 2-3 თეთრი ბურთი გვქონდა (რომ კვერცხდებოდა, ისეთი). მწვრთნელმა ერთხელ ნარინჯისფერი ბურთი მოიტანა და გვითხრა - ეს მერე გამოგვადგებაო. „კვერცხით" თამაში მოწყენილი გვქონდა და მოუთმენლად ველოდით, როდის გავიტანდით სტადიონზე ახალთახალ ნარინჯისფერ ბურთს.
დიდი ხანი მოგვიწია ლოდინმა. კარგად რომ აცივდა და თოვლმა მოედანი გადაათეთრა, ფეხზე ცელოფანის გამძლე პარკები ამოვიცვით (ახლანდელი ერთჯერადები მაშინდელთან რა მოსატანია), მოვირგეთ კედები და სრიალ-სრიალით გავედით სტადიონზე. მწვრთნელმა ნარინჯისფერი ბურთი მოედანზე დაგვახვედრა. კარგი იყო... ვისაც დათოვლილ მოედანზე ნარინჯისფერი, ან წითელი ბურთით ფეხბურთი არ უთამაშია, ბევრი დაუკარგავს. ორი კვირის წინათ შემოგთავაზეთ ფოტო, რომელშიც გიორგი ცინცაძე და ვიქტორ სანიკიძე რაგბის თამაშობენ. მათ სხვა სპორტიც ეხერხებათ - ფეხბურთს რომ გავყოლოდი, კარგი ცენტრფორვარდი ვიქნებოდიო, 2007 წელს ნახევრად ხუმრობით მითხრა ვიქტორმა. გიორგი ცინცაძემ კი რუსულ „ურალ გრეიტში" ახალი გადასული იყო, იქაურები რომ გააოცა: კალათბურთელები ორად გაიყვნენ და თოვლით გადათეთრებულ მოედანზე ფეხბურთი ითამაშეს. ცინცაძის გუნდმა 11:7 გაიმარჯვა. 6 გოლი გიორგის ანგარიშზე იყო.

### მაშ, არაო?

გასულ კვირას დიდი ხმაური გამოიწვია „ორლანდოსთან" მატჩში ზაზა ფაჩულიას მიერ საკუთარი ნახევრიდან ჩაგდებულმა სამქულიანმა. ეს უნდა ყოფილიყო მის მიერ რეალიზებული პირველი შორეული ტყორცნა ამერიკაში გადასვლის შემდეგ, მაგრამ მსაჯებმა ხელები გაასავსავეს - ბურთი არ ითვლებაო. გამეორებაზე არაერთხელ ვნახეთ და სიმართლე გითხრათ, გარკვევით არ ჩანს ტაბლოზე წითელი მანამ აენთო, ვიდრე ზაზა ბურთს ხელიდან გაუშვებდა, თუ - არა. თუმცა ეკრანზე დაფიქსირებული დროის მიხედვით ბურთი უნდა ჩათვლილიყო. აი, ამის დამადასტურებელი ფოტოც:







### გამომყევი, გოგოვ...

კვირას იტალიაში ვარსკვლავთა მატჩი გაიმართა. გასულ სეზონში ამ შოუში გიორგი შერმადინი მონაწილეობდა, უფრო ადრე - ვიქტორ სანიკიძე. ამჯერად „ოლ სტარმა" ქართველების გარეშე ჩაიარა. სატაიმლაინე ამბავი კი ჩატენვების კონკურსის მსვლელობისას მოხდა: ამერიკელ კალათბურთელ დომინიკ ჯეიმსს ნერვიულობა ეტყობოდა. მიზეზს მაშინღა მივხვდით, მოედანზე ტანმაღალი ლამაზმანი რომ გამოვიდა. ჯეიმსმა ბურთი გვერდზე გადადო, დაიჩოქა და შეყვარებულს თითზე საქორწინო ბეჭედი გაუკეთა. ამ სანახაობამ სავსე ტრიბუნები აღაფრთოვანა, თუმცა უმალ დაადუმა. სიჩუმემ 10-15 წამს გასტანა - სწორედ ამ დროის განმავლობაში კოცნიდა ჯეიმსი მომავალ საცოლეს. ...ლოყაზე არა.



### სადაც წახვალ, იქაური...

ორიოდე დღის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, გიორგი შერმადინი სლოვენიის „ოლიმპიაში" ვიხილოთ. მანამდე მისი ყაზანის „უნიქსში" გადასვლაზე დაიწერა. მოკლედ, ამ ზამთარს, გიორგი, სავარაუდოდ, ახალი გუნდის ფორმას მოირგებს. ვიდრე ტრანსფერი განხორციელებულა, ებრაული ქუდით იწონებს თავს.

კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ და თუ დააკვირდებით დაინახავთ, რომ შერმადინი სათადარიგოთა სკამის უკან ზის. ზედიზედ ორ მატჩში მწვრთნელი დევიდ ბლატი მას არ ენდო. სწორედ ამ დროს ჩამოირბინა თეთრმა კატამ და...

» მე-16 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● რაგბი საქართველოში

# რა სტრატეგიული გეგმა აქვს რაგბის კავშირს?



**გაგრძელება**
დასაწყისი იხილეთ
„ლელოს" გუშინდელ ნომერში

## შვიდკაცა რაგბი

შვიდკაცა რაგბის ტრადიციები ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ მყარია. წლების განმავლობაში ეროვნული ნაკრები შვიდკაცა რაგბიში სერიოზულ წარმატებებს აღწევდა საერთაშორისო ასპარეზზე. წარმატებები იყო ბოლო პერიოდშიც. თუმცა რაგბის ამ ნაირსახეობას ყოველთვის აკლდა ყურადღება, სტაბილურობა და სათანადო დაფინანსება.

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ შვიდკაცა რაგბი 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შევიდა, ძალიან ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის არცთუ ძლიერი სარაგბო ტრადიციების მქონეებმა, აქცენტი შვიდკაცა რაგბის განვითარებაზე გადაიტანეს. ბრაზილიაში ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსი ქართული სპორტის სათამაშო სახეობებიდან ყველაზე მეტად რაგბის აქვს. თუმცა ეს ძალიან რთული იქნება იმ მწირი დაფინანსების პირობებში, რასაც აქამდე ოლიმპიური კომიტეტი გამოჰყოფდა. ახალ ოლიმპიურ ციკლში (2012-2016 წლები), შვიდკაცა რაგბისთვის სერიოზული ფინანსური მხარდაჭერის მოპოვება რაგბის კავშირის ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება.

ახალი რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს რაგბის კავშირმა შეიმუშავა სტრატეგიული გეგმა, რომელიც გულისხმობს შვიდკაცა და თხუთმეტკაცა რაგბის პარალელურ განვითარებას ისე, რომ შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა ავტონომიურად შეძლოს ფუნქციონირება.

ამ მიზნის მისაღწევად შემდეგი ღონისძიებების განხორციელება იგეგმება:

- სამეტაპიანი შიდა ჩემპიონატის ჩატარება.
- ნაკრების კანდიდატთა 30-კაციანი ჯგუფის შეკრება.
- სპეციალიზებული ჯგუფების გახსნა თბილისის და ქუთაისის სარაგბო აკადემიებში.
- ნაკრების მონაწილეობის უზრუნველყოფა საწვრთნელ და ოფიციალურ ტურნირებში.
- ნაკრების მოთამაშეებისთვის მატერიალური მოტივაციის შექმნა.

ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს:

- შევქმნათ შიდა ჩემპიონატის ისეთი სტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობს შვიდკაცა რაგბის ნაკრებისთვის კანდიდატების შერჩევას.
- იმ მოთამაშეებისთვის, რომლებიც ვერ ხვდებიან თხუთმეტკაცა ეროვნულ და A ნაკრებებში, შევქმნათ დამატებითი მოტივაცია.
- შვიდკაცა რაგბის ნაკრები გავხადოთ ეროვნული ნაკრების რეზერვი, განსაკუთრებით კი სპეციფიკური სათამაშო პოზიციებისთვის.

## ქალთა რაგბი

საქართველოში ქალთა პირველი გუნდი 2006 წელს შეიქმნა. მაშინ რაგბის სულ ათიოდე გოგონა თამაშობდა და ყველა მათგანი თბილისელი იყო. მას შემდეგ ქალთა რაგბი საქართველოში დინამიკურად ვითარდება. დღეისთვის თბილისში, ქუთაისში, სენაკსა და ბათუმში რაგბის 60-ზე მეტი გოგონა თამაშობს. პირველ ნაბიჯებს დგამს საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ქალთა ნაკრებიც, რომელიც ყოველწლიურად აუმჯობესებს შედეგებს.

იმ დიდი მნიშვნელობის გათვალისწინებით, რასაც რაგბის საერთაშორისო საბჭო ქალთა რაგბის განვითარებას ანიჭებს, რაგბის კავშირმა შეიმუშავა შესაბამისი პროგრამა, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში, მოთამაშე ქალთა რაოდენობის 200-მდე გაზრდას და შვიდკაცა რაგბიში 12 საუკეთესო გუნდს შორის მოხვედრას ისახავს მიზნად.

## სამოყვარულო რაგბი და მასობრიობა

საქართველოს რაგბის კავშირის სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი სამოყვარულო ლიგის ჩამოყალიბებაა. ამ მიზნის მისაღწევად ძალზე რთული და შრომატევადი სამუშაოს ჩატარებაა საჭირო, თუმცა პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. ზემოთ ნახსენები სასკოლო და სტუდენტური რაგბის გარდა სამოყვარულო რაგბის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს რაგბის ეგრეთ წოდებული ადაპტირებული სახეობები: ქვიშის რაგბი, თოვლის რაგბი, თაჩ რაგბი, რაგბი ლენტებით.

ქვიშისა და თოვლის რაგბის ტურნირები ძალიან სახალისოა, ისინი გარკვეულწილად შოუს ხასიათს ატარებენ და ძალიან ბევრ მაყურებელს იზიდავენ. ასეთი ტურნირები თავისი ხასიათით ძალიან დემოკრატიულია, თამაში ყველას შეუძლია, ისეთ ადამიანებსაც კი, რომლებსაც მანამდე რაგბის ბურთი ხელში არასდოს ჭერიათ.

რაგბის ადაპტირებული სახეობები არა მარტო რაგბის ზოგად პოპულარიზაციას ეწევიან, არამედ ხელს უწყობენ რაგბის ქომაგთა დიდი ჯგუფის შექმნას. ქვიშის რაგბი იმდენად პოპულარული გახდა საქართველოში, რომ 2011 წელს ბათუმში გამართულ ტრადიციულ ტურნირზე თვრამეტმა გუნდმა ითამაშა. ხოლო საქართველოს ნაკრებმა ქვიშის რაგბის ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზა საფრანგეთში.

## სოციალური პროექტები

რაგბი არ არის მხოლოდ სპორტის სახეობა, ის უნდა განიხილებოდეს, როგორც მრავალი ქვეყნისთვის სასარგებლო პროექტის რეალიზების ინსტრუმენტი. დღესდღეობით რაგბის კავშირი რამდენიმე ასეთ პროექტს ახორციელებს:

- თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ ნაწილებში მიმდინარეობს რაგბის სწავლება, რაც ქართველ სამხედროთა განვრთნის ერთ-ერთი სერიოზული კომპონენტი უნდა გახდეს.
- ხორციელდება რაგბის თამაშის სწავლების პროექტი ავჭალის არასრულწლოვან მსჯავრდადებულთა კოლონიაში. ამ პროექტის მიზანია აზიაროს არასრულწლოვანი მსჯავრდადებულები რაგბის ფასეულობებს, გაწვრთნას ისინი ფიზიკურად და სულიერად. მნიშვნელოვანია, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ მოხდეს მათი სრულფასოვანი რეინტეგრაცია საზოგადოებაში სარაგბო კლუბებში განაწილებით, სადაც მათზე ერთი მხრივ იზრუნებენ, ხოლო მეორეს მხრივ გააკონტროლებენ.
- საგურამოს ობოლ ბავშვთა სახლში ჩამოყალიბდა სარაგბო გუნდი, რომელსაც გამოცდილი სპეციალისტები უძღვებიან. იმავდროულად, რაგბის კავშირმა დააწესა მეურვეობა ამ ბავშვთა სახლზე და შეძლებისდაგვარად ცდილობს დაეხმაროს მატერიალურადაც.

უახლოეს მომავალში რაგბის კავშირს განზრახული აქვს იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებებში დაიწყოს სარაგბო პროექტების განხორციელება, მაგრამ სახელმწიფოს დახმარების გარეშე ეს შეუძლებელი იქნება.

II ნაწილი

სანაკრებო რაგბი

## ნაკრები გუნდები

ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდები ქართული რაგბის სახეს წარმოადგენენ. მათ წარმატებაზე ბევრად არის დამოკიდებული როგორც რაგბის პოპულარობა და მისი ხელშეწყობა ჩვენს ქვეყანაში, ასევე საერთაშორისო სარაგბო ინსტიტუტების ყურადღება და მხარდაჭერა ქართული რაგბის შემდგომი განვითარებისთვის.

რაგბის კავშირის სტრატეგიულ გეგმაში სანაკრებო რაგბი მეორე უმთავრესი პრიორიტეტია. ძალიან ბევრი რამ კეთდებოდა და კვლავ გაკეთდება ამ მიმართულების განვითარებისთვის და შედეგად გვაქვს ის წარმატებები, რომლითაც მთელი ქვეყანა ამაყობს.

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ზედიზედ სამჯერ მოიპოვა მსოფლიოს თასზე თამაშის უფლება და 2011 წელს ახალ ზელანდიაში გამართული მსოფლიოს უდიდესი სარაგბო ფორუმის შემდეგ სპეციალისტებმა ერთხმად აღიარეს საქართველოს ნაკრები მსოფლიოში ყველაზე სწრაფად პროგრესირებად გუნდად.

უდიდესი წარმატება იყო საქართველოს A ნაკრები გუნდის შექმნა. აღსანიშნავია, რომ ამჟამად როგორც არასდროს, საქართველოს ყველა (ცხრა) ასაკობრივი ნაკრები უზრუნველყოფილია საერთაშორისო დონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" მიერ აშენებული „შევარდენის სანაკრებო ბაზა" სრულად შეესაბამება საერთაშორისო მოთხოვნებს. ყველა გუნდი უზრუნველყოფილია ეკიპირებით, სამედიცინო მომსახურებით, შესაბამისი შეკრებებით, კვალიფიციური მწვრთნელებითა და მენეჯერებით. მიუხედავად ამისა, ბევრი რამ არის დასახვეწი და მოსაგვარებელი. აქედან გამომდინარე, შემდგომ ოთხწლიან ციკლში ძირითადი ძალისხმევა მიმართული იქნება ნაკრები გუნდების საწვრთნელი და საშეჯიბრო პროცესის ორგანიზაციული მხარის დახვეწის, სამწვრთნელო შტაბის მაღალი კლასის სპეციალისტებით დაკომპლექტებისა და ამისთვის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისკენ.

ოთხწლიან ციკლში საქართველოს ნაკრები გუნდების წინაშე შემდეგი ამოცანებია დასახული:

### ეროვნული ნაკრები

- ევროპის ერთა თასზე წარმატებული გამოსვლა და 2015 წლის მსოფლიოს თასის საგზურის მოპოვება.
- 2015 წლის მსოფლიოს თასზე მინიმუმ ორი თამაშის მოგება.
- 2013 წლიდან თბილისის ტრადიციულ ტურნირში წარმატებული გამოსვლა.

### საქართველოს A ნაკრები

- ოპტიმალური რაოდენობის საერთაშორისო ამხანაგური თამაშის ჩატარება, კანდიდატების შემოწმება და ეროვნული ნაკრებისთვის შეთავაზება.

### 20-წლამდელთა ნაკრები

- მსოფლიოს ალაფის მოგება და 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვება.

### 19-წლამდელთა ნაკრები

- ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასვლა

### 18-წლამდელთა ნაკრები

- ევროპის ექვს ერში ადგილის დამკვიდრება

### 17-წლამდელთა ნაკრები

FIRA AER-ის ევროპის ჩემპიონატის მოგება

### 15-წლამდელთა ნაკრები

- ლიონისა და კორსიკის საერთაშორისო ტურნირზე წარმატებით გამოსვლა.

### შვიდკაცა ნაკრები

- ევროპულ ტურნირებსა და რაგბის საერთაშორისო საბჭოს ეგიდით ჩატარებული მსოფლიოს სერიის ტურნირებში წარმატებული გამოსვლა. 2016 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოპოვება.

## სარაგბო აკადემია

ქართული რაგბის განვითარებაში სარაგბო აკადემიის როლი ძალიან დიდია. აქ თავმოყრილნი არიან საუკეთესო სპეციალისტები და მწვრთნელები, რომლებიც გამოცდილი უცხოელი პროფესიონალების ხელმძღვანელობით მუშაობენ ასაკობრივ ნაკრებ გუნდებთან, ილებენ და გადასცემენ თანამედროვე სარაგბო ცოდნას, ეწევიან სასელექციო მუშაობას, ძალზე მნიშვნელოვანი იყო აკადემიის მუშაობაში განვითარების მენეჯერთა ჯგუფის ჩართვა.

სარაგბო აკადემიის გამართულ და ეფექტურ მუშაობაზე ბევრადაა დამოკიდებული საქართველოში რაგბის შემდგომი განვითარება. აქედან გამომდინარე, რაგბის კავშირმა უნდა იმუშაოს იმაზე, რომ აკადემიას გაუჩნდეს სერიოზული, დამოუკიდებელი ბიუჯეტი.

პერსპექტივაში, სარაგბო აკადემიამ უნდა იტვირთოს სარაგბო პროცესში ჩართული ყველა პირის განსწავლისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის როლი.

## ბიუჯეტი

ის წარმატებები, რასაც ქართულმა რაგბიმ მიაღწია, მნიშვნელოვნად განაპირობა რაგბიში მოზიდულმა უპრეცედენტო დაფინანსებამ. რომ არა საქართველოში რაგბის განვითარების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამა, საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტი და ფინანსური მხარდაჭერა, რაგბის საერთაშორისო საბჭოს უმაგალითო პოლიტიკური მხარდაჭერა და გაზრდილი გრანტები, რაგბის ერთგული სპონსორების დახმარება - ვერც ერთი პროგრამა, რომელმაც ქართული რაგბის პროგრესი გამოიწვია, ვერ განხორციელდებოდა.

აქედან გამომდინარე, ქართული რაგბის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს დახმარებისა და საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" პროექტების გაგრძელება.

**სახელმწიფოს მხარდამჭერი პროგრამა**

**2012 წელი - 4 000 000 ლარი**
**2013 წელი - 4 700 000 ლარი**
**2014 წელი - 4 800 000 ლარი**
**2015 წელი - 6 500 000 ლარი**
**2016 წელი - 500 000 ლარი**
**სულ: 20 500 000 ლარი**

**ბესიკ ჯანგავაძე**



## ქართული სპორტი

### წიგნის თარო




*„მეგობრები ჩემზე ამბობენ: ის ციმბირელი ქართველია. ამით სურთ, მასიამოვნონ, ხაზი გაუსვან იმას, რომ აქ, კრასნოიარსკში, მე მათიანი ვარ, რომ ციმბირი ჩემი მეორე სამშობლოა. ეს ასეა, მაგრამ, ამავე დროს, არც არის ასე, რადგანაც შეუძლებელია, ადამიანს ორი სამშობლო ჰქონდეს ისევე, როგორც არ შეიძლება ჰყავდეს ორი დედა. ჩემი ერთადერთი სამშობლო საქართველოა"*, - ეს სიტყვები საბჭოთა კავშირის, საქართველოს, რუსეთისა და მონღოლეთის დამსახურებულ მწვრთნელს, კრასნოიარსკის უზარმაზარი მხარის სახალხო გმირს **დიმიტრი მინდიაშვილს** ეკუთვნის.

მძიმე და დრამატული ბავშვობა ჰქონდა: მამა სამშობლოს ღალატით 1937 წელს დაუპატიმრეს და არხანგელსკში გადაუსახლეს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მეორე მეუღლესთან ურალში ცხოვრობდა, დედა ჰოსპიტალში მუშაობდა მედდად, ვიღაც კაცი შეუყვარდა და იმას გაჰყვა ცოლად, დიმიტრი და-ძმებთან (სულ ოთხნი იყვნენ) ერთად პაპა-დიდედასთან ცხოვრობდა კახეთის სოფელ ჩალაუბანში. უჭირდა ოჯახს, პატარა ბიჭს საკუთარი ხელით შეკერილი ფეხსაცმელი ეცვა. მთავარი კი ის იყო, რომ ჯანი არ აკლდა და შრომა უყვარდა. მეშვიდე კლასში იყო, მთას რომ მიაშურა და სამი წელიწადი მეცხვარედ იმუშავა. ყველაფერი, როგორც თავად ამბობს, ალექსანდრე ყაზბეგით დაიწყო. მასწავლებლისგან ჰქონდა გაგონილი, თავადი კაცი როგორ წავიდა ცხვარში. „მას უბრალო ხალხის ცხოვრების და ადათ-წესების შესწავლა სურდა. მეც ეს მოვისურვე. ამაში ცოტაოდენ რომანტიკასაც ვხედავდი. თუმცა მე მაინც მინდოდა, ისეთი რამ გამეკეთებინა, რომ პაპისა და ბებიის ქება დამემსახურებინა", — წერს დიმიტრი მინდიაშვილი ავტობიოგრაფიულ წიგნში „ცხოვრების ხალიჩაზე" (მწვრთნელის მოგონებები), რომელიც ქართულად გამომცემლობა „კოლორმა" დაბეჭდა (რედაქტორი **მორის მინდიაშვილი**).

ჭიდაობას 14 წლისა ეზიარა. საქართველოში გაუგო ჩემპიონობას გემო. 19 წლისა მხედრული ვალის მოსახდელად ყაზახეთში გაამწესეს. მერე რუსეთის ჩემპიონი გახდა თავისუფალ ჭიდაობაში და იქიდან მოყოლებული მისი ცხოვრება დარბაზსა და ხალიჩას დაუკავშირდა კრასნოიარსკის მხარეში. დიმიტრი მინდიაშვილი გახლავთ რეგიონის პირველი სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში, მხარის მრავალგზის ჩემპიონი თავისუფალში, „კლასიკურსა", და სამბოში, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ჩემპიონატების რვაგზის გამარჯვებული. უფრო მნიშვნელოვან შედეგებს მწვრთნელობისას მიაღწია. მისი აღზრდილები არიან ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ივან იარაგინი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს და ევროპის ექვსგზის ჩემპიონი ბუვაისარ საიტიევი, ოლიმპიური ჩემპიონი საგიდ მურთაზალიევი, მსოფლიოს ჩემპიონები ახმედ ატაკოვი და ვლადიმერ მოდოსიანი. საბჭოთა კავშირის ნაკრებში მუშაობისას დიდი წვლილი მიუძღვის ორგზის ოლიმპიური და ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონის ლევან თედიაშვილის, ოლიმპიური ჩემპიონისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ორგზის გამარჯვებულ დავით გობეჯიშვილის დაოსტატებაში. რუსეთის ოლიმპიური ნაკრების მთავარი მწვრთნელობისას 2000 წელს სიდნეიში ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა ოთხი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დიმიტრი მინდიაშვილი დღეს ჭიდაობის სახეობების აკადემიის პრეზიდენტი და კრასნოიარსკის მხარის გუბერნატორის მრჩეველია. მრავალი ქალაქისა და მხარის საპატიო მოქალაქეს, „მსოფლიო ჭიდაობის ლეგენდას", FILA-ს ოქროს საჭიდაო ფეხსაცმლის მფლობელს (2007 წ.), რომელმაც დიდი ხანია საზოგადოების პატივისცემა მოიპოვა და ახალგაზრდებისთვის მისაბაძი პიროვნება გახდა არა მარტო რუსეთში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მოსაგონარს რა დაულევს და მანაც მთელი თავისი ცხოვრება ერთ წიგნად აკინძა და სამზეოზე გამოიტანა. „მწვრთნელის მოგონებები" მკითხველმაც გულთბილად მიიღო.

**ვაჟა დანელია**

### ჩოგბურთი

## ინდივიდუალურს ჩამოშორდა, წყვილებში განაგრძობს

ანტალიაში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე საპრიზო ფონდი 50. 000 დოლარი) თბილისელმა **ოქსანა კალაშნიკოვამ** ინდივიდუალური პირველობის ძირითადი ბადის მხოლოდ პირველი წრე გადალახა - ამერიკელი კიარა ჩოლი დაამარცხა - 6:4, 6:0, მეორეში კი უზბეკ აკქულ ამანმურადოვას დანებდა - 6:4, 2:6, 3:6, აი, წყვილთა ტურნირში კი, სადაც ბოსნიელ მერვანა იუგიჩ-სალკიჩთან ერთად პირველ ნომრადაა განთესილი, ნახევარფინალს უწია: სტარტზე ალექსანდრე დულგნერუს (რუმინეთი) და მენდი მინელას (ლუქსემბურგი) სძლია - 6:4, 6:2, მეოთხედფინალში კი ბელარუსებს - ილონა კრემენსა და ლიძია მაროზავას მოუგო - 3:6, 6:4, 10:8. ნახევარფინალში მაგდა ლინეტეს და კატარყინა პიტერს (ორივე - პოლონეთი) დაუპირისპირდება. მეორე ნახევარფინალურ წყვილში კრისტინა დინა - მაგდალინა გონეას (ორივე - რუმინეთი) და ირინა ბურიაჩოკი (უკრაინა) - ვალერია სოლოვიევას (რცუეთი) დუეტები შეხვდებიან ერთმანეთს.



გასული კვირის შედეგების გათვალისწინებით გაუწყებთ ქართველ ჩოგბურთელ ქალთა დღევანდელ სარეიტინგო მდგომარეობას: 51. **ანა ტატიშვილი** (1140 ქულა), 310. **სოფიო შაფათავა** (153), 403. **მარგალიტა ჩახნაშვილი** (93), 414. **სოფიო ქვაცაბაია** (89), 415. **ოქსანა კალაშნიკოვა** (88), 514. **ეკატერინე გორგოძე** (58), 636. **ნათია გეგია** (37).

**ვაჟა დანელია**

## ბასილაშვილმა ვერ გაასამა

თბილისელმა ჩოგბურთელმა **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** ანთალიაში ზედიზედ ორი 10.000-იანი ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი მოიგო და რეიტინგი 36 ქულით გაიმდიდრა. გუშინ იგი ახალ შეჯიბრებაში ჩაება, მაგრამ მესამე ცდა უიღბლო აღმოჩნდა - სტარტზევე ბელგიელ ჟულიენ დუბაილთან დამარცხდა 3:6. 1:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

**ვაჟა დანელია**

### სამხიარულო ამბები

## ბორის პაიჭაძე თანაგუნდელებთან საუბარში იგონებდა...

ფოთის ნაკრების ბიჭები ყირიმში თამაშებს ვატარებდით. მაყურებელი ბლომად გვყავდა და არც ქერათმიანი გოგონები გვასვენებდნენ. კაკო იმნაძეს ხომ იცნობთ! ცეცხლისფერი თმა აქვს („რიჟაა!"), მაგას ვინ უყურებდა, გრუზა ბიჭები მოსწონდათ.

ჰოდა, ევპატორიაში თამაშის შემდეგ სანაპიროზე ვსეირნობდით. რა ზღვაა და რა ქვიშა! ერთი მანდ არის ასეთი კარგი პლაჟი და მეორეც - ქობულეთში. იალტაც კარგია და სევასტოპოლიც, მაგრამ ევპატორია სულ სხვაა. ეგა თქვით, ბავშვები გვაწუხებდნენ, არ გვასვენებდნენ, კვალდაკვალ დაგვყვებოდნენ. ხომ იცით, ევპატორია საბავშვო კურორტია.

კარგა მოღამებული იყო, ერთი კაცი დაგვეწია, დიდი პორტფელი ეჭირა.

- თქვენა ხართ ფოთელი ფეხბურთელები?

- ჩვენა ვართ.

- თქვენ შორის უფროსი რომელია?

მართლაცდა ძნელი იყო იმის გამოცნობა, ყველანი ახალგაზრდები ვიყავით. გრიგოლ ხორავასთან გავგზავნეთ. იგი ჩვენს გუნდს ხელმძღვანელობდა და ხანდახან კიდეც თამაშობდა, ვინმე რომ რამეს აიტკივებდა. ცოტა ხანში ჩვენც მათკენ გავეშურეთ.

ახალმოსული და გრიგოლ ხორავა ცხარედ კამათობდნენ.

- პირდაპირ გეტყვით, მეშინია.

- რისი გეშინიათ, ვერავინ გაიგებს.

- გაიგებენ და თანაც როგორ!

- რისი გეშინია, გრიშა? - ჩვენც ჩავერიეთ საუბარში.

უცნობი ახლა ჩვენ მოგვიბრუნდა.

- მომისმინეთ, ბიჭებო. მე ოდესიდან გამომგზავნეს თქვენთან. საქმე ისაა, რომ ჩვენთან თურქ ფეხბურთელებს უნდა ეთამაშათ, უკვე მოვილაპარაკეთ, აფიშებიც დავბეჭდეთ, ზღვა ხალხს ველით. ხომ იცით, ჩვენთან ძალიან უყვართ ფეხბურთი.

- ძალიან კარგი მატჩი იქნება.

- მატჩი კი არა და! იმ ოხრებმა დაგვალალატეს, აღარ ჩამოდიან. ჯერ მაყურებლებმა არაფერი იციან. ერთი ამბავი ატყდება. ჰოდა თქვენთან გამოგზავნეს ოდესელმა ფეხბურთელებმა.

- ჩვენ რითი უნდა დაგეხმაროთ?!

- როგორ დაგვეხმარებით და მშვენივრად. გვეთამაშეთ, ვითომ თურქები ხართ, ვინ გაიგებს. მათსავით შავგვრემანები ხართ, მსგავსი ფორმაც გაცვიათ.

ცოტა არ იყოს, გაბედული წინადადება იყო. მოფიქრებისათვის დრო ვითხოვეთ.

დილით შეთქმულების უცნობი მოთავე ისევ მოვიდა ჩვენთან და თქვენ წარმოიდგინეთ, დაგვიყოლია...

გზაში ერთი ამხანაგი ჩამოგვრჩა, მცველი გვალია. გემზე დააგვიანდა. ორი დღის შემდეგ ჩამოვიდა ოდესაში, კარგი დრო იყო სწორედ, უკან მოვდიოდით.

და აი, ჩავედით ოდესაში. ყველგან თურქებზე ლაპარაკობდნენ, ასე თამაშობენ და ისეო, დიდი მატჩი იქნებაო. გრიშამ გვითხრა:

- ბიჭებო, მეტისმეტად უნდა მოინდომოთ. თქვენ რა გიჭირთ, ახალგაზრდები ხართ. აი, მე რომ გამოვდივარ მოედანზე, ეს კი სასაცილოა. მაგრამ რა ვუყოთ, დაგვეკარგა ის წყეული გვალია.

ოდესას კარგა ძლიერი გუნდი ჰყავდა, ჩვენზე გამოცდილი, მოსკოველებთანაც ეთამაშა და ლენინგრადელებთანაც. ახლა გულშემატკივრებს „თურქებთან" მოგებაც სურდათ. ცხადია, მოთამაშეებმა ყველაფერი იცოდნენ, მაყურებლებმა - არაფერი. საინტერესო თამაში გამოვიდა, ცოცხალი, სწრაფი.

- ეს თურქები ძლიერები ყოფილან.

- ჩვენებს გაუჭირდებათ მოგება.

- მაინც დავამარცხებთ. აი, ის ხნიერი მცველი ვერ გაუმკლავდება მალხასოვს.

ეს, ცხადია, ჩვენს გრიშა ხორავაზე იყო ლაპარაკი. მერე გავიგეთ, რას ლაპარაკობდნენ მაყურებლები. საიდან? ვისგან? ახლა მოგახსენებთ.



ბურთით ბორის პაიჭაძე

ერთი რამ ვერ გავითვალისწინეთ ვერც ჩვენ და ვერც ოდესელმა შეთქმულებმა. ოდესაში ყოველთვის ბევრი ქართველი იმყოფება, მათ შორის ფოთელებიც საკმაოდ არიან: მეზღვაურები, მუშები, ინჟინრები, თურქების თამაში მათაც აინტერესებდათ და აი, სტადიონზე მოვიდნენ.

მოვიდნენ და რას ხედავენ, თურქები კი არა, ქართველები თამაშობენ, თანაც ვინ - მათი ამხანაგები!

- კაკოია იმნაძე, როდის გახდი, ბიჭო, თურქი!

- შენც დაიწყე ტყუილები, ბორია!

ერთი სიტყვით, აშკარად გაგვთქვეს, ყიჟინა აგვიტეხეს.

ოდესელებმა იკითხეს, ეს რა ყიჟინა და ყვირილიაო. ჩვენი ქართველები ჯერ ვითომ უმალავდნენ, შემდეგ კი გამოაშკარავდა ყველაფერი.

მოტყუება ესე არ უნდაო. ერთ ხანს ჩვენც გვისტვინეს და ოდესელებსაც. თქვენც კარგი მამაძაღლები ხართ, ყველაფერი წინასწარ იცოდითო.

ყველაფერი მაინც კეთილად დამთავრდა.

- კარგი მოთამაშეები ყოფილან, ვერ წაართმევთ.

- მარტო ცხოვრებაში კი არა, მინდორზეც სცოდნიათ მოტყუება.



თამაზ იმნაიშვილი

## მახარობელი ბარტყი

სროლის სახეობებში სასტენდო სროლას სასროლო მარათონსაც უწოდებენ, რადგანაც ერთ დროს სამი დღე გრძელდებოდა შეჯიბრება. ამდენად, ეს სამივე დღე, პირველი წუთიდან ბოლომდე სულ დაძაბულები, ნერვულ სტრესში იყვნენ სპორტსმენები.

1981 წელს არგენტინის ქალაქ ტუკუმანში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე როგორც კი პირველი სერია მოამთავრმა **თამაზ იმნაიშვილმა**, სხვათა შორის, კარგად იასპარეზა, დაისვენა. სერიიდან სერიამდე დიდი ხანი, ხანდახან რამდენიმე საათიც კი უწევდათ უქმად ყოფნა. ზოგჯერ შეჯიბრება ბინდბუნდამდე იწელებოდა, ხშირად ისე უსვრიათ, თეფშს რომ თითქმის ვერ ხედავდნენ.

ახლა კი თავად ჩვენს სახელოვან სპორტსმენს მოვუსმინოთ: *„გადახურულში ვიჯექი, ფეხები გაშლილი მქონდა და თან ვისვენებდი, თან მომავალ სერიაზე ვფიქრობდი. სახურავიდან ხმა მომესმა და მერე ფეხზე მსუბუქი რაღაც დამაჯდა. შევხედე და ბელურის ყვითელნისკარტიანი ბარტყი არ შემრჩა! სახურავიდან ჩამოვარდნილა და ჩემს ფეხებზე დაეცა. ავიყვანე, მოვეფერე და კატას რომ არ შეეჭამა, მაღალ სახურავზე შევსვი.*

*ამ შემთხვევისთვის არც მიმიქცევია ყურადღება, გავაგრძელე სროლა და საბოლოოდ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოვიპოვე. უკვე ამის შემდეგ მივხვდი, რომ ეს პაწია ბარტყი მახარობელი ყოფილა, ჩვენში ხომ ფრინველი კარგი ამბების მომტანად ითვლება".*

## ბზიკი და მორიელი მინდოდა?!

**თამაზ იმნაიშვილი** კიდევ ერთ სახალისო ამბავს იგონებს: *„შუა აზიის რომელიღაც ქვეყანაში საერთაშორისო ტურნირზე ვასპარეზობ, გახსნილი თოფი მხარზე მაქვს გადაკიდებული და ჩემს ჯერს ველოდები. უცებ მუხლს ზემოთ, რბილ ქსოვილზე რაღაცამ მწარედ მიკბინა. გული გამისკდა და ავტეხე ყვირილი, არადა, ასპარეზობის დროს სამარისებური სიჩუმე უნდა იყოს სპორტსმენის კონცენტრაციისთვის. შემეშინდა, ვიფიქრე, მორიელი ან რაღაც უბედურება ხომ არ არის-მეთქი და თოფი დავაგდე, რეიტუზიც კი გავიხადე, რომ მენახა, რა იყო. ბზიკი არ ამოფრინდა! არადა, მთელი ხალხი გაოცებული მომჩერებია ტრუსების ამარას, ხომ არ გაგიჟდა ეს კაციო, სროლა გაჩერდა"...*

**დავით ჭელიძე**

**სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!**

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი

# ლიდერის სერია ჩემპიონმა შეწყვიტა



გიგანტური სლალომის პოდიუმი

ქალთაშორის მსოფლიოს თასის გათამაშება შვედეთის კურორტ არეში გაგრძელდა. მოთხილამურეები ორი დღით განმავლობაში ტექნიკურ სახეობებში შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

გაიმართა გიგანტური სლალომის სტარტი. როგორც იცით, ამ დისციპლინაში წელს ოთხი ეტაპი შედგა და ოთხივე სეზონის ლიდერმა - სლოვენიელმა **ტინა მაზემ** მოიგო. მაგრამ, გუშინ შეძლეს მისი ბრწყინვალე სერიის შეწყვეტა. ეს გააკეთა გიგანტურ სლალომში მოქმედმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, გერმანელმა **ვიქტორია რებენსბურგმა**.

ამ უკანასკნელმა უკვე პირველ ცდაზე გააკეთა სერიოზული განაცხადი გამარჯვებაზე, როცა წამი და 12 მეასედი მოუგო მსოფლიოს თასის ლიდერს. ეს იმას ნიშნავდა, რომ თუ რებენსბურგი მეორე ცდაზე უხეშ შეცდომას არ დაუშვებდა, ეტაპზე გამარჯვებას ვერავინ შეეცილებოდა. ასეც მოხდა - გერმანელმა ყოველგვარი რისკის გარეშე შეასრულა მეორე დაშვება და დამაჯერებლად მოიგო გუშინდელი გიგანტური სლალომი. ეს რეგენსბურგის მერვე მოგებაა მსოფლიო თასის ეტაპებზე.

მეორე ადგილი დაიკავა ავსტრიელმა **ანა ფენინგერმა**, რომელსაც უკეთესი მეორე ცდა გამოუვიდა, ვიდრე ტინა მაზეს. ეს უკანასკნელი მესამე პოზიციაზე გავიდა, რითაც ამ სეზონში მერვე პოდიუმი მოიპოვა.

მაზესთვის ეს მესამე ადგილი დიდი ტრაგედია არ ყოფილა. პირიქით, ამ სტარტის შემდეგ მან კიდევ უფრო გაზარდა უპირატესობა გენერალურ კლასიფიკაციაში თავის უახლოეს კონკურენტებთან. ახლა, სლოვენიელს 859 ქულა აქვს და 400-ზე მეტით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ **მარია რიშს**. ასევე მაზეს სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ გარკვეული ხანი პაუზა აილო მსოფლიოს თასზე ამერიკელმა **ლინდსი ვონმა**. მსოფლიოს თასის მოქმედი მფლობელი ნაწლავური ინფექციის მკურნალობისთვის სამშობლოში დაბრუნდა და ჯერ ცნობილი არ არის, როდის დაუბრუნდება ტრასას.

### გიგანტური სლალომი

1. **ვიქტორია რებენსბურგი** (გერმანია) - 2:28.94 (1:13.94+1:15.00); 2. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - 2:29.56 (1:15.09+1:14.47); 3. **ტინა მაზე** (სლოვენია) - 2:29.85 (1:15.06+1:14.79); 4. **ტესა ვორლი** (საფრანგეთი) - 2:30.04 (1:16.12+1:13.92); 5. **ფრიდა ჰანსდოტერი** (შვედეთი) - 2:30.21 (1:15.89+1:14.32); 6. **მარია რიში** (გერმანია) - 2:30.40 (1:15.88+1:14.52)...

### საერთო ჩათვლა

1. **ტინა მაზე** (სლოვენია) - 859 ქულა; 2. **მარია რიში** (გერმანია) - 508; 3. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 466; 4. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 414; 5. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - 350; 6. **ვიქტორია რებენსბურგი** (გერმანია) - 346...

## ჰოკეი

# საქველმოქმედო გართობა მძიმე ფონზე

ლოკაუტის პერიოდში საინტერესო საჩვენებელი მატჩი გაიმართა ტორონტოში, "მეიპლ ლივზის" ყოფილ არენაზე. "ტამპა ბეის" ფორვარდ **სტივენ სტემკოსის** გუნდმა დაამარცხა "მონრეალის" მცველის **პი კეი სუბანის** გუნდი - 14:10. შეხვედრას საქველმოქმედო ხასიათი ჰქონდა და ის მოთამაშეთა პროფკავშირების ეგიდით გაიმართა. მიღებული თანხა გადაირიცხა აშშ-სა და კანადაში ჰოკეის განვითარების ფონდში.

მატჩში მონაწილეობდნენ **ტომაშ კაბერლე, ლოგან კუტური, ფილ კესელი, ტომაშ კაბერლე, ნიკლას კრონვალი** და **ჯოფრი ლუპული**.

ამასობაში, ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობა მზად არის გააუქმოს რეგულარული ჩემპიონატის მატჩების მორიგი ნაწილი. შეგახსენებთ, რომ ამ მომენტისთვის გაუქმებულია ყველა მატჩი 30 დეკემბრამდე. ამასთან, ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში NHL-სა და პროფკავშირებს არანაირი მოლაპარაკებები არ უწარმოებიათ - იყო მხოლოდ მოკლე სატელეფონო საუბარი მოთამაშეთა ადვოკატს **სტივ ფერსა** და NHL-ს ვიცე-კომისარ **ბილ დეილის** შორის.

დეილის სიტყვებით, პროფკავშირების შეფი **დონალდ ფერი** ცდილობს ლიგისგან მაქსიმალურად მომგებიანი წინადადება მიიღოს და ამიტომაც, მაქსიმალურად წელავს მოლაპარაკებებს. ამასთან, ლიგის ვიცე-კომისარმა აღიარა, რომ უახლოეს პერიოდში შეხვედრაც ვერ მოიტანს სიტუაციაში სერიოზულ ცვლილებას, რადგან NHL არ აპირებს თავისი წინადადების შეცვლას, რომელიც ორი კვირის წინ წარმოადგინა.



*"მე ეს ცუდ განწყობაზე მაყენებს, რადგან ყოველ დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს. შეხვედრა, სავარაუდოდ, არაფერს მოგვცემს, რადგან არაფრის დათმობას არ ვაპირებთ"*, - განაცხადა დეილიმ.

რაც შეეხებათ ჰოკეისტებს, მათ უკვე მეხუთე ხელფასი ვერ აიღეს და მათმა საერთო დანაკარგმა უკვე 84 მილიონ დოლარს მიაღწია.

**P.S.** გუშინ, გვიან გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ ლიგამ შეთანხმების ბოლო ვადად იანვრის შუა რიცხვები დაასახელა. თუ ამ დროისთვის არ გაფორმდება ახალი კოლექტიური ხელშეკრულება, NHL-ში 2012-13 წლების სეზონი აღარ ჩატარდება.

## ამბები

### ჩოგბურთი

## ავსტრალიაში აუტსაიდერები დააფასეს

ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორებმა გამოაქვეყნეს 2013 წლის ჩემპიონატის სარეკორდო ფონდის განაწილების სქემა.

საერთო თანხა შეადგენს 30 მილიონ ავსტრალიურ დოლარს. ტურნირის გამარჯვებულებს ეკუთვნით 2 430 000 დოლარი. პირველი წრის მონაწილეები მიიღებენ 27 600 დოლარს (32 პროცენტით მეტი, ვიდრე გასულ წელს), მეორე წრეში წაგებულებს ერგებათ – 45 500 (36.6 პროცენტით მეტი), მესამე რაუნდში გასულებს – 71 000 (30 პროცენტით მეტი). გარდა ამისა, წყვილთა თანრიგის პირველ წრეში მოთამაშეები შარშანდელთან შედარებით 30 პროცენტს მიიღებენ.

### კალათბურთი

## დირკმა ვარჯიში დაიწყო

"დალასის" გერმანელმა ლიდერმა **დირკ ნოვიცკიმ** პირველი ვარჯიში ჩაატარა მუხლზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ. თანაც, ფორვარდმა გუნდთან ერთად ივარჯიშა. თუმცა გერმანელს სერიოზული მუშაობა სჭირდება ფორმის აღსადგენად, ამიტომაც, უახლოეს პერიოდში რეგულარულ ჩემპიონატში არ ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ დირკმა 19 ოქტომბერს გადაიტანა ოპერაცია მუხლზე. ეს იყო პირველი ქირურგიული ჩარევა მისთვის NBA-ში გატარებული 15 სეზონის შემდეგ.

ვარაუდობენ, რომ გერმანელი შობის შემდეგ დაბრუნდება მოედანზე, მაგრამ ზუსტ თარიღს არ ასახელებენ.

### ოლიმპიზმი

## ბრიტანელთა გრანდიოზული გეგმები

ბრიტანეთის მთავრობა რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადისთვის სერიოზულ მომზადებას აპირებს. 11 პროცენტით გაიზრდება ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის დაფინანსება, ვიდრე ეს 2012 წლის ოლიმპიადისთვის იყო. საერთო თანხა იქნება 347 მილიონი ფუნტი (562 მილიონი დოლარი).

ამასთან, უკვე დასახულია ამოცანა: რიოში 66 მედლის მოგება, რითაც ბრიტანეთი გახდება პირველი ქვეყანა, რომელიც საშინაო ოლიმპიადის შემდეგ, მომავალ თამაშებზე უფრო მეტ მედალს მიიღებს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| ესპანეთი | |
|---|---|
| რაიო ვალეკანო-ლევანტე | 3:0 |
| ესპანიოლი-დეპორტივო | 2:0 |
| სოსიედადი-სევილია | 2:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ხერესი-ვილიარეალი | 0:0 |
| **ჰოლანდიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| გრონინგემი-აიაქსი | 0:3 |
| **თურქეთის თასი** | |
| მერსინი-ანტალია | 0:5 |
| ტრაბზონი-ესქისეჰირი | 2:0 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| **1/16 ფინალი** | |
| ტრასივულოსი-ვერია | 0:2 (0:0) |
| კერკირა-ტირნავოსი | 0:0 (2:0) |
| პიერიკოსი-ლევადია | 0:5 (0:2) |
| აეკ-კავალა | 0:1 (0:0) |
| **აზერბაიჯანი** | |
| თურანი-ქაბალა | 0:2 |
| შიმურძი-რავანი | 1:0 |
| ყარაბახი-ხაზარი | 1:0 |
| სუმგაიტი-ქაფაზი | 2:1 |

### კალათბურთი

| ესპანეთი | |
|---|---|
| მანრესა-ფუენლაბრადა | 74:66 |
| რეალი-ვალენსია | 87:84 |
| **თურქეთი** | |
| ოლინი-მერსინი | 62:74 |
| ბეშიქთაში-ეფესი | 67:74 |

### ჰოკეი

| კჰლ | |
|---|---|
| ვიტიაზი-სევერსტალი | 0:1 |
| ცსკა-აკ ბარსი | 1:2 |
| **ნორვეგია** | |
| სტავანგერი-ვოლერენგა | 9:3 |
| ლილეჰამერი-ტონსბერგი | 8:2 |
| სტორჰამარი-რუსენბორგი | 5:2 |
| ფრისკ ასკერი-ლორენსკოგი | 3:6 |
| სტრიერნენი-სპარტა | 7:0 |
| **ფინეთი** | |
| კალპა-საიპა | 5:4 (ბ) |
| კერპეტი-ჰიფკ | 2:3 |
| ტპს-იუვიასკიულა | 3:2 (ბ) |
| ჰპკ-ილვესი | 3:0 |
| ესეტი-პელიკანსი | 1:3 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-როგლე | 4:3 |

## TV პროგრამა

### 21 დეკემბერი. პარასკევი

### GMG-ფეხბურთი

10:00 ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფის წილისყრა.
10:45 ევროპის ლიგა. პლეი ოფის წილისყრა.
11:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
12:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ტოტენჰემი-ლაციო.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVII ტურის მიმოხილვა.
15:00 გერმანიის ჩემპიონატი. XVII ტურის მიმოხილვა.
16:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVII ტური. ვილემი-აიაქსი.
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. XVII ტურის მიმოხილვა.
19:00 გერმანიის ჩემპიონატი. XVII ტური. ჰოფენჰაიმი-დორტმუნდი.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
23:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ალკმაარი-ტვენტე (LIVE).
01:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.

### GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ბარსელონა-სპარტაკი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მინესოტა-ოკლაჰომა.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-სანდერლენდი.
17:00 კალათბურთი. NBA. 2001 წელი. ფილადელფია-ლეიკერსი.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ნიურნბერგი.
22:00 NBA ACTION.
23:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
00:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მინესოტა-ოკლაჰომა.

### GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.
13:00 სპორტ-NEWS.
13:30 რაგბი. ოთხი ერის თასი. ავსტრალია-ახალი ზელანდია.
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.
17:05 სპორტ-NEWS.
17:30 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ინტერი-რუბინი.
19:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჰიუსტონი – ლეიკერსი
21:30 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
22:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 0 | 8 | (თოვლჭყაპი) |
| ქუთაისი | 9 | 12 | (წვიმა) |
| ბათუმი | 9 | 13 | (წვიმა) |
| ფოთი | 10 | 14 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 6 | 15 | (წვიმა) |
| გორი | 0 | 9 | (წვიმა) |
| თელავი | 0 | 9 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 3 | 7 | (წვიმა) |
| ბაკურიანი | -4 | 2 | (თოვლი) |
| ბორჯომი | 0 | 8 | (თოვლჭყაპი) |
| მესტია | -4 | 5 | (თოვლი) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1990 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6565 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6994 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3851 |

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

**ტორონტო-დეტროიტი 97:91**

27:23, 22:26, 24:22, 24:20

ტ: დეროზანი (23), ანდერსონი (16), ვალანჩუნასი (12+5 მოხსნა), დევისი (11+9 მოხსნა), კალდერონი (7+17 პასი).

დ: მონრო (35+10 მოხსნა), სტაკი (13).

**ნიუ იორკი-ბრუკლინი 100:86**

26:23, 26:25, 23:19, 25:19

ნ-ი: ენტონი (31), სმიტი (19+5 მოხსნა), ჩენდლერი (16+12 მოხსნა+3 დაფარება).

ბ: ჯონსონი (17), ლოპესი (16+10 მოხსნა), უილიამსი (16+10 პასი+5 მოხსნა), ბოგანსი (11).

**ორლანდო-ვაშინგტონი 90:83**

27:26, 25:24, 24:13, 14:20

ო: რედიკი (17), აფლალო (15), მური (15), დევისი (12+9 მოხსნა), ვუჩევიჩი (8+13 მოხსნა).

ვ: ნენე (20), ჯორ. კროუფორდი (19+6 პასი), მარტინი (11+5 მოხსნა), უებსტერი (11), ოკაფორი (8+12 მოხსნა).

**ინდიანა-იუტა 104:84**

31:23, 22:8, 23:20, 28:33

ი: გრინი (21), ჯორჯი (20+11 მოხსნა), ჰილი (20+5 მოხსნა+5 პასი), უესტი (13), ჰიბერტი (12).

ი: ფეივორსი (16+9 მოხსნა+3 დაფარება), ბერქსი (12), მო უილიამსი (11).

**ბოსტონი-კლივლენდი 103:91**

27:25, 27:21, 28:26, 21:19

ბ: პირსი (40+8 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), რონდო (20+8 პასი), ტერი (15), გარნეტი (12+6 მოხსნა+3 დაფარება).

კ: ირვინგი (22), ზელერი (20), უეიტერსი (13), ტომპსონი (11+12 მოხსნა), გი (11).

**ატლანტა-ოკლაჰომა 92:100**

20:23, 21:32, 25:18, 26:27

ა: ტიგი (19+9 პასი), სმიტი (17+12 მოხსნა), ჰორფორდი (13+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), უილიამსი (13), ფაჩულია (6+10 მოხსნა).

ო: დურანტი (41+13 მოხსნა+3 პასი), უესტბრუკი (27+11 პასი), იბაკა (4+14 მოხსნა+3 დაფარება).

**ჰიუსტონი-ფილადელფია 125:103**

33:24, 23:27, 33:28, 36:24

ჰ: ჰარდენი (33+7 პასი), ლინი (18+6 პასი), აშიქი (17+15 მოხსნა), დაგლასი (17), მორისი (14+5 მოხსნა+5 პასი), სმიტი (13).

ფ: ნ. იანგი (21), რაიტი (20+6 მოხსნა+6 პასი), ტ. იანგი (17+6 მოხსნა+5 პასი), ჰოუზი (14+6 მოხსნა), რიჩარდსონი (11), ალენი (10+7 მოხსნა).

**ფინიქსი-შარლოტი 121:104**

28:27, 36:19, 33:22, 24:36

ფ: ბრაუნი (26), დრაგიჩი (21+11 პასი), დადლი (20+5 პასი), სკოლა (12+5 მოხსნა), ტელფეირი (11), ტაკერი (10).

შ: უოკერი (27+6 პასი), კიდ-გილკირსტი (25+12 მოხსნა+3 ჩაჭრა), გორდონი (15), მალენსი (13+9 მოხსნა), ტეილორი (10).

**მემფისი-მილუოკი 90:80**

21:22, 22:12, 23:17, 24:29

მემ: რენდოლფი (15+17 მოხსნა), გეი (13+8 მოხსნა+5 პასი), გასოლი (12+12 მოხსნა+3 დაფარება), კონლი (11+6 პასი), სპეიტსი (10+6 მოხსნა).

მილ: ჯენინგსი (26+7 მოხსნა), დენიელსი (12+6 მოხსნა).

**საკრამენტო-გ. სტეიტი 131:127**

33:24, 30:31, 36:33, 32:39

ს: კაზინსი (24+7 მოხსნა+5 პასი), ბრუქსი (23+5 პასი), ტორნტონი (19), სალმონსი (17+6 მოხსნა+5 პასი), ფრედეტი (15), ტომასი (11), ტომპსონი (10+15 მოხსნა+3 დაფარება).

გ-ს: კარი (32+6 მოხსნა), ლი (29+8 მოხსნა+5 პასი), ჯეკი (28+7 მოხსნა), ლენდრი (14+5 მოხსნა), ტომპსონი (11+5 მოხსნა+5 პასი).

**კლიპერსი-ნიუ ორლეანი 93:77**

22:16, 26:22, 27:18, 18:21

კ: გრიფინი (18), კროუფორდი (17+5 პასი+3 ჩაჭრა), ჯორდანი (12+5 მოხსნა), ბარნსი (11+5 მოხსნა), პოლი (10+5 მოხსნა+12 პასი).

ნ-ო: ლოპესი (22+9 მოხსნა), დევისი (16+5 მოხსნა), ვასკესი (5+5 მოხსნა+10 პასი).

« მე-12 გვერდიდან

## დარტყმაც ასეთი უნდა...

დათოვლილ მინდორზე მოცურების საშიშროებაცაა და ბურთისთვის ფეხის აცილებისაც. მაგრამ, მცხუნვარე მზეში, მწვანე მოედანზე ბრაზილიელმა მეკარე ევანილდომ ისეთი რამ ჩაიდინა, გასამართლებელ საბუთად თოვლიც არ გამოადგებოდა. მან ბურთი თავისუფალი დარტყმისთვის გაამზადა, გამოიქცა, დაარტყა და იმის ნაცვლად, მეტოქის ნახევრისკენ გაეშვა, კუთხურზე გადააგდო. ეს ყატარის ჩემპიონატში მოხდა.

თანაგუნდელი მყავდა, რომელსაც ერთი შემთხვევის შემდეგ პენალტი არ დაურტყამს. აი, რა შემთხვევა იყო: მისი დარტყმული 11-მეტრიანის შემდეგ ბურთმა გვერდითი ხაზი გადაკვეთა (აუტზე გავიდა). ქუსლი მომიხვდაო, - იმართლა თავი.









## რაღაცაშია საქმე

გუშინ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის წილისყრა გაიმართა. „რეალი“ „მანჩესტერს“, ხოლო „ბარსელონა“ „მილანს“ რომ შეხვდა უცხოური ფეხბურთის გვერდზე წაიკითხავთ. აქ კი ერთ ფოტოს შემოგთავაზებთ და ქვემოთ მცირე განმარტებას გავაკეთებთ.




იცით, ეს ფოტო როდისაა გადაღებული? - 19 დეკემბერს. წილისყრის წინადღეს. „სკაი სპორტის“ ჟურნალისტმა ვიდეოფირზე აღბეჭდა მზადების პროცესი, რომლის დროსაც ტაბლოზე გუნდები წინასწარ განალაგეს. გავიდა ერთი დღე და წილისყრისას გუნდები სწორედ ისე დაწყვილდა, როგორც წინადღეს ტაბლოზე ეწერა!

რალა მაიას კალენდარი და რალა უეფა...

## ოთხმოცდა...

გასული კვირის ტაიმლაინს ასეთი სათაური ჰქონდა: „ოთხმოცდა...“ ლეო მესიმ ხომ აბსოლუტური რეკორდი დაამყარა - ერთ კალენდარულ წელიწადში 86 გოლი გაიტანა და ერთით გაასწრო გერდ მიულერს. მას მერე „ბარსელონამ“ ორი მატჩი ჩაატარა და ლეომ კიდევ ოთხი გაიტანა. სადღეისოდ მის ანგარიშზე 90 გოლია. ჰოდა, ამ სიტუაციას ბოლომდე შეესატყვისება უცხოურ პრესაში დაბეჭდილი კარიკატურა სახელწოდებით „მეფე ლიონელი“.

**ვაჟა სიმონიშვილი**







## საქართველოს 2012 წლის რჩეული სპორტსმენი

წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად ვაგრძელებთ მკითხველთა ვერსიით ყოველწლიურ ტრადიციულ გამოკითხვას

/კანდიდატების სია შედგენილია ანბანის მიხედვით/

- ☐ **ალექსანდრე ამისულაშვილი** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- ☐ **ბექა ბაზაძე** - ფარიკაობა: ევროპა-III
- ☐ **გიორგი ბაინდუროვი** - სამბო: მსოფლიო-I
- ☐ **ნუკრი ბერაია** - სამბო: მსოფლიო-III
- ☐ **ბესო ბერულავა** - სამბო: ევროპა-II; მსოფლიო-III
- ☐ **შალვა გაჩეჩილაძე** - ცხენოსნობა: საქართველოს 2012 წლის საუკეთესო მხედარი
- ☐ **ელენე გედევანიშვილი** - ფიგურული ციგურაობა: ევროპა-III
- ☐ **გიორგი გოგშელიძე** - თავ\ჭიდაობა: ოლიმპიური თამაშები-III
- ☐ **მამუკა გორგოძე** - რაგბი: ერთა თასის მფლობელი
- ☐ **ბესარიონ გუჩაშვილი** - თავ\ჭიდაობა: ევროპა-II
- ☐ **მალხაზ ზარქუა** - თავ\ჭიდაობა: ევროპა-III
- ☐ **ირაკლი თურმანიძე** - ძალოსნობა: ევროპა-III
- ☐ **ჯაბა კანკავა** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- ☐ **გურამ კაშია** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- ☐ **გენადი კვიკვინია** - მკლავჭიდი: ევროპა-II: მსოფლიო-I
- ☐ **მერაბ კვირიკაშვილი** - რაგბი: ერთა თასის მფლობელი
- ☐ **უშანგი კუზანაშვილი** - სამბო: ევროპა-I
- ☐ **ნიკოლოზ კუცია** - სამბო: მსოფლიო-III
- ☐ **რევაზ ლაშხი** - ბ\რ ჭიდაობა: ოლიმპიადა-II
- ☐ **ირინე ლეონიძე** - სამბო: ევროპა II; მსოფლიო-III
- ☐ **ვარლამ ლიპარტელიანი** - ძიუდო: ევროპა-I
- ☐ **გიორგი ლორია** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- ☐ **დავით მაკარიძე** - პროფ. კრივი: WBU-ს ვერსიით მს. ჩემპიონი
- ☐ **მანუჩარ მარკოიშვილი** - კალათბ.: მოიპოვა ევრობასკეტის საგზური
- ☐ **დავით მარსაგიშვილი** - თ\ჭიდაობა: ევროპა-I; ოლიმპიადა-III
- ☐ **ნოდარ მეტრეველი** - სამბო: ევროპა-I
- ☐ **დავით მოძმანაშვილი** - თავ\ჭიდაობა: ოლიმპიადა-II; ევროპა-III
- ☐ **ლევან ნახუცრიშვილი** - სამბო: ევროპა-II
- ☐ **მირიან პავლიაშვილი** - სამბო: ევროპა-III
- ☐ **ამირან პაპინაშვილი** - ძიუდო: ევროპა-III
- ☐ **ლომერ ჟორჟოლიანი** - სამბო: მსოფლიო-II
- ☐ **ნინო სალუქვაძე** - ტყვ. სროლა: ოლიმპადის შვიდგზის მონაწილე
- ☐ **ვიქტორ სანიკიძე** - კალათბურთი: მოიპოვა ევრობასკეტის საგზური
- ☐ **ანა ტატიშვილი** - ჩოგბურთი: საქართველოს 2012 წლის საუკეთესო ჩოგბურთელი
- ☐ **ზაზა ფაჩულია** - კალათბურთი: მოიპოვა ევრობასკეტის საგზური
- ☐ **ავთანდილ ცერცვაძე** - სუმო: ევროპა-II (2)
- ☐ **რაულ ცირეკიძე** - ძალოსნობა: ევროპა-I
- ☐ **მანუჩარ ცხადაია** - ბ\რ ჭიდაობა: ევროპა-II; ოლიმპიადა-III
- ☐ **ლაშა შავდათუაშვილი** - ძიუდო: ევროპა-III; ოლიმპიადა-I
- ☐ **შორენა შარაძე** - სამბო: ევროპა-III
- ☐ **მერაბ შარიქაძე** - რაგბი: ერთა თასის მფლობელი
- ☐ **გენადი ჩირგაძე** - სამბო: ევროპა-II
- ☐ **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** - თ\ჭიდაობა: ოლიმპიადა-II
- ☐ **დავით ხუციშვილი** - თ\ჭიდაობა: ევროპა-II
- ☐ **თეიმურაზ ჯულელი** (გაგამარუ) სუმო: იმპერატორის თასი-II

*გამოკითხვაში მონაწილემ უნდა მიუთითოს მხოლოდ ერთი სპორტსმენი. ორი ან მეტი ნომინანტის გამორჩევის შემთხვევაში, ანკეტა ბათილად გამოცხადდება*

**შენიშვნა:** *სიაში მოხვდნენ სპორტსმენები, ვინც დიდებში, ანდა პარალელურად ახალგაზრდებში 2012 წელს თავი გამოიჩინეს საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე, აგრეთვე სპორტის სათამაშო სახეობებიდან პოპულარობის ინდექსით.*

*თქვენი რჩეული სპორტსმენი შეიტანეთ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ანკეტაში და გამოგზავნეთ რედაქციაში, ან დააფიქსირეთ სპორტულ საიტზე www.sportall.ge ან გვაცნობეთ ტელეფონით ნომრებზე: 219 60 13; 219 60 53 (10-დან 21 საათამდე, კვირის გარდა).*

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია ტუხაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

***პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge*** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608